დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის

B1+

სახელმძღვანელო

2018

ქვანძას სკოლა

დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი

2018

„დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის“ B1+

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:

ნანა შავთვალაძე

დარგობრივი ექსპერტი:

მზია სულამანიძე

ავტორები:

ნანა შავთვალაძე

ნანა ფრუიძე

რედაქტორი:

ნანა ჭირაშვილი

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს «New and Grand»-ში

ISBN 978-9941-8-0874-6

სარჩევი:

I თავი ეროვნული სასწავლო გეგმა

I ნაწილი სკოლა და საზოგადოება 5

II ნაწილი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (ზგემ) 11

III ნაწილი ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ორიენტირები 17

II თავი ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

I ნაწილი საგანმანათლებლო პრინციპები 23

II ნაწილი საგნობრივი სასწავლო გეგმა 29

III ნაწილი სასწავლო გეგმები....36

III თავი კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

I ნაწილი სწავლა კეთებით, სწავლა აღმოჩენებით 42

II ნაწილი კონსტრუქტივისტული თეორია 48

III ნაწილი ინტერაქტიული სწავლება და სასწავლო გარემო 54

შემაჯამებელი თავი I 61

ტესტი I 67

IV თავი სააზროვნო უნარების განვითარება

I ნაწილი სწავლების მეთოდები 74

II ნაწილი ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირებული სწავლება 82

III ნაწილი ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება სასწავლო პროცესში 87

V თავი ქცევის მართვა

I ნაწილი ბიჰევიორისტული თეორია 96

II ნაწილი კლასის მართვა 102

III ნაწილი სწავლა მოდელზე დაკვირვებით 110

VI თავი შეფასება

I ნაწილი მოსწავლის შეფასება 117

II ნაწილი შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები 123

III ნაწილი მასწავლებლის შეფასება 131

შემაჯამებელი თავი II 138

ტესტი II 145

მოსასმენი დიალოგები 153

დანართი

ლექსიკა 168

ზმნები 175

გრამატიკა 180

I თავი ეროვნული სასწავლო გეგმა

I ნაწილი სკოლა და საზოგადოება

- როგორ ფიქრობთ, რა არის სკოლის მთავარი ფუნქცია?
- როგორ ასრულებს დღეს ამ ფუნქციას სკოლა?
- თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ სკოლამ უკეთესად შეასრულოს თავისი მოვალეობა?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა? პიროვნება მისია რასა ნაწილი სრულყოფა სახელოსნო ფორმირება დანიშნულება ჩამოყალიბება	**როგორი?** ეთნიკური რელიგიური დასახული სრულფასოვანი კეთილმოწყობილი მრავალფეროვანი
ზმნები: უზრუნველყოფს ატარებს ავრცელებს აძლიერებს	**ფრაზები:** რელიგიური კუთვნილება თანაბარი პირობები სასწავლო ნაწილი მოქალაქის აღზრდა პიროვნების ჩამოყალიბება **ესგ** – ეროვნული სასწავლო გეგმა **სდ** – საგანმანათლებლო დაწესებულება **სგმს** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **სსსმ** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

დაიმახსოვრეთ!

ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	საწყისი
რას შვრება?	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა?**
უზრუნველყოფს	უზრუნველყოფდა	უზრუნველყო	უზრუნველყოფს	უზრუნველყოს	უზრუნველყოფა
ატარებს	ატარებდა	**ჩა**ატარა	**ჩა**ატარებს	**ჩა**ატაროს	**ჩა**ტარება
ავრცელებს	ავრცელებდა	**გა**ა ვრცელა	**გა**ავრცელებს	**გა**ავრცელოს	**გა**ვრცელება
აძლიერებს	აძლიერებდა	**გა**აძლიერა	**გა**აძლიერებს	**გა**აძლიეროს	**გა**ძლიერება

დააკვირდით!

.... ის გარდა

ცოდნ**ის** გარდა ...

მასწავლებლებ**ისა** და მშობლებ**ის** გარდა ...

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სკოლა **საგანმანათლებლო დაწესებულებაა,** რომლის მთავარი მიზანი **სრულფასოვანი** და დამოუკიდებელი მოქალაქის აღზრდაა. ეს არის სკოლის **მისია**. სწორედ ასეთი მოქალაქეების ერთობლიობა ქმნის **საზოგადოებას**. შესაბამისად, სკოლა მნიშვნელოვანია საზოგადოების **ფორმირებისთვის**. სწავლა–სწავლების პროცესი **უზრუნველყოფს** ბავშვის **პიროვნებად ჩამოყალიბებას**. სწავლა–სწავლების პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესისთვის.

სკოლამ **დასახულ** მიზანს რომ მიაღწიოს, სწავლა–სწავლების პროცესი **სრულყოფილი** უნდა იყოს. ამისათვის ადმინისტრაციამ, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ. ასევე, აუცილებელია, რომ მთელი სასწავლო პროცესი სკოლამ **საქართველოს განათლებისა** და **მეცნიერების სამინისტროს** მიერ შემუშავებული **დოკუმენტების** მიხედვით დაგეგმოს.

სასწავლო პროცესის სწორი და ეფექტური გეგმის დახმარებით შეიძლება, რომ სკოლის გარემო იყოს კარგად ორგანიზებული, ფიზიკურად კომფორტული და ემოციურად უსაფრთხო. როცა მასწავლებელი გაკვეთილს **ატარებს**, მოსწავლეს ცოდნის მიცემ**ის გარდა**, უვითარებს საჭირო უნარ–ჩვევებს, **აყალიბებს** პიროვნებად.

ყველა სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, კლუბი, სპორტული დარბაზი, ეზო, **სახელოსნო**, ბიბლიოთეკა და სხვ. სასწავლო პროცესი მოზარდისთვის საინტერესო, სახალისო და **მრავალფეროვანია**. თითოეული მოსწავლე აუცილებლად არის **თანაბარ პირობებში** და აქვს ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეძენის თანაბარი შესაძლებლობები (**რასის, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა თუ სსსმ–ს** მიუხედავად).

რა თქმა უნდა, აღზრდის პროცესში დირექტორის, **სასწავლო ნაწილის**, მასწავლებლებისა და მშობლებ**ის გარდა**, მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრიც. საზოგადოება აძლიერებს სკოლას და სკოლა **აძლიერებს** საზოგადოებას. თითოეული მოქალაქის აქტიურ მონაწილეობასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული მიზნის მიღწევა და წარმატება.

საზოგადოება = დამოუკიდებელ და სრულფასოვან მოქალაქეებს.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორი მოქალაქეები ქმნიან სრულფასოვან საზოგადოებას?
2. რატომ არის სკოლა მნიშვნელოვანი საზოგადოების ფორმირებისთვის?
3. როგორ გეგმავენ სასწავლო პროცესს?
4. რა უნდა უზრუნველყოს სკოლამ ყველა მოსწავლისათვის?
5. რა შემთხვევაში შეძლებს სკოლა თავისი მთავარი მისიის შესრულებას?

1.2. გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას; იმსჯელეთ, რა მოვალეობები აქვს სკოლასა და ოჯახს? რა განსხვავებაა მათ შორის? შეავსეთ ცხრილი:

სკოლა	ოჯახი
სკოლა მოსწავლეს აძლევს ცოდნას და უვითარებს საჭირო უნარ–ჩვევებს.	ოჯახი ბავშვის მთავარი ემოციური საყრდენია. აქ იძენს იგი პირველად სოციალურ უნარებს.

სკოლა	ოჯახი
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

დააკვირდით!

თუ + ახლანდელი/მომავალი დრო + მომავალი

თუ სამინისტრო განცხადებას ავრცელებს/გაავრცელებს, ტრენინგსაც ჩაატარებს.

თუ + ახლანდელი/მომავალი დრო (მაშინ) + მომავალი დრო

თუ სამინისტრო განცხადებას ავრცელებს/**გაავრცელებს**, მაშინ ტრენინგსაც ჩაატარებს.

1.3. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ **გაავრცელა** განცხადება სკოლებში ახალი საგნის – „მე და საზოგადოება" – სწავლების შესახებ. სგმს–ს ინფორმაციით, ამ საკითხზე მსჯელობა ჯერ არ დაუმთავრებიათ და აგრძელებენ სტანდარტზე მუშაობას. რა თქმა უნდა, ჯერ არც სახელმძღვანელოებია მზად.

სგმს–ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, აუცილებლად უნდა შეუწყონ ხელი საზოგადოებრივი მეცნიერებების უფრო ეფექტურად სწავლებას. სამინისტროში ფიქრობენ, რომ ამ მიზნის შესრულებაში სკოლას ახალი საგანი დაეხმარება. სახელმძღვანელოში საუბარი იქნება ჯანსაღი ცხოვრების წესზე, უსაფრთხოებაზე, ტოლერანტობაზე, სოციალური უნარების განვითარებაზე, სახელმწიფოზე, გარემოს დაცვაზე და ა. შ. თუ საგნის სწავლების შესახებ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ, სამინისტრო რამდენიმე ტრენინგს ჩაატარებს.

ბ) იმსჯელეთ ასეთი საგნის სწავლების აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ. პასუხი დაასაბუთეთ:

1.4. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: რელიგიური კუთვნილება

რელიგიური	პირობები
სრულფასოვანი	მისია
სკოლის	მიზანი
თანაბარი	**კუთვნილება**
საგანმანათლებლო	მოქალაქე
დასახული	დაწესებულება

ბ) შეადგინეთ წინადადებები ამ შესიტყვებების გამოყენებით:

ნიმუში: <u>**რელიგიური კუთვნილების**</u> მიუხედავად, სკოლაში ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია.

1.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- მოგესალმებით, ბატონო ოთარ. თქვენთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს.
- დიახ, გისმენთ.
- თქვენი აზრით, რა არის სკოლის _____?
- სკოლამ უნდა აღზარდოს ბავშვი და _____ ჩამოაყალიბოს. ამასთან, უნდა მისცეს მაღალი ხარისხის ზოგადი განათლება.
- როგორ აღწევთ მიზანს?
- მიზანს რომ მივაღწიოთ, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები ერთად _____ სასწავლო პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით.
- მიზნის მიღწევას _____ _____ სჭირდება? ეს რამდენად მნიშვნელოვანია?
- სწავლა–სწავლების პროცესი ეფექტური და _____ რომ იყოს, ძალიან მნიშვნელოვანია კარგად ორგანიზებული, ფიზიკურად კომფორტული და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ჩვენთან ყველა საკლასო ოთახი _____. გვაქვს ბიბლიოთეკა, _____, ახალი სპორტული დარბაზი და დიდი კლუბი, რომელშიც შეხვედრებს ვატარებთ.
- რომელ შეხვედრებს გულისხმობთ?
- ადმინისტრაციის დახმარებით მასწავლებლები _____ კონფერენციებს, კონკურსებსა და სხვა დამატებით აქტივობებს.

ბ)

- ვინმე გეხმარებათ _____ მიზნის მიღწევაში?
- როგორ არა! ბავშვის აღზრდისა და პიროვნებად _____ პროცესში მონაწილეობენ არა მარტო სკოლის თანამშრომლები და მშობლები, არამედ საზოგადოებაც. ის დიდ ყურადღებას გვაქცევს. ჩვენ ერთმანეთს _____.
- განსხვავებული რელიგიური და _____ ჯგუფების წევრებისთვის სწავლა და თანატოლებთან ურთიერთობა რთული ხომ არ არის?
- არა, რას ამბობთ! სკოლა _____, რომ სწავლის პროცესი ყველა მოსწავლისთვის საინტერესო, სახალისო და _____ იყოს.
- ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია?
- ნამდვილად ასეა. თითოეულს საჭირო უნარ–ჩვევების შეძენის ერთნაირი შესაძლებლობა აქვს, მიუხედავად მათი რასის, ეთნიკური და _____ კუთვნილებისა.
- _____ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც?
- რა თქმა უნდა!
- დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებას!

1.6. დიალოგის მიხედვით დაეთანხმეთ ან უარყავით ინფორმაცია:

ნიმუში: სკოლაში სასწავლო პროცესს სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე გეგმავენ. +

1	სკოლამ ბავშვს მხოლოდ ზოგადი განათლება უნდა მისცეს.	
2	სწავლა–სწავლების პროცესი რომ სრულფასოვანი იყოს, საჭიროა კომფორტული სასკოლო გარემო.	
3	აუცილებელი არაა ადმინისტრაციის დახმარება, რომ მასწავლებლებმა ჩაატარონ დამატებითი აქტივობები.	
4	საზოგადოება აძლიერებს სკოლას.	
5	სკოლა ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეძენის ერთნაირი შესაძლებლობით.	
6	ზოგჯერ სწავლის პროცესი ყველა მოსწავლისთვის საინტერესო და სახალისო არ არის.	

1.7. წაშალეთ ზედმეტი სიტყვა:

ნიმუში: სკოლა, მასწავლებელი, ~~ჯარავი~~, სახელმძღვანელო.

1. სახელმძღვანელო, სტანდარტი, დოკუმენტი, რელიგია.
2. სპორტული, კეთილმოწყობილი, კომფორტული, უსაფრთხო.
3. საინტერესო, განსხვავებული, რთული, მრავალფეროვანი.
4. სწავლა, მოქალაქე, სწავლება, აღზრდა.
5. კონფერენცია, გაკვეთილი, კონკურსი, საზოგადოება.

1.8. აღწერეთ სურათები: რა მოგწონთ ყველაზე მეტად? რატომ?

1.9. დაწერეთ:

თქვენი აზრით, რას ნიშნავს ფრაზა – „სკოლა აძლიერებს საზოგადოებას და საზოგადოება აძლიერებს სკოლას“?

II ნაწილი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (ზგემ)

- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს სრულფასოვანი მოქალაქე?
- კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს ამისათვის სკოლამ?
- როგორ ფიქრობთ, ბავშვობის ასაკში რომელი უნარების ჩამოყალიბებაა აუცილებელი?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა? შემოქმედი ინტელექტი არჩევანი შენარჩუნება მახასიათებელი თვითრეალიზება	**როგორი?** ზოგადი სულიერი მშობლიური კანონმორჩილი ტოლერანტი ინტელექტუალური
ზმნები: ინარჩუნებს აყენებს იღებს თვლის	**ფრაზები:** ქვეყნის ინტერესები/ტრადიციები/ღირებულებები ბუნებრივი გარემო ზიანის მიყენება პირადი ცხოვრება ოჯახური ცხოვრება უწყვეტი განათლება შრომითი საქმიანობა თანამედროვე ტექნოლოგიები ზოგადი საკომუნიკაციო უნარ–ჩვევები განსხვავებული კულტურის მქონე ზგემ – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
როგორ? პატივისცემით	

დაიმახსოვრეთ!

ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	საწყისი
რას შვრება?	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა?**
ინარჩუნებს	ინარჩუნებდა	**შ**ეინარჩუნა	**შ**ეინარჩუნებს	**შ**ეინარჩუნოს	**შ**ენარჩუნება
აყენებს	აყენებდა	**მ**იაყენა	**მ**იაყენებს	**მ**იაყენოს	**მ**იყენება
იღებს	იღებდა	**მ**იიღო	**მ**იიღებს	**მ**იიღოს	**მ**იღება
თვლის	თვლიდა	**ჩ**ათვალა	**ჩ**ათვლის	**ჩ**ათვალოს	**ჩ**ათვლა

დააკვირდით!

აღწერა – აღწერ–**ილ**–ი	შემუშავება – შემუშავებ–**ულ**–ი
აღზრდა – აღზრდ–**ილ**–ი	განსაზღვრა – განსაზღვრ–**ულ**–ი

1.1. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები** (ზგემ) არის დოკუმენტი. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს სკოლის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა. გარდა ამისა, ზგემ–ი აღწერს სრულფასოვანი მოქალაქის **მახასიათებლებს**.

დოკუმენტის მიხედვით, ახალგაზრდამ უნდა შეძლოს:

- გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა და დაიცვას ქვეყნის ინტერესები, ტრადიციები და ღირებულებები.
- **შეინარჩუნოს** და დაიცვას **ბუნებრივი გარემო**. იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა **ზიანი** შეიძლება **მიაყენოს** გარემოს ადამიანის მოქმედებამ.
- გამოიყენოს **თანამედროვე ტექნოლოგიები**. მოძებნოს სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, შეაფასოს, გააანალიზოს, დაამუშაოს და გამოიყენოს იგი დასახული მიზნების მიღწევისთვის.
- იცხოვროს დამოუკიდებლად. **პირად**, **ოჯახურ** თუ **საზოგადოებრივ ცხოვრებაში** დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები.
- იყოს **შემოქმედი**, თვითონ შექმნას ღირებულებები და მხოლოდ არსებულ**ის ხარჯზე** არ იცხოვროს. უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, **ინტელექტუალური** თუ **სულიერი** ღირებულებების შექმნისთვის.
- მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად შეიძინოს ახალი ცოდნა და ჩვევები (**უწყვეტი** განათლება). **თვითრეალიზების** საფუძველზე განსაზღვროს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. გააკეთოს **არჩევანი** განათლებისა და მომავალი **შრომითი** საქმიანობის სასარგებლოდ.
- საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობისათვის გამოიყენოს **ზოგადი საკომუნიკაციო უნარ–ჩვევები** (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), **საორგანიზაციო** და ჯგუფური მუშაობის ჩვევები. მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა **მშობლიური** არ არის.
- იყოს **კანონმორჩილი**, **ტოლერანტი** მოქალაქე. დაიცვას საკუთარი თუ სხვა ადამიანთა უფლებები. **პატივისცემით** მოექცეს პიროვნებებს, განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფებს და იცხოვროს ამ პრინციპებით.

სგმს **თვლის**, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნის მიღწევაში განსაკუთრებული ფუნქცია აქვს სკოლას და სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს. თუ სკოლა თავის დანიშნულებას მაღალი ხარისხით შეასრულებს, საზოგადოება **მიიღებს** სრულფასოვან, დამოუკიდებელ მოქალაქეებს.

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რისთვისაა საჭირო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შემუშავება?
2. რა წერია დოკუმენტში, რომელსაც „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ ჰქვია?
3. თქვენი აზრით, რას ნიშნავს „ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება?“
4. რას გულისხმობს „უწყვეტი განათლება“?
5. აღწერეთ, როგორია ტოლერანტი მოქალაქე?

დააკვირდით!

.... ის ხარჯზე

არსებულ**ის ხარჯზე**
სკოლ**ის ხარჯზე**
საზოგადოებ**ის ხარჯზე**

2.2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

არჩევანი	კანონმორჩილი	მახასიათებელი	თვითრეალიზება	ჩამოყალიბება

1. პიროვნების ---------- იწყება ოჯახსა და სკოლაში და სრულდება საზოგადოებაში.
2. განათლების მიზანია, მოქალქე იყოს ---------- , ტოლერანტი და პატივს სცემდეს განსხვავებული კულტურის ადამიანებს.
3. ზგემ–ი აღწერს სრულფასოვანი მოქალაქის ---------- და განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს ახალგაზრდა სკოლის დასრულების შემდეგ.
4. ახალგაზრდამ დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს ---------- თავის მომავალ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით.
5. კარგი განათლების გარეშე ძნელია ---------- და დასახული მიზნის მიღწევა.

2.3. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: საკუთარი პასუხისმგებლობა

საკუთარი	მიყენება
თანამედროვე	განათლება
ქვეყნის	**პასუხისმგებლობა**
ზოგადი	ტექნოლოგიები
პირადი	ინტერესები
ზიანის	ცხოვრება

ბ) შეადგინეთ წინადადებები ამ შესიტყვებების გამოყენებით:

ნიმუში: როცა სასწავლო პროცესი სრულფასოვანია, ბავშვიც გრძნობს <u>საკუთარ პასუხისმგებლობას.</u>

2.4. შემოხაზეთ ყველაზე მისაღები განმარტება:

1. უწყვეტი განათლება

ა) სკოლაში სწავლის მთელი პერიოდი
ბ) უნივერსიტეტში სწავლის წლები
გ) მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენა

2. ტოლერანტი მოქალაქე

ა) ის, ვინც იცავს საზოგადოების ინტერესებს
ბ) ის, ვინც პატივისცემით ექცევა განსხვავებული რასობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების წევრებს
გ) ის, ვინც უზრუნველყოფს ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვას

3. თვითრეალიზება

ა) პოტენციური შესაძლებლობების მთლიანად რეალიზება
ბ) შრომითი საქმიანობის დაწყება
გ) მოტივაციის განვითარება

4. თანაბარი პირობები

ა) ე.ი. კონკურენტული
ბ) ე.ი. პოზიტიური
გ) ე.ი. ერთნაირი

5. ემოციური თანადგომა

ა) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება
ბ) ემოციების გამოხატვა
გ) პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატვა

2.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა.

- ოთარ, ცოტა ხნის წინ სკოლაში ვიმსჯელეთ ზგემ–ს, ანუ ზოგადი განათლების _____ მიზნების შესახებ. ხომ იცნობ ამ დოკუმენტს?
- რა თქმა უნდა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები სამინისტრომ _____.
- რა მიზნით შექმნეს ეს დოკუმენტი?
- ზგემ–ი სკოლის დახმარების მიზნით! სამინისტროში _____, თუ როგორი უნდა იყოს _____ და _____მოქალაქე. ახლა სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს ზუსტად ეცოდინებათ, როგორ უნდა იმუშავონ, რათა სწორად აღზარდონ ბავშვი.
- ანუ სამინისტრო თვლის, რომ სკოლაში ცოდნის შეძენა _____ არ არის?
- სამწუხაროდ, არა. სკოლამ მოზარდს _____ _____ ცოდნა უნდა მისცეს, _____ უნდა განუვითაროს საჭირო უნარებიც. რაც მთავარია, სკოლამ ბავშვი პიროვნებად უნდა _____. ამიტომ ეხმარება სამინისტრო სკოლას და ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ბ.

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან რომელს _____ პრიორიტეტულად?
- ჩემი აზრით, დოკუმენტში აღწერილი ყველა _____ მნიშვნელოვანია. მაგალითად, ძალიან ვაფასებ ახალგაზრდის უნარს, იყოს _____, თვითონ შექმნას ღირებულებები და მხოლოდ არსებულის ხარჯზე არ იცხოვროს. მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს ახალი მატერიალური, _____ თუ _____ ღირებულებების შექმნისთვის.
- სწავლისა და განვითარების პროცესი არასოდეს სრულდება!
- მართალია. ვინც ასე არ ფიქრობს, შეცდომას უშვებს. ადამიანმა მთელი ცხოვრების განმავლობაში _____ უნდა შეიძინოს ახალი ცოდნა; ესაა _____ განათლება. მხოლოდ ასეთი ადამიანი შეძლებს _____.
- დიახ, თუმცა მე განსაკუთრებულად მიმაჩნია დოკუმენტში აღწერილი პირველი მახასიათებელი: _____ საკუთარი პასუხისმგებლობა და _____ ქვეყნის ინტერესები, ტრადიციები და ღირებულებები.
- ო, ეს მართლაც ყველაზე საჭირო და აუცილებელია!

2.6. გახაზეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: მოქალაქემ უნდა **შეინარჩუნოს/<u>გაიაზროს</u>/აკონტროლოს** საკუთარი პასუხისმგებლობა ქვეყნის მიმართ.

1. სკოლა ინარჩუნებს/უზრუნველყოფს/ავრცელებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აყენებს/ავრცელებს/თვლის, რომ სკოლის დახმარების მიზნით უნდა შეიმუშავოს ეროვნული სასწავლო გეგმა.
3. სასწავლო პროცესს სკოლის ადმინისტრაცია თვლის/გეგმავს/აყალიბებს სამინისტროს შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით.
4. სკოლა ხშირად ატარებს/მიაჩნია/ინარჩუნებს სპორტულ ღონისძიებებსა და ინტელექტუალურ თამაშებს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით.
5. მოზარდს სრულფასოვან მოქალაქედ იღებს/იძენს/აყალიბებს არა მარტო, არამედ ოჯახი და საზოგადოება.

2.7. მოცემული პასუხების მიხედვით დასვით კითხვები:

1. ა: რას ფიქრობ _____?
   ბ: სკოლამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი მეცნიერებების უფრო ეფექტურად სწავლებას.
2. ა: რამდენად_____?
   ბ: ვფიქრობ, სკოლის ცხოვრებაში საზოგადოების ჩართვა აუცილებელია.
3. ა: სად _____?
   ბ: რა თქმა უნდა, ოჯახში. ოჯახია ბავშვის მთავარი ემოციური საყრდენი.
4. ა: რატომ _____?
   ბ: ეს დოკუმენტი სკოლის დახმარების მიზნით შექმნეს.
5. ა: რისთვის _____?
   ბ: ზგემ–ი იმისთვისაა საჭირო, რომ სკოლამ იცოდეს, როგორ აღზარდოს სრულფასოვანი მოქალაქე.

2.8. გაეცანით ჯონ დიუის მოსაზრებას. იმსჯელეთ, მნიშვნელოვანია თუ არა ეს იდეა თანამედროვე სასწავლო პროცესში? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ:

 ჯონ დიუი 1859–1952 ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი	განათლების მიზანია არა მარტო **ფაქტების** სწავლება და ცოდნის ათვისება, არამედ პიროვნების ცოდნისა და უნარების **ინტეგრირება** მისი **მოქალაქედ** და **პიროვნებად ჩამოყალიბების** მიზნით. ჯონ დიუი

2.9. იმსჯელეთ, რას ნიშნავს პირადი, ოჯახური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. შეავსეთ ცხრილი:

პირადი	
ოჯახური	
საზოგადოებრივი	

III ნაწილი ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ორიენტირები

ახალი სიტყვები:	
ვინ/რა? მოზარდი რეგულაცია წესრიგი ჩართულობა მოძრაობა მიდგომა ცოდნა = არცოდნა	**როგორი**? თანაბარი დაფასებული მოტივირებული მოწესრიგებული გათვალისწინებული
ზმნები: წარმოადგენს ადასტურებს ადარებს უშლის იხილავს ართულებს = ამარტივებს როგორ? ხმამაღლა = ხმადაბლა	**ფრაზები:** რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი მოსწავლეზე/ შედეგზე ორიენტირებული უნიკალური პიროვნება დახმარება სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა სასწავლო მასალა თანაბარი ჩართულობა ამრიგად ზგს – ზოგადი განათლების სისტემა

- რა იცით ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ?
- თქვენი აზრით, რისთვის არის საჭირო ეს დოკუმენტი?
- ითვალისწინებთ თუ არა მოსწავლის პირად ინტერესებსა და ემოციებს?

დაიმახსოვრეთ!

ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	საწყისი
რას შვრება?	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა?**
წარმოადგენს	**წარმო**ადგენდა	**წარმო**ადგინა	წარმოადგენს	წარმოადგინოს	წარმოდგენა
ადასტურებს	ადასტურებდა	**და**ადასტურა	დაადასტურებს	დაადასტუროს	დადასტურება
ადარებს	ადარებდა	შეადარა	შეადარებს	შეადაროს	შედარება
უშლის	უშლიდა	შეუშალა	შეუშლის	შეუშალოს	შეშლა
იხილავს	იხილავდა	განიხილა	განიხილავს	განიხილოს	განხილვა
ართულებს	ართულებდა	გაართულა	გაართულებს	გაართულოს	გართულება
ამარტივებს	ამარტივებდა	გაამარტივა	გაამარტივებს	გაამარტივოს	გამარტივება

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ეროვნული სასწავლო გეგმა **წარმოადგენს** სასწავლო პროცესის **რეგულაციის** ძირითად დოკუმენტს. იგი **განიხილავს**, საქართველოს **ზოგადი განათლების სისტემამ** თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

სწავლა–სწავლების პროცესი მოსწავლეზე და მის მიერ **შედეგების** მიღწევაზეა ორიენტირებული; ბავშვმა უკვე იცის ქცევის წესები, რომ გაკვეთილზე **ხმამაღლა** არ ისაუბროს, **წესრიგი** დაიცვას და ხელი არ **შეუშალოს** მასწავლებელს. თუმცა მოსწავლე უნდა იყოს **მოტივირებული**, ყოველთვის **დაფასებული**. მისი დამოკიდებულება სკოლის, სწავლის, საგნის სწავლების და მასწავლებლების მიმართ ყოველთვის არის პოზიტიური, დადებითი. სწავლა–სწავლების პროცესში ყველა მოსწავლე **თანაბარია**. გაკვეთილზე აუცილებელია მოსწავლეთა **თანაბარი ჩართულობა.**

ესგ–ს მიხედვით, ყველა მოსწავლე **უნიკალური პიროვნებაა** თავისი **ინდივიდუალური შესაძლებლობებითა** და სწავლის სტილით. მაგალითად, ზოგი ბავშვი სწავლობს **მოძრაობით**. ეს **ადასტურებს**, რომ ესგ–ში არის **გათვალისწინებული** მოსწავლის ინტერესები. **მოზარდისთვის** აუცილებელია **მოწესრიგებული** გარემო და პოზიტიური ურთიერთობები.

პედაგოგი მოსწავლეს **სასწავლო მასალას** აწვდის თანმიმდევრობით – ნელ–ნელა **ართულებს**. ზოგჯერ ბავშვს **დახმარება სჭირდება**. ასეთ დროს მასწავლებელი ამარტივებს პროცესს და იყენებს **ინდივიდუალურ მიდგომას** და უზრუნველყოფს საგნის **სწავლებას**.

ბავშვი სკოლაში იძენს არა მარტო ცოდნას, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ–ჩვევებსაც. მოზარდი ყოველთვის **ადარებს** ერთმანეთს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მან ნათლად უნდა დაინახოს მათ შორის კავშირი. **ამრიგად**, სკოლაში მოსწავლეებმა არა მარტო ცოდნა უნდა მიიღონ, არამედ გააცნობიერონ საკუთარი მოვალეობები, როგორც მოქალაქეებმა.

ხმამაღლა = ხმადაბლა

დაიმახსოვრეთ!

ამრიგად, ...

ამრიგად, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს სწავლა–სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა.

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რას ნიშნავს გამოთქმა „პროცესის რეგულაცია“?
2. რა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის სურვილები და ინტერესები?
3. რა შემთხვევაში გამოიყენებს მასწავლებელი ინდივიდუალურ მიდგომას?
4. რაში დაეხმარება მოსწავლეს დავალების შესრულების საჭიროების გაცნობიერება?
5. რომელი მნიშვნელოვანი სოციალური უნარი უნდა გამოუმუშავოს სკოლამ მოზარდს?

3.2. დააკვირდით სქემას. გამოიყენეთ მოცემული შესიტყვებები და შეადგინეთ წინადადებები:



1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

3.3. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები (გაითვალისწინეთ, რომ ერთი სიტყვა ზედმეტია):

რეგულაცია	მოწესრიგებული	მოტივირებული	მიდგომა	არცოდნა	დასახული

1. თუ სასწავლო პროცესი არის ----------, ადვილია პიროვნების ცოდნისა და უნარების ინტეგრირება მისი პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით.
2. მოსწავლეების პირადი ინტერესებისა და სურვილების ---------- მასწავლებელს ხელს უშლის კლასის ეფექტურად მართვაში.
3. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევისთვის მხოლოდ მასწავლებლის სურვილი არ არის საკმარისი – მოსწავლეც ---------- უნდა იყოს.
4. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან მასწავლებელმა ინდივიდუალური ---------- უნდა გამოიყენოს.
5. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ---------- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტებით ხდება.

3.4. გახაზეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: მასწავლებელი იყენებს/ითვალისწინებს/**<u>უზრუნველყოფს</u>** საგნის სწავლებას.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმოადგენს/ავრცელებს/განიხილავს განცხადებას სკოლებში ახალი საგნის სწავლების შესახებ.
2. თუ მოსწავლეს სასწავლო მასალა მარტივად და თანმიმდევრობით მიეწოდება, ის წარმატებით

აკავშირებს/აყალიბებს/განიხილავს ახალ ცოდნას ძველთან.

3. სკოლაში ახალგაზრდა არა მარტო ცოდნას ართულებს/იღებს/ატარებს, არამედ აგროვებს გამოცდილებასაც.
4. ზგემ–ი არის დოკუმენტი, რომელიც ეხმარება/გულისხმობს/აკვირდება სკოლას, განსაზღვროს სრულფასოვანი მოქალაქის მახასიათებლები.
5. მოსწავლე ერთმანეთს ადასტურებს/ადარებს/ავრცელებს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ არსებულ ცხოვრებას და ადგენს მათ შორის კავშირს.

3.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა.

- ნათია, _____ _____, რომ დღეს კათედრის სხდომას ვატარებთ?
- რა საკითხი უნდა _____?
- ესგ–ს _____ _____ უნდა ვიმსჯელოთ. ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, საგნის სწავლების დროს როგორ გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია და _____. ეს მისი მთავარი _____.
- რას გულისხმობ?
- მინდა ყურადღება მივაქციოთ მოსწავლის _____ _____. წაიკითხე ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია და სწავლის სტილი“?
- ჯერ არა. რას _____ ეს ავტორი და მისი წიგნი?
- ძალიან საინტერესოდ ასასარგებლო წიგნია. ჰოვარდ გარდნერის აზრით, ადამიანებს განსხვავებული და _____ ინტელექტი აქვთ. განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობები სწავლის განსხვავებულ სტილს მოითხოვს. _____, თუ ბავშვს მნიშვნელოვანი წარმატება არა აქვს სწავლაში, ის შეიძლება არ სწავლობდეს იმ _____, რომელსაც მისი სტილი „ითხოვს“.

ბ.

- ეს რას ნიშნავს?
- მაგალითად, სმენითი სტილის ადამიანები სწავლისას _____ კითხულობენ. მათთვის ასე უფრო ადვილია სწავლა, ეს _____ სწავლის პროცესს. მათ უყვართ ჯგუფში მუშაობა, საუბარი, დიალოგები.
- გასაგებია.
- _____ (მხედველობითი) სტილის ადამიანები უკეთესად სწავლობენ იმას, რასაც _____. უყვართ სურათებითა და ცხრილებით სწავლა.
- მართალია. გაკვეთილზე ზოგი მხოლოდ ისმენს და _____, ზოგი კი ძალიან აქტიურია.
- ასეა. კინესთეტიკური, ანუ _____ სტილის ადამიანები სწავლობენ _____. აქვთ სხეულის მართვისა და _____ _____. ამ ტიპის ადამიანები ყველაზე კარგად სწავლობენ, როდესაც რაიმეს აკეთებენ.
- შენ თუ _____ გარდნერის თეორიას გაკვეთილებზე?
- რა თქმა უნდა! მე ყოველთვის _____ მაქვს ყველა ჩემი მოსწავლის სწავლის სტილი.
- რა კარგია, რომ შენს _____ _____ ყველას უზიარებ. თანამედროვე მიდგომების _____ მასწავლებელს ხელს უშლის და მიზნის მიღწევას ართულებს.

3.6. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: ხელს უშლის



ბ) შეადგინეთ წინადადებები ამ შესიტყვებების გამოყენებით:

ნიმუში: სწავლა–სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლე <u>უნიკალური პიროვნებაა.</u>

3.7. გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: ახლა **ვკითხულობ** ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას“.

ახლა **წავიკითხავ** ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას“**.**

1. ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს ცოდნას.
2. სასწავლო პროცესს სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით გეგმავს.
3. სამინისტროში მსჯელობენ სკოლაში ახალი საგნის სწავლების შესახებ.
4. სკოლა მოზარდს ცოდნას აძლევს და სოციალურ უნარებს უვითარებს.
5. სწავლის პროცესში მოსწავლეები აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

3.8. ჩაწერეთ ცხრილში სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეთა მახასიათებლები:

სმენითი სტილი	ვიზუალური სტილი	მოტორული სტილი
		ნიმუში: მოტორული სწავლის სტილის ადამიანები სწავლობენ როდესაც რაიმეს აკეთებენ, აგებენ, აწყობენ და ა.შ.

3.9. დააკვირდით სურათებს და იმსჯელეთ, სწავლის როგორი სტილი აქვთ ბავშვებს. რა აქტივობებით შეიძლება მათი უნარების განვითარება? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან:

II თავი ESG და საგანმანათლებლო პრინციპები

I ნაწილი საგანმანათლებლო პრინციპები

- რა იცით ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების შესახებ?
- თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პრინციპების გათვალისწინება?
- როგორ ფიქრობთ, იცავენ ამ პრინციპებს ჩვენი ქვეყნის სკოლებში?

ახალი სიტყვები	
რა? ეტაპი საფეხური მეხსიერება გონება დამახსოვრება დემონსტრირება	**როგორი?** სააზროვნო ეტაპობრივი მიწოდებული დახარისხებული
ზმნები: არჩევს ახარისხებს აკმაყოფილებს იმახსოვრებს იზეპირებს	**ფრაზები:** ზოგჯერ მონაწილეობს ჯერ კიდევ არ გაუაზრებია ანუ გამოარჩევს მნიშვნელოვან ელემენტებს ესე იგი (ე.ი.) მას ჯერ არ გაუაზრებია

დაიმახსოვრეთ!

ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
რას შვრება?	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**	**რა?**
არჩევს	არჩევდა	გამოარჩია	გამოარჩევს	გამოარჩიოს	გამოურჩევია	გამორჩევა
ახარისხებს	ახარისხებდა	დაახარისხა	დაახარისხებს	დაახარისხოს	დაუხარისხებია	დახარისხება
აკმაყოფილებს	აკმაყოფილებდა	დააკმაყოფილა	დააკმაყოფილებს	დააკმაყოფილოს	დაუკმაყოფილებია	დაკმაყოფილება
იმახსოვრებს	იმახსოვრებდა	დაიმახსოვრა	დაიმახსოვრებს	დაიმახსოვროს	დაუმახსოვრებია	დამახსოვრება
იზეპირებს	იზეპირებდა	დაიზეპირა	დაიზეპირებს	დაიზეპიროს	დაუზეპირებია	დაზეპირება

დააკვირდით!

მი ---------- ია
გი ---------- ია
უ ---------- ია

ვიმახსოვრ**ებ** --- (და) –**მი**მახსოვრ**ებია**
იმახსოვრ**ებ** --- (და)– **გი**მახსოვრ**ებია**
იმახსოვრ**ებს** --- (და)– **უ**მახსოვრ**ებია**

ახლა/დღეს	არასდროს/ჯერ არ
ვადარებ	შემიდარებია
ვატარებ	ჩამიტარებია
ვავრცელებ	გამივრცელებია
ვაძლიერებ	გამიძლიერებია
ვართულებ	გამირთულებია
ვამარტივებ	გამიმარტივებია
ვახარისხებ	დამიხარისხებია
ვადასტურებ	დამიდასტურებია
ვაკმაყოფილებ	დამიკმაყოფილებია
ვინარჩუნებ	შემინარჩუნებია
ვიზეპირებ	დამიზეპირებია
ვიმახსოვრებ	დამიმახსოვრებია

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები. როგორია ეს პრინციპები?

სწავლა–სწავლების პროცესში მოსწავლის **გონება** დიდ ინფორმაციას **იღებს**. ამის გარდა, ბავშვი იწყებს სხვადასხვა **სააზროვნო** ოპერაციის შესრულებას. მოსწავლე ამუშავებს **მიწოდებულ** ინფორმაციას, **ანუ გამოარჩევს** მნიშვნელოვან ელემენტებს. დამუშავებული და **დახარისხებული** ინფორმაციით კი შექმნის ახალ ცოდნას.

ცოდნის მიღება **ეტაპობრივად** ხდება წინარე ცოდნის დახმარებით. მოსწავლე მიღებულ ცოდნას **გონებით** აკავშირებს არსებულთან. **მართლაც**, ძველი და ახალი ცოდნის დაკავშირებით იზრდება გააზრებისა და **დამახსოვრების** შესაძლებლობა. ბავშვი კი არ **იზეპირებს**, არამედ **იმახსოვრებს**, ანუ **მეხსიერებაში** აგროვებს ცოდნას.

მნიშვნელოვანია მოსწავლის ჩართვა მრავალფეროვან აქტივობებში (დისკუსია, პროექტზე მუშაობა, პრეზენტაცია, ოლიმპიადა, კონფერენცია, კონკურსები და ა.შ.). ამ დროს მოსწავლეები **თან** გამოცდილებას იღებენ, **თან** ცოდნისა თუ უნარების **დემონსტრირებას** ახდენენ.

ზოგჯერ მოსწავლეთა ცოდნის დონე არ **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს; თუ ბავშვი კარგად არ სწავლობს, **ე.ი.** მას **ჯერ არ** გაუაზრებია სწავლის პროცესი და **გონებაში** არ გაუცნობიერებია სწავლის მიზანი. სწავლის პროცესის გააზრება ნიშნავს, რომ ბავშვმა იცის, რა უნდა ისწავლოს, როგორ ისწავლოს, როგორ **დაახარისხოს** და როგორ დაიმახსოვროს. სწავლების თითოეულ **საფეხურზე** კი ბავშვს მასწავლებელი დაეხმარება, განსაზღვროს კონკრეტული მიზანი; ასევე, ის აუხსნის მოსწავლეს, როგორ მიაღწიოს სასურველ შედეგს.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა სააზროვნო ოპერაციებს ახორციელებს ბავშვი სწავლა–სწავლების პროცესში?
2. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს „მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება“?

3. როდის იმახსოვრებს მოსწავლე ახალ მასალას უკეთესად?
4. რისთვის არის საჭირო მოსწავლის ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში?
5. რატომ არ სწავლობს ზოგჯერ ბავშვი კარგად?

დააკვირდით!

ა)

ანუ = ესე იგი

თამარი თავის ოთახშია, **ანუ** ჯერ არ დაუსრულებია მეცადინეობა.

ესე იგი/ე.ი.

თამარი თავის ოთახშია, **ესე იგი** ჯერ არ დაუსრულებია მეცადინეობა.
თამარი თავის ოთახშია, **ე. ი.** ჯერ არ დაუსრულებია მეცადინეობა.

ბ)

მართლაც,

მართლაც, ძველი და ახალი ცოდნის დაკავშირებით იზრდება გააზრებისა და დამახსოვრების შესაძლებლობა.

1.2. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მოსწავლე ინტერნეტის დახმარებით ბევრ სასარგებლო ინფორმაციას **იღებს**.

მოსწავლეს ინტერნეტის დახმარებით ბევრი სასარგებლო ინფორმაცია **ჯერ არ მიუღია**.

1. მოსწავლე ახალ ინფორმაციას სხვადასხვა სიტუაციაში იყენებს.

---

2. გიგა გაკვეთილზე ხელს არ უშლის მასწავლებელს.

---

3. სამინისტრო განცხადებას ავრცელებს სკოლებში ახალი საგნის სწავლების შესახებ.

---

4. ლანას დედა ეხმარება საშინაო დავალების დაწერაში.

---

5. მოსწავლეთა ცოდნის დონე აკმაყოფილებს ესგ–ს მოთხოვნებს.

1.3. შეაერთეთ წინადადებები მოცემული კავშირებით (რომელიც, სადაც, რადგან, როცა, რაც) შექმენით რთული წინადადებები:

ნიმუში: მასწავლებელმა ბავშვზე უნდა იზრუნოს. ეს მას მოტივაციას აუმაღლებს.

მასწავლებელმა ბავშვზე უნდა იზრუნოს, **რაც** მას მოტივაციას აუმაღლებს.

1. კლასის მართვა ადვილია. მასწავლებელი ირჩევს სწავლების დემოკრატიულ სტილს.
2. პროფესიული განვითარებისთვის მასწავლებელს სჭირდება თვითანალიზი. ეს მნიშვნელოვანი უნარია.
3. ლიკა და მისი მეგობრები ექსკურსიაზე მიდიან. ისინი ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ.
4. მეექვსეკლასელებს ახალი მასწავლებელი ჰყავთ. ის ბავშვებს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს უვითარებს.
5. კოტე ბევრს მეცადინეობს. მან სასკოლო კონკურსში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

1.4. გაეცანით დევიდ პერკინსის მოსაზრებას. იმსჯელეთ, რატომ არის ეს მიდგომა მნიშვნელოვანი? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ:

„განათლების მიზნის მიღწევა მაშინაა შესაძლებელი, როცა მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, რასაც სწავლობენ; ამიტომ ცოდნაზე კი არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული, არამედ აზროვნებასა და ფიქრზე“.

დევიდ პერკინსი

ამერიკელი მეცნიერი, განათლების სპეციალისტი



1.5. მოისმინეთ ტექსტები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

მე ვარ ნინო ვაშაძე. მათემატიკა ძალიან მიყვარს. _____ _____, მათემატიკის სწავლა ძნელი არ არის. ჩვენი მასწავლებელი შედეგის _____ ორიენტირებული. გვიხსნის, როგორ გამოვიყენოთ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში, _____როგორ ამოვხსნათ კონკრეტული მაგალითი ან ამოცანა. თუ დავალება რთულია, გაკვეთილზე ჯგუფურად _____ _____ და ერთმანეთს _____. ამ დროს მასწავლებელი გვაკვირდება. თუ საჭიროა, გვეხმარება ვიპოვოთ პრობლემის გადაჭრის გზა: _____ მიმართულებას გვაძლევს, _____ კითხვებს გვისვამს.

ბ)

მე კოტე გაგუა ვარ, მათემატიკის მასწავლებელი. ჩემი საგნის სწავლა ადვილი არ არის. _____ მასალას სჭირდება გაგება–გააზრება და ანალიზი. არ მინდა _____, ამიტომ ყოველთვის ვაკავშირებ ძველ და ახალ ცოდნას. ახსნის გარეშე ბავშვებისათვის დავალება ჯერ არ _____. პრაქტიკულ დავალებებს გაკვეთილზე _____ ვასრულებთ. მოსწავლეებს ხშირად _____, თუ რატომ _____ ამოცანის ამოხსნისთვის ესა თუ ის გზა; ასე _____ ადვილია. ბავშვმა დაფასთანაც ხშირად უნდა იმუშაოს, რომ შეძლოს ცოდნის _____.

გ)

მე ლელა მესხი ვარ, ნინო ვაშაძის მშობელი. ჩვენს სკოლაში სწავლა–სწავლების პროცესის ყველა _____ ესგ–ს მოთხოვნებს _____. ჩემს შვილს საშინაო დავალების შესრულებაში ჯერ არ _____. სკოლაში _____ ცოდნას და გამოცდილებას ნინო გონებაში _____, კარგად _____ და პრაქტიკაში ეფექტურად იყენებს. ახლა სასკოლო ოლიმპიადაში _____ მონაწილეობას. პირველი და მეორე _____ წარმატებული იყო. ოჯახში ყველას გვაქვს გამარჯვების იმედი.

1.6. დააკვირდით ცხრილებს. დაწერეთ, რა არის მთავარი განსხვავება ცოდნის მოცემულ სამ კატეგორიას შორის?

ცოდნა		
I კატეგორია რა ვიცი?	**II კატეგორია როგორ გავაკეთო?**	**III კატეგორია როდის/რატომ გამოვიყენო?**
მოსწავლემ იცის წესები, თეორიები, ფაქტები.	ცოდნის ათვისება ხდება განმტკიცების და ბევრი სავარჯიშოს შესრულების გზით.	მოსწავლე მიღებულ ცოდნას იყენებს ადეკვატურად: იცის, როდის და ან რატომ გამოიყენოს ნასწავლი მასალა.

I კატეგორია	მოსწავლეს აქვს კონკრეტული ცოდნა, მაგრამ ვერ იყენებს.
II კატეგორია	მოსწავლეს აქვს ცოდნა და იცის, როგორ გამოიყენოს.
III კატეგორია	მოსწავლეს აქვს ცოდნა და იცის, როდის/რატომ გამოიყენოს.

1.7. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ კონსტრუქცია:

... მინდა+...+ნათ. ბრ. + სახელზმნა:

ნიმუში: ახალ მასალას ვიმახსოვრებ.
მინდა ახალი მასალ**ის დამახსოვრება.**

1. ახალი მასალის ახსნამდე საჭირო ინფორმაციას ვაგროვებ.
2. კოტე საჭირო გადაწყვეტილებას იღებს, როცა პრობლემა ხვდება.

3. მასწავლებელი კლასში კეთილგანწყობილ სიტუაციას ქმნის.
4. ოჯახი ბავშვის მოტივაციას ზრდის.
5. ზოგჯერ პედაგოგი მოსწავლის ქცევას აკონტროლებს.

1.8. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

დემონსტრირება	მრავალფეროვანი	აკმაყოფილებს	იმახსოვრებს	გამოცდილება

1. პრაქტიკოსი მასწავლებელი ბავშვებთან მუშობის დროს დიდ _____ აგროვებს.
2. _____ სასწავლო მასალა მოსწავლეს უკეთესად აზროვნებაში ეხმარება.
3. ბავშვები არ იზეპირებენ და ადვილად _____ მასალას, თუ ის ეტაპობრივადაა მიწოდებული.
4. სასკოლო აქტივობები ბავშვს ცოდნის _____ საშუალებას აძლევს.
5. მხოლოდ მასალის გაგება არ _____ და მინდა ცოდნის შენარჩუნება.

1.9. აღწერეთ სურათები. გააანალიზეთ მსგავსებები და განსხვავებები:

II ნაწილი საგნობრივი სასწავლო გეგმა

- რას არის საგნობრივი სასწავლო გეგმა?
- ვინ ადგენს ამ გეგმას?
- როგორ იყენებს მასწავლებელი საგნობრივ სასწავლო გეგმას?
- მოგწონთ თქვენი საგნის საგნობრივი გეგმა? რატომ?

ახალი სიტყვები	
რა? საგანი გეგმა ასაკი კრიტერიუმი ინდიკატორი ცვლილება განვითარება განსაზღვრა	**როგორი?** სრული არასრული დაწყებითი საბაზო საგნობრივი პრინციპული განვითარებული განსაზღვრული
ზმნები: აფასებს ცვლის გადასცემს მიჰყავს	**ფრაზები:** ცვლილების შეტანა სახვითი ხელოვნება შრომითი სწავლება

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
შეფასება	აფასებს	აფასებდა	შეაფასა	შეაფასებს	შეაფასოს	შეუფასებია
შეცვლა	ცვლის	ცვლიდა	შეცვალა	შეცვლის	შეცვალოს	შეუცვლია
გადაცემა	გადასცემს	გადასცემდა	გადასცა	გადასცემს	გადასცეს	გადაუცია
წაყვანა	მიჰყავს	მიჰყავდა	წაიყვანა	წაიყვანს	წაიყვანოს	წაუყვანია

შეადარეთ!



შეფასება	დაფასება
მასწავლებელი მოსწავლის ცოდნას აფასებს მასწავლებელი მოსწავლის ცოდნას შეაფასებს მასწავლებელმა მოსწავლის ცოდნა შეაფასა მაწავლებელს მოსწავლის ცოდნა შეუფასებია	მასწავლებელი მოსწავლის შრომას აფასებს მასწავლებელი მოსწავლის შრომას დააფასებს მასწავლებელმა მოსწავლის შრომა დააფასა მაწავლებელს მოსწავლის შრომა დაუფასებია
მოსწავლის შეფასება	**მოსწავლის დაფასება**

შეადარეთ!

აფასებს = ნიშანს უწერს	აფასებს = განსაზღვრავს მნიშვნელობას/ხარისხს
მასწავლებელი მოსწავლეს აფასებს მასწავლებელი მოსწავლეს შეაფასებს მასწავლებელმა მოსწავლე შეაფასა მაწავლებელს მოსწავლე შეუფასებია	მასწავლებელი ინფორმაციას კრიტიკულად აფასებს მასწავლებელი ინფორმაციას კრიტიკულად შეაფასებს მასწავლებელმა ინფორმაცია კრიტიკულად შეაფასა მაწავლებელს ინფორმაცია კრიტიკულად შეუფასებია

სრული ზოგადი განათლება



2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ჩვენს ქვეყანაში ყველას შეუძლია **სრული** ზოგადი განათლების მიღება. ამისთვის მოსწავლემ უნდა დაამთავროს ზოგადი განათლების სამივე საფეხური: **დაწყებითი**, **საბაზო** და საშუალო. თუ მოსწავლეს რომელიმე საფეხური არ დაუმთავრებია, მას ექნება **არასრული** ზოგადი განათლება.

ვიდრე მოსწავლე კლასიდან კლასში გადავა, ყველა **საგანში** უნდა **შეაფასონ**. შეფასება ხდება წინასწარ დადგენილი **კრიტერიუმების** საფუძველზე. შეფასებისთვის გამოიყენება **ინდიკატორებიც**.

მოსწავლეთა შედეგების შეფასების მიხედვით მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა **ცვლილების შეტანა** არის საჭირო სამუშაო პროცესში.

სასწავლო წლის დაგეგმვისთვის მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ **საგნობრივი სასწავლო გეგმები**. ამას **პრინციპული** მნიშვნელობა აქვს. საგნობრივი სასწავლო გეგმა აქვს ყველა საგანს: ანუ, „ძირითად“ საგნებს და **სახვით ხელოვნებას**, მუსიკას, ფიზიკურ აღზრდას, **შრომით სწავლებას** და ა.შ.

საგნობრივი სასწავლო გეგმა ესგ–ს ნაწილია. მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა **ასაკი** და შესაძლებლობები. საგნობრივი სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი ადგენს თემის გეგმას, გაკვეთილის გეგმას, საგნის გეგმას. საგნობრივი გეგმის დახმარებით მასწავლებელს ყოველთვის ადვილად **გადაუცია** ბავშვისთვის ცოდნა და ეტაპობრივად **წაუყვანია** იგი მარტივიდან რთულისკენ. მიღებული და დადგენილი გეგმა მასწავლებელს არ შეუძლია **შეცვალოს**. საგნობრივ სასწავლო გეგმაში **განსაზღვრული** არის:

- თითოეული საგანის სწავლების მიზნები და ამოცანები;
- ცოდნა, რომელსაც საგნობრივი **სტანდარტის** მიხედვით უნდა ფლობდეს მოსწავლე;
- უნარ–ჩვევები, რომლებიც მოსწავლეს უნდა ჰქონდეს **განვითარებული**.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სწავლების რამდენ საფეხურს ითვალისწინებს სრული ზოგადი განათლება? დაასახელეთ თითოეული მათგანი.
2. რა შემთხვევაში იქნება ზოგადი განათლება არასრული?
3. რატომ არის აუცილებელი მოსწავლის შეფასება ყველა საგანში?
4. თქვენი აზრით, რატომ აქვს პრინციპული მნიშვნელობა სასწავლო წლის დაგეგმვისთვის საგნობრივი სასწავლო გეგმის გამოყენებას?
5. რა არის განსაზღვრული საგნობრივი სასწავლო გეგმით?

დააკვირდით!



1.2. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მოსწავლე მხოლოდ საშინაო დავალების მიხედვით **შეაფასე**.
მოსწავლე მხოლოდ საშინაო დავალების მიხედვით **არ შეაფასო**!

1. დავით, გაკვეთილი დღეს სწავლების ჰუმანისტური მიდგომით ჩაატარეთ.
2. დედამ თქვა, გაკვეთილს რომ ისწავლი, ცხრილი დაიზეპირეო.
3. ელენეს უთხარი, სურათები დაახარისხოს, რადგან პრეზენტაციისთვის მჭირდება.
4. ახსნის დროს მასალა ძალიან გაამარტივე, რომ საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულება ძნელი არ იყოს.
5. დღეს პრეზენტაცია შენ წარმოადგინე, რადგან ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

2.3. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

აფასებს პრინციპული სრული განვითარებული გადასცემს

1. საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა არა მარტო უნდა _____ ცოდნა, არამედ უნდა შექმნას კომფორტული სასწავლო გარემო.
2. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის _____ მნიშვნელობა აქვს საგნობრივი სასწავლო გეგმის გამოყენებას.
3. საქართველოში თითქმის ყველა ახალგაზრდას აქვს _____ ზოგადი განათლება.
4. სასკოლო აქტივობები ბავშვს ცოდნის _____ საშუალებას აძლევს.
5. მოსწავლეს სხვადასხვა სახის ინტელექტი შეიძლება ჰქონდეს _____, რაც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს.

2.4. ა) წაიკითხეთ განმარტებები დამოუკიდებლად; დაწყვილდით, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ და გაუზიარეთ ერთმანეთს აზრი წაკითხულის შესახებ:

	საგნობრივი სტანდარტი – თითოეული კლასის მიხედვით აღწერს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტული საგანში და რა უნარ–ჩვევებს უნდა ფლობდეს. სტანდარტებში მოცემული ყველა შედეგის მიღწევა შესაძლებელია. თუმცა მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ხარისხით აღწევენ შედეგებს. ამრიგად, ბავშვს შეაფასებენ ან მაღალი, ან დაბალი ქულებით.
სასწავლო შედეგი – იმ ინფორმაციის, უნარ–ჩვევებისა და ღირებულებების ერთობლიობაა, რომელსაც მოსწავლეები იძენენ სწავლის პროცესში. სასწავლო შედეგები განსაზღვრული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის ნებისმიერი ნაწილისთვის (გაკვეთილი, კვირა, სემესტრი, სასწავლო წელი, საფეხური).	

	ინდიკატორი [ლათ. Indicator] – ესგ-ში ინდიკატორი აჩვენებს მიზნის მიღწევის დონეს. ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია შევაფასოთ დავალების შესრულების ხარისხი დადგენილი კრიტერიუმების ან მოთხოვნების საფუძველზე.
პროგრამის შინაარსი – სასწავლო საკითხების ერთობლიობა. მათი თანმიმდევრულად შესწავლით შესაძლებელია თითოეულ საგანში სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მიღწევა.	

ბ) განმარტებების მიხედვით დამოუკიდებლად შეავსეთ ცხრილი:

	სწორია	**არასწორია**	**არ ჩანს ტექსტში**
საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა სასწავლო შედეგის მიღწევა შესაძლებელია.			
პროგრამის შინაარსში ყოველთვის არ არის განსაზღვრული, რა საკითხები უნდა იცოდეს მოსწავლემ.			
ინდიკატორის დახმარებით ვიგებთ, როგორია მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხი.			
სასწავლო შედეგი შეიძლება ერთნაირი არ იყოს კლასის მართვის სხვადასხვა სტილის გამოყენების შემთხვევაში.			
მნიშვნელოვანია, რა ისწავლა და როგორ ისწავლა ბავშვმა			
სასწავლო შედეგის ხარისხზეა დამოკიდებული, ბავშვს დაბალი ქულით შეაფასებენ თუ მაღალი ქულით.			
თანამშრომლობითი სწავლება საუკეთესო შედეგის მიღწევის საშუალებაა.			

2.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ლიზა, თქვენი ნახვა მინდოდა.
- გისმენთ, ქალბატომო თამარ.
- ლიზა, ალბათ იცით, რომ ---------- სასწავლო გეგმით არის ----------, რა ცოდნაც უნდა გადასცეს მოსწავლეს მასწავლებელმა.
- დიახ, ვიცი, მაგრამ რამდენიმე საკითხის შეცვლა მინდა.
- ჯერ ხომ არაფერი ----------?
- ჯერ არა.
- ძალიან კარგი. არ შეცვალოთ! საგნობრივი სტანდარტის დაცვა ---------- მნიშვნელობის საკითხია. საგნის სასწავლო გეგმა მასწავლებელს ---------- სასწავლო პროცესის სწორად

დაგეგმვაში. განსაზღვრულია საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები. ———————— იცი, იცი თითოეულ კლასში რა ცოდნა უნდა ———————— მოსწავლეებს და რა უნარ-ჩვევები უნდა განუვითარდეთ მათ.

- სტანდარტებში მოცემულ შედეგებს ყველა ბავშვი ————————?
- ჩემი აზრით, ყველა შედეგის მიღწევა შეიძლება, თუმცა ამას ყველა ვერ აკეთებს.
- რატომ?
- ყველა მოსწავლეს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვს. ———————— ხარისხიც განსხვავებულია და ———————— შედეგიც.

ბ)

- ნატა, რა ———————— ასწავლი?
- მათემატიკას.
- რა ———————————— აფასებ მოსწავლეებს?
- ———————————— ვიყენებ. იქ ყველაფერი განსაზღვრულია.
- სამივე ————————————?
- რა თქმა უნდა. ————————, ———————— და საშუალო საფეხურებისთვის სპეციალურად არის განსაზღვრული კრიტერიუმები. ყველაფერი გათვალისწინებულია: ბავშვის ———————— და ინტელექტუალური შესაძლებლობები.
- მომწონს ესგ-ს მიხედვით, რომ სწავლა შედეგზეა ორიენტირებული და უფრო მეტად მომწონს ———————— შედეგზე ორიენტირებული სწავლება. შენ?
- საგნობრივი სასწავლო გეგმის მიხედვით, შედეგები განსაზღვრული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ნებისმიერი საფეხურისთვის. ————————, ერთნაირად მნიშვნელოვანია თითოეული გაკვეთილის, კვირის, სემესტრის და სასწავლო წლის შედეგი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს ბავშვი მაღალი ხარისხის ———————— ზოგად განათლებას.

1.6. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მოსწავლეები საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების მიხედვით **შევაფასე**.
მოსწავლეები საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების მიხედვით **უნდა შევაფასო**.

1. კოტე გაკვეთილზე იყენებს როგორც განმსაზღვრელი, ისე – განმავითარებელი შეფასების ფორმებს.
2. კარგი მასწავლებელი გაკვეთილზე ყოველთვის ინარჩუნებს დისციპლინას.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს განცხადებას ახალი სასწავლო წლის დაწყების შესახებ.
4. სკოლაში სასწავლო ნაწილთან ვიხილავთ ყველა პრობლემას და ერთად ვეძებთ გადაჭრის გზას.
5. შენს ასაკში ადამიანი ადვილად იმახსოვრებს ინფორმაციას

1.7. ჩასვით სათანადო თანდებული (შესახებ/მიმართ):

1. ჩემი აზრით, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართულობის ————————————.
2. მასწავლებლები მსჯელობენ სამუშაო პროცესში ცვლილებების შეტანის ————————————.
3. საგნობრივი სტანდარტის ———————————— მასწავლებლების დამოკიდებულება ერთნაირი არ არის.

4. ტრენინგზე ისაუბრეს საგნობრივი პროგრამის და ინდიკატორის ——————————.
5. სწავლების დემოკრატიული სტილის გამოყენების დროს მასწავლებელი პატივისცემას გამოხატავს ყველა მოსწავლის ——————————.

1.8. შეავსეთ ცხრილი; ჩაწერეთ ცხრილში შედეგის შესაბამისი კრიტერიუმები:

საგნობრივი კათედრა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა
საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა
მასწავლებლის სახელი და გვარი	თამარ თეთრაძე
კლასი	III კლასი
მოსწავლეების რაოდენობა	12 მოსწავლე
გაკვეთილის თემა	სულხან–საბა ორბელიანის „კუ და მორიელი“
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტს. გადმოსცემენ შინაარსს. დაახასიათებენ პერსონაჟებს. შეაფასებენ მათ საქციელს.
სასწავლო შედეგი	• სათაურის მიხედვით გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ • გეგმის მიხედვით შეუძლიათ შინაარსის გადმოცემა • აღწერენ და ახასიათებენ პერსონაჟებს • ცდილობენ საკუთარი მოსაზრების დასაბუთებას.
კრიტერიუმი	

1.9. დაფიქრდით; ისაუბრეთ, იმსჯელეთ მეწყვილესთან სქემის შესახებ:

საგნობრივი სასწავლო გეგმა		
საგნობრივი სტანდარტი		**საგნობრივი პროგრამა**
სასწავლო შედეგი	**ინდიკატორი**	

III ნაწილი სასწავლო გეგმები

- როგორ ფიქრობთ, ყველა საგანს სჭირდება სასწავლო გეგმა? რატომ?
- როგორ გეხმარებათ მუშაობაში სასწავლო გეგმა?
- თქვენი აზრით, რა სახის ცვლილების შეტანას ითხოვს სასწავლო პროცესი საქართველოს სკოლებში?

ახალი სიტყვები	
რა? ტიპი ნაბიჯი რესურსი გამოცდა კომპონენტი თვითანალიზი თვალსაჩინოება სტრუქტურირება	როგორი? დამხმარე ნაბიჯ–ნაბიჯ მიღწეული განკუთვნილი ფსიქოლოგიური სტრუქტურირებული
ზმნები: აწოდებს მოიცავს ურჩევს ხედავს	ფრაზები: საგნის გეგმა = წლიური გეგმა თემის გეგმა = თემატური გეგმა კლასგარეშე საკითხავი თავიდან ბოლომდე

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
მიწოდება	აწოდებს	აწოდებდა	მიაწოდა	მიაწოდებს	მიაწოდოს	მიუწოდებია
მოცვა	მოიცავს	მოიცავდა	მოიცვა	მოიცავს	მოიცვას	მოუცავს
დანახვა	ხედავს	ხედავდა	დაინახა	დაინახავს	დაინახოს	დაუნახავს
რჩევა	ურჩევს	ურჩევდა	ურჩია	ურჩევს	ურჩიოს	ურჩევია

დააკვირდით!

–ურ–

წელი – წლი–ურ–ი
თემა – თემატ – ურ– ი
გეგმა – გეგმი–ურ– ი

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

როგორი უნდა იყოს ცოდნა, რომელსაც მასწავლებელი ბავშვს გადასცემს? ჯონ დიუის აზრით, სწავლებისთვის **განკუთვნილი** ცოდნა ორგანიზებული უნდა იყოს არა მარტო ლოგიკურად, არამედ **ფსიქოლოგიურადაც**: უნდა **ვხედავდეთ**, როგორ შეიძლება იდეების **სტრუქტურირება** და დაკავშირება ცოდნის ამ სფეროში; როგორ **მივაწოდოთ** მოსწავლეებს ინფორმაცია **ნაბიჯ–ნაბიჯ**, ეტაპობრივად მათი ზრდისა და განვითარების შესაბამისად. ამიტომ სასწავლო წელი უნდა დაიწყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვით.

განთლების სამინისტრო **გვირჩევს**, რომ საგნობრივმა კათედრებმა გეგმები დაწერონ ეროვნული სასწავლო და საგნობრივი სასწავლო გეგმების საფუძველზე. გეგმა უნდა **მოიცავდეს** ყველა საჭირო **კომპონენტს**. დაგეგმვის დროს მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის მიერ **მიღწეულ** შედეგებზე. ითვალისწინებს, თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს, სწავლის სტილს და ინტერესებს. სწორად **დაგეგმილი** სასწავლო პროცესი ამარტივებს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას; მასწავლებლის მუშაობა არის **სტრუქტურირებული** და ორგანიზებული; ეფექტურად იყენებს არა მარტო ძირითად, არამედ **დამხმარე რესურსებს**. მოსწავლის მოტივაცია მაღალია და ის **ინტერესით** არის ჩართული სწავლა–სწავლების პროცესში.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები რამდენიმე **ტიპის** სასწავლო გეგმას ადგენენ, ესენია: საგნის გეგმა, თემის გეგმა, გაკვეთილის გეგმა.



ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორ გესმით ფრაზა: „ცოდნა ორგანიზებული უნდა იყოს არა მარტო ლოგიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც“?

2. რატომ უნდა დაიწყოს სასწავლო წელი სასწავლო პროცესის დაგეგმვით?
3. რა განსხვავებაა ძირითად და დამხმარე რესურსებს შორის?
4. რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, როცა სასწავლო გეგმას წერს?
5. რა და რა სახის სასწავლო გეგმა არსებობს? თქვენ რომელი შეგიდგენიათ?

3.2. ა) შეარჩიეთ შესიტყვება და ესაუბრეთ მეწყვილეს ამ თემაზე.



ბ) ნიმუშის მიხედვით გახაზეთ ყველაზე მისაღები განმარტება:

ნიმუში: სასწავლო გარემო	ა) სკოლის შენობა ბ) სკოლის ეზო **<u>გ) საკლასო ოთახი</u>**
სასწავლო პროცესი	ა) ცოდნის გადაცემა და მიღება ბ) დაგეგმვა გ) მეცადინეობა
სასწავლო რესურსი	ა) მოტივაცია და გამოცდილება ბ) წიგნი, რვეული, თვალსაჩინოება და ა.შ. გ) მაგიდა და სკამი
სასწავლო გეგმა	ა) პროგრამის კომპონენტები ბ) პროგრამის შინაარსი გ) გაკვეთილების ცხრილი
სასწავლო შედეგი	ა) შეფასების კრიტერიუმები ბ) მიღებული ინფორმაციისა და უნარ–ჩვევების ერთობლიობა გ) დავალების ხარისხი

3.3. შეარჩიეთ და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები საჭირო ფორმით :

ეტაპობრივი/სტრუქტურირებული; მიწოდებული/განკუთვნილი; პრინციპული/განსაზღვრული; განვითარებული/მიღწეული; არასრული/დაწყებითი; **ფსიქოლოგიური/დამხმარე.**

ნიმუში: სწავლებისთვის განკუთვნილი ცოდნა **___ფსიქოლოგიურად___** ორგანიზებული უნდა იყოს.

1. ჩვენს ახალ მასწავლებელს სასწავლო მასალა _____ მიუწოდებია მოსწავლეებისთვის.
2. ესგ მასწავლებლებისთვისაა _____ , რომ ადვილად დაგეგმონ სასწავლო პროცესი.
3. საგნობრივი გეგმით _____ რა ცოდნას და უნარებს უნდა ფლობდეს მოსწავლე სასწავლო პროცესის კონკრეტულ ეტაპზე.
4. მოსწავლის მიერ _____ შედეგი ეხმარება მასწავლებელს თვითანალიზის ჩატარებაში.
5. ზოგადი განათლების _____ საფეხურზე ბავშვი აგროვებს ცოდნას საბაზო საფეხურისთვის.

3.4. დააკავშირეთ ერთი და იმავე მნიშვნელობის ზმნები და შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ კავშირი „ანუ“ (ე.ი.):

გადასცემს	გამოხატავს
წარმოადგენს	აკეთებს
გამოთქვამს	სწავლობს
ასრულებს	არის
ითვისებს	აძლევს

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

3.5. ა) მოისმინეთ ტექსტები:

საგნის გეგმა (ანუ წლის/წლიური გეგმა). მასში განსაზღვრულია სწავლების საფეხური, საგნის მიზანი და ამოცანები; საკითხები, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა ახსნას მასწავლებელმა, ე.ი. პროგრამის შინაარსი; შედეგები, რომლებიც წლის ბოლოს უნდა იყოს მიღწეული, ე.ი. სასწავლო შედეგი; სასწავლო რესურსები, ე.ი. სასწავლო მასალა: ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, ვიდეო და აუდიო მასალა და ა.შ. სწავლების მეთოდები, რომლებითაც უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა ამ საკითხების შესწავლა და მოსწავლის შეფასება.

თემის გეგმა (ანუ, თემატური გეგმა). იგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: თემებს, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განიხილონ; თითოეული თემის მიზნებს და შედეგებს, რომლებიც უნდა იყოს მიღწეული; სწავლების მეთოდებს, სასწავლო მასალას, საჭირო აქტივობებს; შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს; მასწავლებლის თვითშეფასებას, ანუ თვითანალიზს; კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) არსებობის შემთხვევაში თემის გეგმა უნდა მოიცავდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასაც (ისგ).

გაკვეთილის გეგმა. იგი აღწერს ერთ კონკრეტულ გაკვეთილს თავიდან ბოლომდე და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: გაკვეთილის თემის სათაური და მიზანი; სასწავლო აქტივობები და მეთოდები; სასწავლო რესურსები (ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელოები, ვიდეო ან აუდიო მასალა, თვალსაჩინოებები ა.შ.); თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო; კლასის ორგანიზების ფორმები; შეფასების კონკრეტული მეთოდები და შეფასების ფორმები; გაკვეთილის ბოლოს მიღწეული შედეგი; მასწავლებლის თვითშეფასება, ანუ თვითანალიზი.

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ ტექსტები და ცხრილში ჩაწერეთ თითოეული გეგმის მთავარი მახასიათებლები:

საგნის გეგმა	თემის გეგმა	გაკვეთილის გეგმა

3.6. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები საჭირო ფორმით:

მოიცავს	ხედავს	აკმაყოფილებს	იზეპირებს	იმახსოვრებს

1. მასწავლებელი უნდა _____ თავისი შრომის შედეგს.
2. კატოს ყველაფერი კარგად _____ და დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე შეუსრულებია დავალება.
3. წერილობითი კომუნიკაცია უნდა _____ შეფასებას და კომენტარს, ანუ უკუკავშირს.
4. მასწავლებელი მაშინ გადის შედეგზე, როცა _____ ესგ–ს ყველა მოთხოვნას და რეკომენდაციას.
5. ნოდარს წესები _____, მაგრამ ამოცანები არ ამოუხსნია.

3.7. ა) წაიკითხეთ ინფორმაცია:

ეს საინტერესოა!

იაპონელ მოსწავლეებს **გამოცდები** მეოთხე კლასამდე (10 წლამდე) არ აქვთ. ისინი მხოლოდ პატარა დამოუკიდებელ დავალებებს ასრულებენ. იაპონიაში თვლიან, რომ სწავლების პირველ 3 წელიწადში ცოდნის მიცემაზე მნიშვნელოვანი აღზრდაა. ბავშვებს უნდა შეეძლოთ სხვა ადამიანებისა თუ ცხოველების პატივისცემა; უნდა იცოდნენ, რა არის საჭირო ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისთვის; განვითარებული უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და აკონტროლებდნენ საკუთარ ქცევას.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ეს ინფორმაცია და ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულება ამ საკითხის შესახებ:

3.8. იპოვეთ შეცდომა წინადადებებში და გაასწორეთ:

1. მოსწავლეთა ცოდნის დონე შეიძლება არ აკმაყოფილებდე სტანდარტის მოთხოვნას.
2. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მთავარი პრინციპია სასწავლო პროცესის დაგეგმვა ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
3. ექსპერტები გვირჩევენ, ახალი მასალის მიწოდება დაიწყოთ წინარე ცოდნის გახსენებით.
4. ერეკლეს სახელოსნოში მინდა მუშაობა, რადგან არასრული ზოგადი განათლება აქვს.
5. მეხუთე კლასში ერთი გოგონა გაუგებრად საუბრობს, ე.ი. თემის გეგმა უნდა მოიცავდეს ინდივიდუალურმა სასწავლო გეგმასაც (ისგ).

3.9. აღწერეთ სურათები. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?

III თავი კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

I ნაწილი სწავლა კეთებით, სწავლა აღმოჩენებით



- თქვენი გამოცდილებით, რა შემთხვევაშია ადვილი სწავლება?
- თქვენი გამოცდილებით, რა შემთხვევაშია ადვილი სწავლა?
- როგორ შეიძლება დაეხმაროს მასწავლებელი მოსწავლეს, რომ სწავლების პროცესი იყოს ეფექტური?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა? მრჩეველი / ფასილიტატორი ინდივიდი როლი სიახლე აღმოჩენა ძიება ინტერაქცია მითითება მოპოვება ინტეგრირება კონსტრუირება	**როგორი?** აღმოჩენილი სოციალური **როგორ?** ინდივიდუალურად გონივრულად
ზმნები: აღმოაჩენს მოიპოვებს აღნიშნავს ასახავს უსვამს	**ფრაზები:** განათლების თეორიები სწავლა კეთებით აღმოჩენებით სწავლა

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
აღმოჩენა	აღმოაჩენს	აღმოაჩენდა	აღმოაჩინა	აღმოაჩენს	აღმოაჩინოს	აღმოუჩენია
მოპოვება	მოიპოვებს	მოიპოვებდა	მოიპოვა	მოიპოვებს	მოიპოვოს	მოუპოვებია
აღნიშვნა	აღნიშნავს	აღნიშნავდა	აღნიშნა	აღნიშნავს	აღნიშნოს	აღუნიშნავს
ასახვა	ასახავს	ასახავდა	ასახა	ასახავს	ასახოს	აუსახავს
დასმა	უსვამს	უსვამდა	დაუსვა	დაუსვამს	დაუსვას	დაუსვამს

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

განათლების თეორიების მიხედვით, სწავლა–სწავლება აქტიური პროცესია. მისი მიზანი არ არის მხოლოდ ფაქტების სწავლება და ცოდნის ათვისება, მნიშვნელოვანია **ინდივიდის** ცოდნისა და უნარების **ინტეგრირება** მისი მოქალაქედ და პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით.როდის არის სწავლა–სწავლება წარმატებული და როგორია მასწავლებლის როლი ამ პროცესში?

ჯონ დიუი **აღნიშნავს,** რომ წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა გამოცდილებით და **სოციალური ინტერაქციით** ცოდნის **მოპოვება**. მისი აზრით, ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ კეთებით, ანუ როცა თვითონ ქმნიანრამეს.დიუისშეხედულებით,სწავლებაპრაქტიკული ელემენტის გარეშე არაეფექტურია, ამიტომ **„სწავლა კეთებით“** სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპია. მასწავლებლის **მითითება** უნდა დაეხმაროს მოსწავლეს, ახალი ცოდნა დააკავშიროს საკუთარ გამოცდილებასთან და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში. მასწავლებელი არის **მრჩეველი**, **ფასილიტატორი**.

ჯერომ ბრუნერის აზრით, ყველაზე კარგი მეთოდი **აღმოჩენებით სწავლაა;** მოსწავლემ ცოდნა **ინდივიდუალურად** უნდა **მოიპოვოს**. ბრუნერის თეორიის მიხედვით, მასწავლებელი შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მოსწავლეს, თვითონ **აღმოაჩინოს** ახალი ცოდნის ძირითადი პრინციპები. დავალების შესრულება მოსწავლისგან უნდა მოითხოვდეს ფიქრს, ანალიზს, პრობლემის გადაჭრის გზების **ძიებას** და ა.შ. მოსწავლე უნდა ახდენდეს ცოდნის **კონსტრუირებას** – არსებული ცოდნის საფუძველზე აგებდეს **აღმოჩენილ** ცოდნას.

და ბოლოს, აღმოჩენებით სწავლა განსაკუთრებით ეფექტურია, როცა მას მასწავლებელი **გონივრულად** მართავს. მან ისეთი კითხვა უნდა **დაუსვას** მოსწავლეს, როგორიც დაეხმარება პასუხის მოძიებაში და **სიახლის** პოვნაში. მასწავლებლის მუშაობის ხარისხი შედეგზე უნდა **აისახოს**.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა არის სწავლა–სწავლების მთავარი მიზანი?
2. როგორ გესმით გამოთქმა: „ცოდნისა და უნარების ინტეგრირება“?
3. ეთანხმებით ჯონ დიუის შეხედულებას? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ.
4. ეთანხმებით ჯერომ ბუნერის შეხედულებას? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ.
5. რა როლს ასრულებს მასწავლებელი სწავლა–სწავლების პროცესში?

დააკვირდით!

რჩევა	მ – რჩევ – ელ – ი
ზრუნვა	მ – ზრუნვ – ელ – ი

დაიმახსოვრეთ!

უარყოფითი მიმღეობა
უ – ; უ–ელ;
შეზღუდული – შეუზღუდავი
დაკავშირებული – დაუკავშირებელი

ალბათ + მომავალი დრო	**მინდა** + II კავშირებითი	**შეიძლება** + II კავშირებითი
ალბათ **აღმოვაჩენ**	მინდა **აღმოვაჩინო**	შეიძლება **აღმოვაჩინო**
ალბათ **დავიცავ**	მინდა **დავიცვა**	შეიძლება **დავიცვა**

თურმე + I თურმეობითი
თურმე **აღმომიჩენია**
თურმე **დამიცავს**

1.2. ა) ტექსტის მიხედვით ჩაწერეთ ბურთებში შესაბამისი კომპონენტები:



ბ) იმსჯელეთ მასწავლებლის ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

1.3. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: პრაქტიკული ელემენტის ჩართვა**, ალბათ, გაამარტივებს** სწავლებას.
პრაქტიკული ელემენტის ჩართვას **თურმე გაუმარტივებია** სწავლება.

1. მასწავლებელი ალბათ დაუსვამს კითხვებს გიორგის და დაეხმარება სიახლის პოვნაში.
2. კოტე ძალიან ბეჯითია და ალბათ ინდივიდუალურად მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას.
3. მასწავლებლის შეფასება ალბათ ობიექტურად ასახავს მოსწავლის ცოდნის დონეს.
4. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე ალბათ აღმოაჩენს ახალ ცოდნას.
5. სასწავლო ნაწილი ალბათ აღნიშნავს, რომ თემატური გეგმა თვითანალიზსაც მოიცავს.

1.4. ა) შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

გაკეთებული	გაუკეთებელი
დაფასებული	
მოწესრიგებული	
დახარისხებული	
განვითარებული	
განსაზღვრული	
მიღწეული	
აღმოჩენილი	

ბ) შეადგინეთ წინადადებები უარყოფითი მიმღეობების გამოყენებით.

1.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ქალბატონო ნინო, რას ფიქრობთ ჯონ დიუის მოსაზრებებზე?
- დიუი ——————**,** რომ ბავშვები ადვილად სწავლობენ ——————. ვეთანხმები მას და ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა.
- ანუ როცა გამოცდილებას იღებენ?
- დიახ, რა თქმა უნდა. როცა —————— თვითონ ქმნის რამეს, ახალ ინფორმაციას ——————— ——————— იგებს და იაზრებს.
- ამ პროცესში როგორია თქვენი, როგორც მასწავლებლის როლი?
- მე —————— ვარ, ანუ მრჩეველი. კითხვები უნდა —————— და დავეხმარო მოსწავლეს, რომ ახალი ცოდნა —————— გამოცდილებასთან. ჩემი აზრით, სწავლა აქტიური პროცესია. მოსწავლემ —————— უნდა შეძლოს პრობლემის განსაზღვრა, მისი სირთულის შეფასება და გადაჭრის გზების ——————.

- ასე ნამდვილად ადვილი იქნება ახალი ცოდნის ——————————.

ბ)

- ოთარ, თქვენ —————————— პედაგოგი ხართ. ——————————, როდის სწავლობენ მოსწავლეები ადვილად?
- მე ბრუნერის თეორიას ვეთანხმები. ბავშვი ადვილად მაშინ სწავლობს, როცა არსებული ცოდნის საფუძველზე —————————— ახალ ცოდნას.
- მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ახალი ცოდნა?
- დიახ, დიახ. სწავლების პროცესი ისე უნდა იყოს ——————————, რომ მოსწავლემ თვითონ იპოვოს ——————————.
- „ცოდნის——————————“ რას ნიშნავს?
- ცოდნის კონსტრუირება ნიშნავს არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას.
- მასწავლებლის ამოცანა რა არის?
- მან უნდა —————————— მოსწავლე, რომ ჰქონდეს კითხვებზე პასუხის მოძიების სურვილი; ბავშვს უნდა მისცეს ახალი ცოდნის —————————— შესაძლებლობა; ხელი შეუწყოს ჯგუფში —— —————————— განვითარებას; მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს —————————— სიახლეებზე.

... ისეთი ..., როგორიც ...

მასწავლებელმა ისეთი კითხვა დასვა, როგორიც მოსწავლეს პასუხის მოძიებაში დაეხმარა.

1.6. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: შევადგინე შეფასების სქემა. ის განმავითარებელ შეფასებზე მუშაობის საშუალებას მაძლევს.
შევადგინე შეფასების **ისეთი** სქემა, **როგორიც** განმავითარებელ შეფასებაზე მუშაობის საშუალებას მაძლევს.

1. სასწავლო პროცესში მოსწავლეები აკვირდებიან ვიზუალურ მასალს. ის მათ უვითარებს დამოუკიდებელ აზროვნებას და სიახლის პოვნის უნარს.
2. მასწავლებელმა მითითება მოგვცა. ის დაგვეხმარა ახალი ცოდნის გამოცდილებასთან დაკავშირებაში.
3. მოსწავლემ მოიძია ინფორმაცია და გამოიყენა პრეზენტაციის მომზადებისთვის.
4. სექტემბრიდან ბავშვებს ასწავლიან ახალ საგანს. ის ხელს შეუწყობს სოციალური უნარების განვითარებას.
5. ზგემ–ი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი. იგი აღწერს სრულფასოვანი მოქალაქის მახასიათებლებს.

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო ნაწილაკი:

არა	ვერა	ნუ

1. მოსწავლეს ისეთ მითითებას ———————— მისცემთ, რომელიც სასურველი მიზნის მიღწევაში ხელს ———————— შეუწყობს.
2. განათლების მიზანი ———————— მხოლოდ ფაქტების სწავლება, არამედ პიროვნების ცოდნისა და

უნარების ინტეგრირებაა.

3. თუ ადამიანმა ––––––––––––––– მიიღო სრული ზოგადი განათლება, რთული იქნება მიზნის მიღწევა.
4. ვიდრე გაკვეთილს კარგად ––––––––––––––– ისწავლი, სავარჯიშოებს ––––––––––––––– დაწერ.
5. პრინციპული მნიშვნელობა ––––––––––––––– აქვს, მასალას ეტაპობრივად დაიმახსოვრებ თუ დაწერ.

1.8. მოცემული სიტყვები შესაბამისი ფორმით ჩასვით საჭირო ადგილას ნიმუშის მიხედვით:

კონსტრუირება	მრჩეველი	მითითება	ინდივიდი	აღმოჩენა	ინტერაქცია

ნიმუში: მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ცოდნის **კონსტრუირების** უნარი.

1. ინდიკატორის საშუალებით შეიძლება შევაფასოთ თითოეული ––––––––––––––––––– ცოდნის დონე.
2. პედაგოგმა უნდა მისცეს ბავშვს ––––––––––––––––––––––––––– გაკეთების შესაძლებლობა.
3. ––––––––––––––––––––––– დახმარებით, ნაბიჯ–ნაბიჯ მიდის მოსწავლე სიახლის აღმოჩენისკენ.
4. მასწავლებელმა, როგორც ––––––––––––––––––––––, ანუ ფასილიტატორმა მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბოს კრიტიკული აზროვნება.
5. განათლების ერთ–ერთი თეორიის თანახმად, სოციალური ––––––––––––––––––– ცოდნის შეძენა ყველაზე სასარგებლო მეთოდია.

1.9. წაიკითხეთ ჯერომ ბრუნერის მოსაზრება და იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა მას. თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ:

ნებისმიერი ასაკის ბავშვს შეიძლება ვასწავლოთ ნებისმიერი საგნის საფუძვლები, თუ ცოდნას მისთვის გასაგები ფორმით მივაწვდით.

II ნაწილი კონსტრუქტივისტული თეორია

- გაიხსენეთ, რა არის კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მიზანი?
- რა აქტივობებს იყენებს მასწავლებელი კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს?
- როგორ გესმით გამოთქმა:„მასწავლებელი არის საყრდენი“?

ახალი სიტყვები

ვინ/რა?
მონაწილე
ფაზა
კონსტრუქტივიზმი
გამოყოფა
მიდგომა
გამოწვევა
წვდომა
რეფლექსია

ზმნები:
ამახვილებს
ამცირებს
ააქტიურებს
აჯამებს
ყოფს
გამოყოფს
იხსენებს

როგორი?
გამოცდილი
აგებული
თვითმოტივირებული
სიღრმისეული

ფრაზები:
კონსტრუქტივისტული თეორია
კოგნიტური კონსტრუქტივიზმი
სოციალური კონსტრუქტივიზმი
სოციალური ურთიერთობები
კონსტრუქტივისტული გაკვეთილი
სიღრმისეული წვდომა
სააზროვნო ოპერაციები
განვითარების სტადიები

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
გამახვილება	ამახვილებს	ამახვილებდა	გაამახვილა	გაამახვილებს	გაამახვილოს	გაუმახვილებია
შემცირება	ამცირებს	ამცირებდა	შეამცირა	შეამცირებს	შეამციროს	შეუმცირებია
გააქტიურება	ააქტიურებს	ააქტიურებდა	გააააქტიურა	გააააქტიურებს	გააქტიუროს	გაუაქტიურებია
შეჯამება	აჯამებს	აჯამებდა	შეაჯამა	შეაჯამებს	შეაჯამოს	შეუჯამებია

გაყოფა	ყოფს	ყოფდა	გაყო	გაყოფს	გაყოს	გაუყვია
გამოყოფა	გამოყოფს	გამოყოფდა	გამოყო	გამოყოფს	გამოყოს	გამოუყვია
გახსენება	იხსენებს	იხსენებდა	გაიხსენა	გაიხსენებს	გაიხსენოს	გაუხსენებია

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სწავლების ერთ–ერთ ცნობილ თეორიას **კონსტრუქტივიზმი** ჰქვია. მისი შექმნა უკავშირდება ჟან პიაჟესა (კოგნიტური კონსტრუქტივიზმი) და ლევ ვიგოტსკის (სოციალური კონსტრუქტივიზმი) სახელებს.

ჟან პიაჟეს აზრით, ბავშვები **თვითმოტივირებული** პიროვნებები არიან. ისინი თვითონ მართავენ თავიანთი კოგნიტური განვითარების პროცესს; სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციების გამოყენებით ნაბიჯ–ნაბიჯ გადადიან განვითარების ახალ, უფრო მაღალ სტადიაზე.

ლევ ვიგოდსკი ყურადღებას **ამახვილებდა** სწავლების პროცესის სოციალურ ხასიათზე. ბავშვები სწავლობენ უფროსებთან ან უფრო **გამოცდილ** თანატოლებთან კომუნიკაციის შედეგად.

კონსტრუქტივისტული **მიდგომის** მიხედვით, სასწავლო პროცესი ისეა **აგებული**, რომ მივაღწიოთ მთავარ მიზანს: მოსწავლეებს ვასწავლოთ ახალი ინფორმაციის მოპოვება, აზროვნება და ცოდნის კონსტრუირება, ანუ აგება.

კონსტრუქტივისტულ გაკვეთილში შეიძლება სამი **ფაზის გამოყოფა**.



- **გამოწვევა**. მასწავლებელი გაკვეთილს კითხვების დასმით იწყებს – **ააქტიურებს** წინარე ცოდნას – მოსწავლეები **იხსენებენ** რაც იციან გაკვეთილის თემის ირგვლივ.
- **სიღრმისეული წვდომა**. მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს და ბავშვებს ეხმარება ახალი მასალის გაგებაში. მოსწავლეები სასწავლო პროცესის აქტიური **მონაწილეები** არიან. ისინი ამ ეტაპზე **გამოყოფენ** ძირითად საკითხებს.
- **რეფლექსია**. მოსწავლეები **აჯამებენ** თემას და აკეთებენ თვითშეფასებას: რა იყო ახალი და საინტერესო მიწოდებულ მასალაში, რა დარჩა გაუგებარი და ა.შ.

მასწავლებელმა უნდა ითანამშრომლოს მოსწავლეებთან, მათთვის იყოს საყრდენი. დროთა განმავლობაში კი ნელ–ნელა **შეამციროს** დახმარება და შესაძლებლობა მისცეს მათ, იყვნენ დამოუკიდებლები ცოდნის მიღებისას.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას ნიშნავს გამოთქმა: „ბავშვები თვითმოტივირებული პიროვნებები არიან“?
2. რა არის კონსტრუქტივისტული მიდგომის მთავარი მიზანი?
3. რამდენი და რომელი ფაზები გამოიყოფა კონსტრუქტივისტულ გაკვეთილში?
4. რა არის გამოწვევის ფუნქცია?
5. რისთვისაა საჭირო რეფლექსიის ფაზა?

დააკვირდით!

ყოფს ის მას	**გამოყოფს ის მას**
მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობისას კლასი შეიძლება ორ ნაწილად გაყოს.	გაკვეთილის ახსნის დროს მასწავლებელმა მთავარი საკითხები უნდა გამოყოს.

1.2. ყურადღებით გაეცანით ჟან პიაჟეს და ლევ ვიგოდსკის მოსაზრებებს. რა განსხვავებაა მათ შორის? აირჩიეთ პოზიცია. მეწყვილესთან ერთად იმსჯელეთ და შეეცადეთ დაასაბუთოთ, რომ თქვენ ხართ სწორი.

განვითარება წინ უძღვის სწავლას.
ჟან პიაჟე

სწავლა წინ უძღვის განვითარებას.
ლევ ვიგოდსკი

დააკვირდით!

სურვილი (☺)	**აუცილებლობა (!)**	**შესაძლებლობა (?)**
მე მინდა ავხსნა გაკვეთილი	მე უნდა ავხსნა გაკევთილი	მე შეიძლება ავხსნა გაკვეთილი
შენ გინდა ახსნა გაკვეთილი	შენ უნდა ახსნა გაკვეთილი	შენ შეიძლება ახსნა გაკვეთილი
მას უნდა ახსნას გაკვეთილი	მან უნდა ახსნას გაკვეთილი	მან შეიძლება ახსნას გაკვეთილი

1.3. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ადამიანი **სწავლობს** აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე. (?) ადამიანმა **შეიძლება ისწავლოს** აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე.

1. გამოწვევის ეტაპზე მოსწავლე იწყებს ფიქრს ახალ თემაზე. (!)
2. გაკვეთილის დასაწყისში პოზიტიურ განწყობას ვქმნით სწავლისთვის. (☺)
3. თამარ, ძალიან მინდა შენს გაკვეთლზე დასწრება. (?)
4. მასწავლებელმა შეიძლება გაითვალისწინოს ყველა მოსწავლის კოგნიტური შესაძლებლობები. (!)
5. კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, სწავლას გამოცდილებაზე ვაგებთ. (?)

1.4. ა) შეავსეთ თვითშეფასების ბარათი:

თვითშეფასების ბარათი

სახელი და გვარი ——————————————————————————————————

რა ახალი ცოდნა მიიღეთ? ——————————————————————————————

——

რა ვერ გაიგეთ? ——————————————————————————————————

——

რომელი აქტივობა უფრო მოგეწონათ და რატომ? ——————————————————

——

რომელ თემაზე ისურვებდით შემდეგ გაკვეთილზე საუბარს? ——————————————

——

ბ) მოგწონთ თვითშეფასების ბარათი? რას შეცვლიდით ან დაამატებდით?

1.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა) I დღე

- თიკო, ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება ——————————— პედაგოგის გაკვეთილზე დასწრება. ქალბატონ ლილის დღეს 12 საათზე მეშვიდეკლასელებთან აქვს შეხვედრა. შეძლებთ მოსვლას?
- რა თქმა უნდა, შევძლებ. სიამოვნებით დავაკვირდები, რაზე ——————————— ქალბატონი ლილი ყურადღებას, როგორი ——————————— აქვს.
- მიდგომა ——————————— უნდა იყოს, ——————————— როცა მოსწავლის ——————————— ——————— ყველა ეტაპზე აუცილებელია.
- დიახ, მოსწავლე სასწავლო პროცესის ყველა ეტაპის აქტიური ———————————.
- ხომ იცი, გაკვეთილის სხვადასხვა ——————————— მასწავლებელს სხვადასხვა მიზანი აქვს. სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს ——————————— რომ ბავშვმა ——————————— ინფორმაციით ცოდნის კონსტრუირება ადვილად შეძლოს.
- გავითვალისწინებ.

ბ) II დღე

- თიკო, მოუსმინეთ გუშინ ქალბატონ ლილის?
- დიახ და ზუსტად გავიგე, რას გულისხმობს ———————— თეორია: მასწავლებელი უბრალოდ ეხმარება მოსწავლეს, ———————— ნასწავლი მასალა, დააკავშიროს ახალ ინფორმაციასთან, ———————— მთავარი საკითხები, იმსჯელოს და თავისუფლად ——— ———————— საკუთარი აზრი.
- რა ხდებოდა გაკვეთილზე?
- გამოწვევის ეტაპზე ქალბატონმა ლილიმ შეკითხვები დასვა. ბავშვებმა გაიხსენეს წინარე ცოდნა და დაიწყეს ფიქრი გაკვეთილის თემის შესახებ.
- მეორე ფაზაში რას მიაქციე ყურადღება?
- ———————— ———————— ფაზაში მასწავლებელმა ჯერ ახსნა გაკვეთილი, მერე ბავშვებმა დამოუკიდებლად იმსჯელეს ახალი მასალის შესახებ. ქალბატონი ლილი ნელ–ნელა ——— ———————— დახმარებას.
- ———————— ფაზა მოგეწონათ?
- ეს ყველაზე საინტერესო ეტაპი იყო. ბავშვებმა შეძლეს მთავარი საკითხების ———————— ——— და მსჯელობის ————————, მიღწეული შედეგები კი თვითშეფასების ბარათებით დაადგინეს.
- ესე იგი კმაყოფილი ხართ.
- ძალიან! დიდი მადლობა, ასეთი კარგი რჩევისთვის.

1.6. ჩასვით სახელები სათანადო ბრუნვაში და გააქტიურეთ ფრჩხილებში ჩასმული ზმნის საწყისი ფორმები:

ნიმუში: (რეფლექსია) **რეფლექსიის** ეტაპზე მოსწავლეებმა (შეჯამება) **შეაჯამეს** საკითხი.

1. თუ დავალება რთულია, (მოსწავლეები)_____ ვთხოვ ჯგუფებში იმუშაონ, რომ (დახმარება)_____ერთმანეთს.
2. კოტემ (სახელმძღვანელო) _____ ტექსტი დამოუკიდებლად (კითხვა)_____.
3. სხვა (ბავშვები) _____ ურთიერთობა (ხელის შეწყობა) ბავშვის კოგნიტურ განვითარებას.
4. ბავშვი (პასიური) _____ კი არ ითვისებს ცოდნას, არამედ გამოცდილების მიღების პროცესში (აგება) _____ მას.
5. სწავლის პროცესში მიღებულ (ცოდნა)_____ ვააქტიურებთ და (შენარჩუნება) _____.

1.7. ა) წაიკითხეთ სიტყვები და მიუწერეთ ანტონიმები:

სრული	
ძირითადი	
ჯგუფური	
წინარე	
მარტივი	
ვერბალური	

ბ) წაიკითხეთ სიტყვები და მიუწერეთ სინონიმები:

ერთნაირი	
ეტაპობრივი	
ორგანიზებული	
განსაზღვრული	
კეთილმოწყობილი	
მარტივი	

1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო თანდებული:

მაგივრად, გარდა, შესახებ, მიმართ, გარეშე, მიერ, მიხედვით

ნიმუში: კათედრის სხდომაზე ქალბატონმა თამარმა კონსტრუქტივისტული თეორი**ის შესახებ** ისაუბრა.

1. კონსტრუქტივისტული თეორიის _____ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში.
2. გამოცდილი მასწავლებლის _____ მოცემული რეკომენდაციები დაეხმარა ნინოს სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში.
3. ჯგუფური მუშაობის _____ ზოგჯერ ინდივიდუალური დავალების შესრულება უფრო ეფექტურია.
4. წინარე ცოდნის გააქტიურების_____ მნიშვნელოვანია ახალი ინფორმაციის გაგება–გააზრება.
5. თვითშეფასების ბარათის _____ მოსწავლეები ვერ დაადგენენ მიღწეულ შედეგებს.

1.9. განმარტეთ სიტყვები:

1. რეგულაცია _____
2. ინდიკატორი _____
3. მისია _____
4. კრიტერიუმი _____
5. რესურსი _____

III ნაწილი ინტერაქტიული სწავლება და სასწავლო გარემო

- რას ნიშნავს ინტერაქტიული სწავლება?
- რატომ უნდა იყოს გაკვეთილი ინტერაქტიული?
- როდის არის სასწავლო გარემო ეფექტური?

ახალი სიტყვები	
რა? განწყობა მოლოდინი ქმედება რეაგირება მსვლელობა დარღვევა შედგენა	**როგორი?** ორმხრივი ცალმხრივი გარიყული წრიული ინტერაქტიული ხელსაყრელი ხელმისაწვდომი
ზმნები: აღიქვამს განამტკიცებს განაწყობს ანაწილებს არღვევს	**როგორ?** შინაარსობრივად ესთეტიკურად **ფრაზები:** ინტერაქტიული სწავლება კლასის მოწყობა ჯანსაღი ინტერაქცია პროცედურების დაცვა

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
აღქმა	აღიქვამს	აღიქვამდა	აღიქვა	აღიქვამს	აღიქვას	აღუქვამს
განმტკიცება	განამტკიცებს	განამტკიცებდა	განამტკიცა	განამტკიცებს	განამტკიცოს	განუმტკიცებია
განწყობა	განაწყობს	განაწყობდა	განაწყო	განაწყობს	განაწყოს	განუწყვია
განაწილება	ანაწილებს	ანაწილებდა	გაანაწილა	გაანაწილებს	გაანაწილოს	გაუნაწილებია
დარღვევა	არღვევს	არღვევდა	დაარღვია	დაარღვევს	დაარღვიოს	დაურღვევია

დაიმახსოვრეთ!

ინტერაქცია
ვერბალური ან არავერბალური კომუნიკაცია და ქმედება ორ ან მეტ ინდივიდს/ ორ ან მეტ სოციალურ ჯგუფს შორის.

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ინტერაქტიული (Inter – **ორმხრივი**, act – ქმედება) გულისხმობს ვინმესთან საუბარს, დიალოგის რეჟიმში ყოფნას. ინტერაქტიული სწავლება კი სწავლება–სწავლის თანამედროვე მიმართულებაა. აქტიურისაგან განსხვავებით, სწავლების ინტერაქტიული მეთოდები ორიენტირებულია მოსწავლეების უფრო ფართო ურთიერთობაზე არა მხოლოდ მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთანაც.



აქტიური (ა) და ინტერაქტიული (ბ) სწავლების მეთოდები

დღეს საკმარისი აღარ არის, მასწავლებელმა მხოლოდ კითხვები დასვას და მოსწავლეებმა უპასუხონ. მოსწავლე თვითონ უნდა იყოს ჩართული სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ფორმირებაში. მისი ინდივიდუალური გამოცდილება, არსებული ცოდნა და პიროვნული მონაცემები არის ინტერაქტიული სწავლებისას სწავლის საფუძველს.

მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს გაკვეთილი, რომ ერთი მოსწავლეც არ დარჩეს პასიური ან **გარიყული**. ინტერაქტიული სწავლება არ არის **ცალმხრივი**, ის ორმხრივი პროცესია, რომლის დროსაც მოსწავლეები თანამშრომლობენ, აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიაში, თვალსაჩინო მასალასთან ჯგუფურ მუშაობაში, პროექტების შექმნაში და ა.შ.

სკოლაში ინტერაქტიული სწავლების დანერგვამ ბევრი რამ შეცვალა. სწავლა მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი შესაძლებლობები და ინტერესები; ინტერაქტიული სწავლება წარმატებულია, თუ მასწავლებელი ქმნის მოსწავლის სწავლისთვის **ხელსაყრელ**, ეფექტურ სასწავლო გარემოს. ასე მოსწავლე იღებს სათანადო ცოდნას, გამოცდილებას და უვითარდება მაღალი სააზროვნო უნარები.

ინტერაქტიული სწავლება და შესაბამისი სასწავლო გარემო მოსწავლეებში სწორ ღირებულებებს აყალიბებს. მაღალია მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა სასწავლო პროცესში.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა ქმნის ინტერაქტიული სწავლების საფუძველს?
2. რას ნიშნავს: „ინტერაქტიული სწავლება არის ორმხრივი პროცესი“?

3. რა არის ინტერაქტიული სწავლების მიზანი?
4. როგორი შედეგი უნდა ჰქონდეს ინტერაქტიულ სწავლებას?
5. რა სირთულეებია დაკავშირებული ამ ტიპის სწავლების დანერგვასთან?

დააკვირდით!



3.2. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ეფექტური სასწავლო გარემო
ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა იწყება მასწავლებლის კლასში შესვლის წუთიდან. მან უნდა გაიგოს, როგორი **განწყობა** აქვთ ბავშვებს და როგორია მათი **მოლოდინი** გაკვეთილის მიმართ. მასწავლებლის მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულება მოსწავლეებს დადებითად **განაწყობს** სწავლისთვის. სასწავლო პროცესის **მსვლელობის** დროს ბავშვებს მუდმივად სჭირდებათ მოტივაციის ამაღლება.

ფიზიკურად კომფორტული სასწავლო გარემო
ფიზიკურად კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანია **კლასის მოწყობა** ისე, რომ მასწავლებელს კლასში თავისუფლად მოძრაობის, ხოლო მოსწავლეებს **ჯანსაღი ინტერაქციის** საშუალება ჰქონდეთ. ასევე, საჭიროა **შინაარსობრივად** მოსწავლეების დონისა და შესაძლებლობების შესაბამისი სასწავლო რესურსის გამოყენება. ეს რესურსები **ესთეტიკურად** მისაღები და ყველა მოსწავლისთვის **ხელმისაწვდომი** უნდა იყოს. ყველა ბავშვი უნდა ხედავდეს დაფას და თვალსაჩინოებას. ყველას უნდა შეეძლოს მასწავლებლისა და თანაკლასელების მოსმენა.

ორგანიზებული სასწავლო გარემო
ორგანიზებული სასწავლო გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანია დროის ეფექტურად მართვა. მასწავლებელმა სასწავლო აქტივობები ისე უნდა დაგეგმოს და **გაანაწილოს**, რომ მოსწავლეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ სამუშაოს შესასრულებლად. ასეთი გარემო გულისხმობს ქცევის წესების ერთობლივად **შედგენას** და **პროცედურების დაცვას.** ქცევის წესების დაცვის ან **დარღვევის** შემთხვევაში მოსწავლის **ქმედებაზე** საჭიროა შესაბამისი **რეაგირება**: შექება და წახალისება ან შენიშვნისა და რჩევის მიცემა.

უსაფრთხო სასწავლო გარემო
უსაფრთხო სასწავლო გარემოში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაცია ეფექტურია. ყველა თანაბარ პირობებშია, წესრიგს არ **არღვევენ**, უსმენენ ერთმანეთს, პატივს სცემენ ერთმანეთის აზრებს და იღებენ განსხვავებულ მოსაზრებებს. საჭიროების შემთხვევაში აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს: აფასებენ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ შეცდომებს. ერთმანეთს ეხმარებიან განვითარებაში. ასე ბავშვი კარგად **აღიქვამს** ინფორმაციას და **განამტკიცებს** ცოდნას.

ბ) ტექსტიდან ამოწერეთ შესაბამისი მახასიათებლები და შეავსეთ ცხრილი:

ეფექტური	ფიზიკურად კომფორტული	ორგანიზებული	უსაფრთხო

გ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი: ინფორმაცია სწორია, არასწორია თუ არ არის მოცემული ტექსტში:

ინფორმაცია	სწორია	არასწორია	არ არის ტექსტში
მოსწავლეებს ერთმანეთთან ჯანსაღი ინტერაქციის საშუალება უნდა ჰქონდეთ.	✓		
ზოგჯერ მასწავლებელი კლასის მართვის ავტორიტარულ სტილს ირჩევს.			
მოსწავლეებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ დავალების შესრულებისთვის.			
ქცევის წესების დარღვევაზე არ არის საჭირო რეაგირება.			
უსაფრთხო სასწავლო გარემოში მოსწავლე კარგად აღიქვამს ინფორმაციას.			
მოსწავლეებმა ერთმანეთი უნდა განაწყონ სწავლისთვის.			

3.3. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: ინტერაქტიული სწავლება

ინტერაქტიული	მოქალაქე
სრული	ჩართულობა
ინდივიდუალური	ზოგადი განათლება
თვითმოტივირებული	**სწავლება**
თანაბარი	პიროვნება
კანონმორჩილი	მიდგომა

ბ) ჩასვით შესიტყვებები შესაბამის წინადადებებში საჭირო ფორმით:

ნიმუში: მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და პიროვნული თვისებები **ინტერაქტიული სწავლების** დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1. მოსწავლე როცა დაამთავრებს სწავლების სამივე საფეხურს, მას ექნება ---------- ---------- ----------.
2. ჟან პიაჟეს აზრით, ყველა ბავშვი ---------- ---------- და შეუძლია თვითონ მართოს საკუთარი კოგნიტური განვითარება.
3. ინტერაქტიული გაკვეთილი გულისხმობს ყველა მოსწავლის ---------- ----------
4. სსსმ მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის საჭიროა ---------- ---------- ----- გამოყენება.
5. სკოლის მისია არის ინტელექტუალური, სრულფასოვანი და ---------- ---------- -- აღზრდა.

3.4. ჩასვით წინადადებებში მოცემული ზმნები სათანადო პირსა და რიცხვის ფორმით:

აღიქვამს	განამტკიცებს	განაწყობს	ანაწილებს	არღვევს

1. ზოგჯერ ბავშვი ---------- წესრიგს, მაგრამ აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში.
2. ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილის დაწყების წუთიდანვე სათანადოდ ---------- კლასი.
3. როცა მოსწავლე ორიენტირებულია აზროვნებასა და ფიქრზე, ის კარგად ---------- ახალ მასალას.
4. ნასწავლი მასალა ხშირად უნდა გავიმეოროთ და ასე ---------- ცოდნა.
5. ლიკას ჯერ არ აქვს საჭირო გამოცდილება და შეიძლება გაკვეთილზე დრო სათანადოდ ვერ ----- ----------.

3.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- გამარჯობა, მე ლიკა ვარ, ახალი მასწავლებელი. ---------- პედაგოგის დახმარება მინდა.
- სიამოვნებით დაგეხმარებით.

- თქვენ რომელ საგანს ––––––––––––––?
- ქართულ ენას და ლიტერატურას.
- რა არის თქვენი გაკვეთილის მიზანი?
- გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებმა –––––––––––––– მხატვრული ნაწარმოები, –––––––––––––– პრობლემა, –––––––––––––– საკუთარი მოსაზრებები და იმსჯელონ პრობლემის გადაჭრის გზებზე. ამისათვის მათ საკმარისი ცოდნა აქვთ.

ბ)

- რომელ მეთოდს –––––––––––––– მიზნის მისაღწევად?
- ვფიქრობ, დისკუსიის მეთოდს გამოვიყენებ, მაგრამ მთავარია, სათანადო გარემო შევქმნა ამისთვის.
- ეს რატომაა აუცილებელი?
- ბავშვი პოზიტიურად უნდა ––––––––––––––, რომ აქტიურად იყოს ჩართული გაკვეთილის –––––––––––––. ყველამ კომფორტულად რომ იგრძნოს თავი, საკლასო ოთახში მაგიდებს წრიულად დავალაგებ. ასე ერთმანეთს კარგად მოუსმენენ, ადვილად შეძლებენ თვალით კონტაქტს და კომუნიკაცია ეფექტური იქნება.
- კიდევ უნდა იყოს რამე ––––––––––––––?
- დიახ, გაკვეთილი ეფექტურად უნდა იყოს ორგანიზებული. დრო ისე უნდა ––––––––––––––, რომ ყველა აქტივობისთვის საკმარისი იყოს: არც მეტი და არც ნაკლები. ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს დაგეგმილი.

გ)

- დისკუსიის დროს ორგანიზებულ გარემოს როგორ ინარჩუნებთ?
- ორგანიზებული და ემოციურად უსაფრთხო გარემო რომ შევინარჩუნო, დისკუსიის დაწყებამდე საჭიროა ქცევის წესების ––––––––––––––. ამით შეზღუდული იქნება მოსწავლეთა არასასურველი ––––––––––––––.
- მაინც რომ –––––––––––––– წესები?
- ––––––––––––––შემთხვევაში შესაბამის––––––––––––––მოვახდენ ვერბალურად ან არავერბალურად. მაგალითად, ჟესტებით.
- კარგი ქცევისთვის შეაქებთ?
- რა თქმა უნდა! გაკვეთილის მსვლელობისას წავახალისებ მოსწავლეების პოზიტიურ ქცევებს, შევაქებ საინტერესო მოსაზრებებს, შევაფასებ ცოდნას.
- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

3.6. დააკვირდით ქცევის წესების ცხრილს. იმსჯელეთ, როგორ ეხმარება მასწავლებელს ასეთი წესების შემუშავება? თქვენ რას დაამატებდით?

ქცევის წესები	
მოუსმინეთ ერთმანეთს თავისუფლად გამოთქვით მოსაზრებები პატივი ეცით ერთმანეთის მოსაზრებებს, შეხედულებებს მიიღეთ განსხვავებული მოსაზრებები, შეხედულებები მიეცით რჩევები ერთმანეთს საუბრისას დაიცავით დროის ლიმიტი.	

3.7. განმარტეთ სიტყვები და გამოთქმები:

ხელმისაწვდომი _____

_____

ხელსაყრელი _____

_____

ხელს უწყობს _____

_____

ხელს უშლის _____

_____

3.8. ა) დააკვირდით გაკვეთილის გეგმას. დაწერეთ, თქვენი აზრით, რამდენი დრო არის საჭირო თითოეული აქტივობისთვის:

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა – 15 გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო – **45 წუთი** ერთი მოსწავლის მსჯელობისთვის განსაზღვრული დრო – **———— წუთი**	
აქტივობები	**დრო**
სადისკუსიო წესების შეხსენება	------ წუთი
პრობლემური კითხვის დასმა, მოსწავლეთა პასუხების მოსმენა, პრობლემის გამოკვეთა	------ წუთი
დისკუსია	------ წუთი
უკუკავშირი, შედეგების ურთიერთშეფასება.	------ წუთი

ბ) მეწყვილესთან ერთად ისაუბრეთ, თქვენ რომელ აქტივობებს იყენებთ და როგორ ანაწილებთ გაკვეთილზე დროს:

3.9. დააკვირდით სურათებს; აღწერეთ, როგორ სასწავლო გარემოს ხედავთ სურათებზე? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ. აირჩიეთ ერთ–ერთი სურათი და შექმენით მოკლე ტექსტი:

_____

_____

_____

შემაჯამებელი I

1. **ა) წაიკითხეთ ტექსტი:**

(1) სკოლა საზოგადოების ნაწილია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ფორმირებაში. სწავლა–სწავლება აქტიური პროცესია. მისი მიზანია მოსწავლისთვის არა მხოლოდ ფაქტების სწავლება და ცოდნის ათვისება, არამედ ცოდნისა და უნარების ინტეგრირებით მისი სრულფასოვან მოქალაქედ, პიროვნებად ჩამოყალიბება.

(2) ინტერაქტიული სწავლება–სწავლა არის საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლისა და მასწავლებლის როლების ცვლილებას. ავტორიტარულის, მასწავლებელზე ორიენტირებულის ნაცვლად გვაქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. შესაბამისად, განსხვავებულია სწავლების მიზანიც: სკოლამ მოსწავლეს უნდა მისცეს საბაზო ცოდნის მინიმუმი, მაგრამ, ამასთან ერთად, განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი.

(3) სწავლება–სწავლის ეს ახალი მიდგომა უკავშირდება მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თეორიას – კონსტრუქტივიზმს. კონსტრუქტივიზმის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს ვასწავლოთ აზროვნება, ძველი და ახალი ცოდნის სინთეზით ინფორმაციის მოპოვება, ცოდნის კონსტრუირება.

(4) სწავლების დროს აუცილებელია მასწავლებელმა უზრუნველყოს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში. სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებას. ამ კომპეტენციების ჩამოყალიბება მხოლოდ პირადი გამოცდილების საფუძველზე ხდება, ამიტომ საჭიროა სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. მასწავლებელი არის მხოლოდ მრჩეველი, ფასილიტატორი. ის ეხმარება მოსწავლეს, საკუთარ გამოცდილებასთან დააკავშიროს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში.

(5) ინტერაქტიულ გაკვეთილზე მოსწავლე არ რჩება პასიური ან გარიყული. ყველა თანაბარ პირობებშია და ყველას აქვს ცოდნისა და გამოცდილების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, ინტერაქტიული სწავლება და შესაბამისი სასწავლო გარემო მოსწავლეებში სწორ ღირებულებებს აყალიბებს და მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს.

(6) სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია ეროვნული სასწავლო და საგნობრივი გეგმების საფუძველზე გეგმავენ და მართავენ სასწავლო პროცესს. სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი კი ამარტივებს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ბ) შეარჩიეთ სათაური, თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:

1. სკოლის როლი საზოგადოების ფორმირებაში.
2. სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესის მნიშვნელობა.
3. სწავლა–სწავლების პროცესის მიზანი.
4. აღმოჩენებით სწავლების ეფექტურობა.
5. ინტერაქტიული სწავლების მნიშვნელობა.

გ) შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

(1)

1. სკოლა საზოგადოების ნაწილია.
2. სასწავლო პროცესი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიაზრონ საკუთარი მოვალეობა.
3. ზოგადი განათლების მთავარი მიზანია მოსწავლეების სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

(2)

1. სწავლა–სწავლების თანამედროვე მიმართულების მიზანია მოსწავლეს განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი.
2. ინტერაქტიული სწავლება ითვალისწინებს მოსწავლისა და მასწავლებლის როლების ცვლილებას.
3. ინტერაქტიული სწავლება –სწავლა საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მიმართულებაა.

(3)

1. სწავლა–სწავლება ახალი მიდგომაა.
2. სწავლების ახალი მიდგომები უკავშირდება კონსტრუქტივისტულ თეორიას.
3. კონსტრუქტივიზმის მიზანია, მოსწავლეს ვასწავლოთ აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება.

(4)

1. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლის მაქსიმალური აქტივობა.
2. ძირითადი კომპეტენციების ჩამოყალიბება პირადი გამოცდილების საფუძველზე ხდება, ამიტომ საჭიროა სწავლების ინტერქტიული მეთოდების გამოყენება.
3. Ვმასწავლებელი არის მრჩეველი, ფასილიტატორი.

(5)

1. ინტერაქტიულ გაკვეთილზე ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია.
2. ინტერაქტიული სწავლება და შესაბამისი სასწავლო გარემო მოსწავლეებში სწორ ღირებულებებს აყალიბებს და მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს.
3. ინტერაქტიულ გაკვეთილზე მოსწავლე არ არის პასიური და გარიყული.

(6)

1. სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს.
2. სასწავლო პროცესს მართავენ ეროვნული სასწავლო და საგნობრივი გეგმების საფუძველზე.
3. ეროვნული სასწავლო და საგნობრივი გეგმების საფუძველზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ამარტივებს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

2. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

- ქალბატონო თინა, დღეს ბევრს საუბრობენ სწავლების ახალ მიდგომებზე. თქვენ თუ იზიარებთ ––– ––?
- რა თქმა უნდა, ეს თეორია ჩემთვის მისაღებია და ––––––––––––––––––––––––––––––––––––––

- არა, ასე არაა. ყველა ბავშვი განსხვავებულია. ისინი სხვადასხვა ––––––

4. წაიკითხეთ წინადადებები. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით:

პირობებს	დანიშნულება	ჩამოყალიბების	კეთილმოწყობილი	ჩართულობა	თანაბრად

ნიმუში: სკოლა აუცილებლად შეუქმნის ყველა მოსწავლეს სათანადო გარემოს ---------- სწავლისა და განვითარებისთვის.

1. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო გარემო იყოს კომფორტული ---------- და ფიზიკურად უსაფრთხო.
2. საზოგადოების მონაწილეობა ---------- აუცილებელია, რომ სკოლამ დასახულ მიზანს მიაღწიოს.
3. ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, მასწავლებელმა ერთნაირად ---------- უნდა იზრუნოს ყველა მოსწავლეზე.
4. სკოლის მისია ---------- სრულფასოვანი, დამოუკიდებელი მოქალაქის აღზრდაა.
5. პიროვნების აღზრდის ---------- პროცესში მასწავლებელს ბევრი სირთულე ხვდება.

5. შეავსეთ დიალოგები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: – ბავშვის პიროვნებად ფორმირების პროცესში საჭიროა საზოგადოების **ჩართვა**.
– საზოგადოება **უკვე** აქტიურად არის **ჩართული** ამ პროცესში.

ა)
– ქალბატონმა ლალიმ თქვა, რომ გიგის აუცილებლად სჭირდება მოტივაციის ამაღლება.
– ჩემი აზრით, გიგი ---------- საკმარისად არის ---------- და სასწავლო პროცესში მისი ჩართულობაც მაღალია.

ბ)
– **წესრიგის** გარეშე სასწავლო პროცესი არაეფექტური იქნება.
– ჩემს კლასში. სასწავლო გარემო ---------- კეთილმოწყობილი და ----------, რაც მეხმარება მიზნის მიღწევაში.

გ)
– სწავლა-სწავლების პროცესშია საჭირო პირველადი უნარების **განვითარება** ?
– არა, პირველადი უნარები ---------- ოჯახში უნდა ჰქონდეს ---------- ბავშვს.

დ)
– ალბათ, იცით, რომ საჭიროა სწავლებისთვის განკუთვნილი ცოდნის **სტრუქტურირება** .
– დიახ, მასალა ---------- მაქვს ---------- და ორგანიზებული. ამაზე გამოცდილ კოლეგასთან ერთად ვიმუშავე.

ე)
– ჩემი აზრით, საჭიროა გადაწყვეტილების **მიღება** სკოლებში საზოგადოებრივი მეცნიერებების უფრო თანმიმდევრულად სწავლების შესახებ.
– სგმს-სმიერ----------არის----------გადაწყვეტილება, რომ ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი მეცნიერებების უფრო ეფექტურად სწავლებას.

6. დაალაგეთ ტექსტი ლოგიკური თანმიმდევრობით:

_____ გაკვეთილზე ვქმნი ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ააგონ ცოდნა, შეასრულონ რთული დავალებები, მიიღონ გამოცდილება.

_____ძველი და ახლად შეძენილი ცოდნის სინთეზით მოსწავლეებს ვასწავლი ახალი ინფორმაციის მოპოვებას, მის გაგება – გააზრებას. ვფიქრობ, მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია დაკავშირებულია ძველთან

_____ მე ვარ ლევან მახათაძე, ინგლისური ენის მასწავლებელი. ჩემი სასწავლო პროცესი ინტერაქტიულია და უკავშირდება კონსტრუქტივისტულ თეორიას. ვიზიარებ ჟან პიაჟესა და და ლევ ვიგოტსკის მოსაზრებებს.

_____ვგეგმავ და ვატარებ კონსტრუქტივისტულ გაკვეთილებს. გაკვეთილი სამი ეტაპისგან შედგება: გამოწვევა, სიღრმისეული წვდომა და რეფლექსია. თითოეული ეტაპისთვის სპეციალურად ვირჩევ აქტივობებს, მეთოდებს; სასწავლო რესურსებს.

_____ჩემი მიზანია მივაღწიო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. სასწავლო პროცესი აგებული მაქვს მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე.

_____როდესაც საკუთარი გამოცდილების მეშვეობით გადაჭრის პრობლემას, როდესაც მოსწავლეები ერთად თანამშრომლობენ, ფიქრობენ, იღებენ გადაწყვეტილებებს.

7. ა) მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები; ან ახსენით სიტყვის მნიშვნელობა:

ნიმუში:		
სინონიმი /	**სიტყვა**	**ანტონიმი ≠**
მსგავსი	ერთნაირი	განსხვავებული
მარტივი	ადვილი	რთული
შესრულება	დაცვა	დარღვევა
თანამშრომლობითი	ჯგუფური	ინდივიდუალური
პიროვნება	ინდივიდი	საზოგადოება
პოზიტიური	დადებითი	ნეგატიური

ბ) მეწყვილესთან ერთად შეადგინეთ წინადადებები ისე, რომ თითოეულში გამოიყენოთ სიტყვა +სინონიმი ან სიტყვა + ანტონიმი:

8. წაიკითხეთ წინადადებები და ჩასვით მოცემული სიტყვები:

თურმე	გარეშე	შესახებ	მიმართ	გარდა

1. ჩვენს დირექტორს სწავლების თანამედროვე მეთოდების ---------- პოზიტიური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვს.
2. სწავლება პრაქტიკული ელემენტის ---------- ეფექტური არ არის.
3. ცოდნის მიცემის ---------- მასწავლებელი მოსწავლეს უვითარებს საჭირო უნარ–ჩვევებს.
4. ნინი და გიგი ---------- ერთად მეცადინეობენ და ერთმანეთს ყოველთვის ეხმარებიან.
5. ბევრი საინტერესო მასალა წავიკითხე კონსტრუქტივისტული თეორიის ----------.

9. ჩასვით ჩარჩოში მოცემული ზმნები შესაბამისი ფორმით საჭირო ადგილას. გაითვალისწინეთ, რომ ერთი ზმნა ზედმეტია:

განამტკიცებს	აჯამებს	ახარისხებს	ატარებს	იმახსოვრებს	არღვევს

1. მოსწავლე იღებს ინფორმაციას, ამუშავებს, ———————————————— და ქმნის ახალ ცოდნას.
2. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეს, რომ მან კი არ დაიზეპიროს, არამედ ———————————————————, დააგროვოს ინფორმაცია.
3. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს და ———————————————————— ცოდნას.
4. მასწავლებელმა გაკვეთილი ისე უნდა ———————————————— , რომ ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებში იყოს.
5. კოტემ და კახამ გაკვეთილის მსვლელობის დროს წესრიგი ————————————————, ამიტომ მასწავლებელმა მათ შენიშვნა მისცა.

10. გაეცანით სქემას. გაკვეთილის ეტაპებთან დაკავშირებულია მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ განხორციელებული აქტივობები. დაწერეთ, რატომ არის მიღებული ასეთი გადაწყვეტილება:

აქტივობები	გამოწვევა	სიღრმისეული წვდომა	რეფლექსია
წინარე ცოდნის გახსენების მიზნით მასწავლებელი კლასს უსვამს შეკითხვებს; უსმენს მოსწავლეთა პასუხებს.	√		
მასწავლებელი კლასს აწვდის ინფორმაციას გაკვეთილის თემისა და მიზნის შესახებ.	√		
მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის ახალ თემას.		√	
მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და იაზრებენ ახალ ინფორმაციას.		√	
მოსწავლეები ტექსტში პოულობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას.		√	
მასწავლებლის შეკითხვების საფუძველზე მოსწავლეები ახალ ინფორმაციას ძველს უკავშირებენ.		√	
მასწავლებელი სვამს შეკითხვებს; მოსწავლეები აჯამებენ თემას;			√
მოსწავლეები მსჯელობენ და ახალ თემასთან დაკავშირებით ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს.			√
მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას და ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს			√
მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას.			√

ტესტი I

1. მოისმინეთ ტექსტი:

ა) შეარჩიეთ სათაური; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ: **(2.0 ქულა)**

1. კონსტრუქტივისტული თეორია
2. სწავლების მიზნები და ამოცანები
3. ბრუნერის თეორია და მისი მთავარი პრინციპები
4. შემეცნებითი სტრუქტურების როლი

ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი: **(2.0 ქულა)**

	სწორია	**არასწორია**	**არა არის ტექსტში**
ჯერომ ბრუნერი არ იზიარებს სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომას.		✓	
მასწავლებელი ეფექტურად უნდა იყენებდეს არა მარტო ძირითად, არამედ დამხმარე რესურსებს.			
სწავლა არის აქტიური პროცესი, სადაც მოსწავლე არსებული ცოდნის მიხედვით ქმნის ახალ იდეებს.			
ბრუნერის თეორიას აქვს ოთხი ძირითადი საყრდენი.			
საჭიროა დასჯის მეთოდის ხშირად გამოყენება.			

გ) უპასუხეთ კითხვებს: **(6.0 ქულა)**

1. რასთან დააკავშირა ბრუნერმა კოგნიტური სწავლის თეორია?

_____

_____

2. როგორ ახასიათებს ბრუნერი სწავლის პროცესს?

_____

_____

3. ბრუნერის აზრით, რა აძლევს ინდივიდს მასალის სიღრმისეული წვდომის შესაძლებლობას?

_____

_____

4. რა არის მასწავლებლის ამოცანა?

_____

_____

5. რამდენი საყრდენი აქვს ბრუნერის თეორიას? დაასახელეთ ისინი:

_____

_____

6. სწავლების რამდენ პრინციპს გამოყოფს ბრუნერი? დაასახელეთ ისინი:

_____

_____

2. ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით: (5.0 ქულა)

აჯამებს	ააქტიურებს	გადასცემს	იზეპირებს	ატარებს	აღიქვამს

ნიმუში: რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლეები **აჯამებენ** გაკვეთილის თემას და აკეთებენ თვითშეფასებას.

1. ჩვენი სკოლის მასწავლებლები აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას ტრენინგებში, რომლებსაც განათლების სამინისტრო _____.
2. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, რომ მან _____ წინარე ცოდნა.
3. თუ ბავშვმა მასალა მხოლოდ _____ , ის ვერ შეძლებს დააკავშიროს ძველი ცოდნა ახალთან.
4. მასწავლებელმა ეფექტურად რომ _____ მოსწავლეებს ცოდნა, უნდა გამოიყენოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები.
5. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს ბავშვები მარტივად _____ რთულ და გაუგებარ მასალასაც.

3. აწარმოეთ ახალი სიტყვები –უ– /–ელ – აფიქსის გამოყენებით; ჩასვით წინადადებებში შესაბამის ადგილას: (5.0 ქულა)

ნიმუში: სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი, სრულფასოვანი პიროვნება.

დამოკიდებ–ულ–ი	დამო – **უ** – კიდებ – **ელ** – ი
დაფასებული	
მოწესრიგებული	
განვითარებული	
მიღებული	
წარმატებული	

1. მოწესრიგებული სასწავლო გარემო ხელს უწყობს მასწავლებელს მიზნის მიღწევაში, _____ კი ხელს უშლის.
2. ინტერაქტიული სწავლება _____ იქნება, თუ მასწავლებელი ვერ შექმნის ხელსაყრელ, ეფექტურ გარემოს.
3. გაკვეთილზე წესრიგის დარღვევა _____ .
4. საგაკვეთილო პროცესში ერთი მოსწავლეც არ უნდა იყოს გარიყული და _____.
5. თუ სსსმ მოსწავლეს _____ აქვს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარები, მას მასწავლებლის დახმარება დასჭირდება.

4. გახაზეთ სათანადო ფორმა: **(5.0 ქულა)**

ნიმუში: მასწავლებელმა მოსწავლეებს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ეტაპობრივი/ეტაპობრივად მათი განვითარების დონის შესაბამისად.

1. სწავლება–სწავლა ორმხრივი შემოქმედებითი/შემოქმედებითად პროცესია.
2. აუცილებელია, ყველა მოსწავლე აქტიური/აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში.
3. კლასში სპეციალური/სპეციალურად საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პიროვნების არსებობის დროს საჭიროა ისგ–ს მომზადება.
4. სწავლა–სწავლება მაშინ არის წარმატებული/ წარმატებულად, როცა ცოდნის მოპოვება ხდება სოციალური ინტერაქციით.
5. ჯონ დიუის აზრით, ბავშვები უფრო მარტივი /მარტივად სწავლობენ კეთებით.

5. შეარჩიეთ სინონიმები და შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვები. გაითვალისწინეთ, რომ ერთი სიტყვა ზედმეტია: **(2.0 ქულა)**

ფასილიტატორი	თვითანალიზი	სტადია	კომუნიკაცია	ფორმირება	**მისია**

ნიმუში: საზოგადოების როლი **_____მისია_____** გულისხმობს სკოლის განვითარებაში მონაწილეობის მიღებას.

1. მოსწავლის გონება ძალიან დიდ ინფორმაციას იღებს სწავლების თითოეულ ეტაპზე _____.
2. სკოლაში სწავლის დროს ხდება მოსწავლის ჩამოყალიბება _____ სრულფასოვან მოქალაქედ.
3. სწავლების პროცესში მასწავლებელს აქვს მრჩეველის _____ როლი. მისი მითითება უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის მოპოვებაში.
4. უსაფრთხო სასწავლო გარემოში ურთიერთობა _____ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მოწესრიგებული და ეფექტურია.

6. შეავსეთ ტექსტი: **(10.0 ქულა)**

დემონსტრირება		დამოუკიდებელი		იმახსოვრებს	თვითრეალიზება
უვითარებს	ინერგება	შესაძლებლობა	კანონმორჩილი	კომპეტენცია	როლი

XXI საუკუნის მოსწავლე თავისი უნარებით და _____ ძალიან განსხვავდება გასული წლების მოსწავლისაგან. _____ ახალი საგანმანათლებლო მიდგომები და პრინციპები. ახლა მოსწავლეს _____ შეუძლია საინტერესო მასალის აღმოჩენა. შეუძლია მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს და _____ მნიშვნელოვანი საკითხები. ცოდნის მიღების პროცესში იზრდება მასწავლებლის _____ და მნიშვნელობა. მასწავლებელმა უნდა ჩამოუყალიბოს და _____ მოსწავლეს ის უნარები და _____ , რომლებიც დაეხმარება ცოდნის მარტივად მიღებასა და _____ . XXI საუკუნის მოსწავლემ ცხოვრებაშიც უნდა შეძლოს სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარების _____ , უნდა იყოს სრულფასოვანი, _____ და ტოლერანტი პიროვნება.

7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო სიტყვები და დააწყვილეთ შესაბამის ბრუნვის ფორმასთან: (5.0 ქულა)

~~გარდა~~	შესახებ	მიმართ	გარეშე	მიერ	მიხედვით

ნიმუში:
საგანმანათლებლო პროცესში (ოჯახი) _____ აქტიურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოება.
საგანმანათლებლო პროცესში ოჯახ**ის გარდა** აქტიურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოება.

1. მოსწავლის პოზიტიურ დამოკიდებულება (სწავლა) _____ უზრუნველყოფს მასწავლებელი.
2. ეროვნული სასწავლო (გეგმა) _____ სწავლა–სწავლების პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული.
3. საგნობრივ სასწავლო გეგმაში ცვლილების (შეტანა) _____ _ გადაწყვეტილებას სამინისტრო იღებს.
4. სწავლება პრაქტიკული (ელემენტი) _____ ვერ განუვითარებს ბავშვს მაღალ სააზროვნო უნარებს.
5. სკოლაშისასწავლოპროცესსგეგმავენ(სამინისტრო)_____ შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით.

8. იპოვეთ წინადადებებში შეცდომა და გაასწორეთ: (5.0 ქულა)

1. გაკვეთილზე ერთი მოსწავლეც არ უნდა დარჩეს პასიურმა ან გარიყული.
2. სწავლება–სწავლის პროცესი მაშინ არის საინტერესო, როცა მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან მეთოდს.
3. მასწავლებელი მისცა მოსწავლეს მიმართულებას, დაეხმარება მიზნის მიღწევის საუკეთესო გზების აღმოჩენაში.
4. მოსწავლის ქცევაზე საჭიროა შესაბამის რეაგირება.
5. უსაფრთხო სასწავლო გარემოში მოსწავლეები აძლევს ერთმანეთს უკუკავშირს.

9. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები: (5.0 ქულა)

ნიმუში: მასწავლებელმა უნდა გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა და დაიცვას მოსწავლის ინტერესები.



1. _____

_____

2. _____

_____

3. _____

_____

4. _____

_____

5. _____

_____

10. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს: (5.0 ქულა)

მოსწავლე **ინტერაქტიული სწავლების** პროცესის აქტიური მონაწილეა. **სწავლის საფუძველს წარმოადგენს** (1) მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, არსებული ცოდნა და პიროვნული მონაცემები. სწავლების **ინტერაქტიული მეთოდები ორიენტირებულია** (2) მოსწავლეების ურთიერთობაზე არა მარტო მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთანაც. სწავლება–სწავლის პროცესი **მნიშვნელოვნად ეფექტურია** (3), როდესაც იგი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული. ამგვარად, აგებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს **უვითარებს** (4) კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარებს. ინტერაქტიულ **სწავლებას სჭირდება** (5) სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების შემუშავება.

ნიმუში: როგორი სწავლების აქტიური მონაწილეა მოსწავლე?

(1) _____

_____

(2) _____

_____

(3) _____

_____

(4) _____

_____

(5) _____

_____

11. გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში: (10 ქულა)

სკოლის დირექციამ და მასწავლებლებმა ერთობლივად **ვიმუშავეთ** დასახული მიზნის მისაღწევად. **გავითვალისწინეთ** ესგ–ს მოთხოვნები და **დავგეგმეთ** მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; **გამოვიყენეთ** თანამედროვე მიდგომები და ტექნოლოგიები; **ჩავატარეთ** ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ტოლერანტი და ინტელექტუალური პიროვნებების აღზრდისთვის.

12. აირჩიეთ სწორი პასუხი და გახაზეთ: **(2.0 ქულა)**

საზოგადოების ფორმირება, ანუ ...	შექმნა	დანიშნულება	**ჩამოყალიბება**
სრულფასოვანი მოქალაქის მახასიათებლები, ანუ	კომპეტენციები	თვისებები	კრიტერიუმები
ზოგადი საკომუნიკაციო უნარ–ჩვევები, ანუ...	წერა– კითხვა	მოსმენა–საუბარი	წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა
ცოდნის მიღება ხდება ეტაპობრივად, ანუ	თანმიმდევრულად	წარმატებულად	შინაარსობრივად
უნარების დემონსტრირება, ანუ	თქმა	ჩვენება	ახსნა

13. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას: **(5.0 ქულა)**

ნიმუში: მოზარდი **<u>მოქალაქე</u>** ბავშვი მოსწავლე

1.	მახასიათებელი	თვისება	ფაქტი	ნიშანი
2.	აკავშირებს	ხელს უწყობს	ეხმარება	თანამშრომლობს
3.	სახალისო	საინტერესო	მრავალფეროვანი	ფსიქოლოგიური
4.	ნაბიჯ–ნაბიჯ	ნელ–ნელა	გონივრულად	ეტაპობრივად
5.	სასარგებლო	ორგანიზებული	ხელსაყრელი	სასურველი

14. უპასუხეთ განათლების ექსპერტის მიერ დასმულ კითხვებს: **(10.0 ქულა)**

განათლების ექსპერტი: რა შემთხვევაში არის მოსწავლისთვის სწავლა საინტერესო და ეფექტური
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: რა როლი აქვს მასწავლებელს?
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: რომელ აქტივობებს ანიჭებენ მოსწავლეები უპირატესობას?
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: რა უპირატესობა აქვს აღმოჩენებით სწავლებას?
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა აღმოჩენებით სწავლების დროს?
მასწავლებელი: _____

_____

15. დააკვირდით სურათს, დაასათაურეთ და დაწერეთ თემა: (16.0 ქულა)

ა) დაასათაურეთ სურათი: (2.0 ქულა)



ბ) დაწერეთ თემა (მოცულობა 100–120 სიტყვა): (14.0 ქულა)

IV თავი სააზროვნო უნარების განვითარება

I ნაწილი სწავლების მეთოდები



ახალი სიტყვები	
ვინ/რა? მერხი განცდა შერჩევა წარმოსახვა წინაპირობა მოძიება ორგანიზება დაფიქსირება შთაბეჭდილება	**როგორი?** ასახსნელი შესასწავლი ანალიტიკური მოძიებული შეფასებული გაანალიზებული დაფიქსირებული
ზმნები: ფლობს ზღუდავს ემორჩილება ეძლევა ეჩვევა	**ფრაზები:** სააზროვნო უნარები საკლასო დისკუსია როლური თამაში ვენის დიაგრამა ვიზუალურად აღქმა გონებრივი იერიში გრაფიკული სქემები/დიაგრამები მიზეზშედეგობრიობის დიაგრამა
როგორ? მაქსიმალურად ნათლად	

- ინტერაქტიული სწავლების რომელ მეთოდებს იცნობთ?
- თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია ეს მეთოდები?
- თქვენი პირადი გამოცდილებით რა შეგიძლიათ გვითხრათ სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ?

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ფლობა	ფლობს	ფლობდა	დაეუფლა	დაეუფლება	დაეუფლოს	დაუფლებია
შეზღუდვა	ზღუდავს	ზღუდავდა	შეზღუდა	შეზღუდავს	შეზღუდოს	შეუზღუდავს
დამორჩილება	ემორჩილება	ემორჩილებოდა	დაემორჩილა	დაემორჩილება	დაემორჩილოს	დამორჩილებია
მიცემა	ეძლევა	ეძლეოდა	მიეცა	მიეცემა	მიეცეს	მისცემია
მიჩვევა	ეჩვევა	ეჩვევოდა	მიეჩვია	მიეჩვევა	მიეჩვიოს	მისჩვევია

დააკვირდით!

–ულ –		სა – – ელ
გაკეთებ–ულ**–ი**	⇒	გა–სა**–კეთებ–**ელ**–ი**
დაკავშირებ–ულ**–ი**	⇒	და–სა**–კავშირებ–**ელ**–ი**

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი

მოსწავლეებმა ადვილად უნდა აღიქვან, გაიაზრონ და დაიმახსოვრონ **შესასწავლი** საკითხი. ამისათვის წინასწარ არის საჭირო საინტერესო მასალის **მოძიება** და სწავლების პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სწავლების მეთოდების **შერჩევის** მიზანი **როგორც** კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის გადაცემა, **ისე** მოსწავლეებში **სააზროვნო უნარების** (კრიტიკული, შემოქმედებითი, **ანალიტიკური**) განვითარებაა.



ყველა მეთოდს აქვს გამოყენების **წინაპირობა**. ასევე, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომელი მეთოდი რა უნარებს ავითარებს და რა არის მისი დადებითი მხარე.



ინტერაქტიული სწავლებისას ხშირად იყენებენ დისკუსიას, **გონებრივ იერიშს**, **როლურ თამაშებსა** და სხვა მეთოდებს.

დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. გარემოს სწორად **ორგანიზებით** – წრიულად დალაგებული **მერხები** – დისკუსიის მონაწილეებს კომუნიკაციის უფრო ადვილად დამყარების შესაძლებლობა **ეძლევათ**.

წარმატებული დისკუსიისთვის მასწავლებელი...	არჩევს ისეთ სადისკუსიო თემას, რომლის შესახებ მოსწავლეებს აქვთ საბაზისო ცოდნა.
	სვამს ისეთ შეკითხვას, რომელიც საკითხის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებების **დაფიქსირების** საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.
	მოსწავლეებთან ერთად აყალიბებს დისკუსიის წესებს, რომლებსაც ყველა **ემორჩილება**.
	ქმნის უსაფრთხო და ფიზიკურად კომფორტულ გარემოს.

გონებრივი იერიში ხელს უწყობს შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას; ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ასახსნელ თემაზე საუბრისას. მასწავლებელი არ ზღუდავს ბავშვებს. მოსწავლეები ეჩვევიან როგორც საკუთარი აზრების თავისუფლად ჩამოყალიბებას, ისე სხვათა აზრების მოსმენას. ბავშვებს მოსწონთ მოძიებული ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება.

წარმატებული გონებრივი იერიშისთვის მასწავლებელი ...	სვამს შეკითხვას, რომელიც დაკავშირებულია ასახსნელ მასალასთან.
	ადგენს, თუ რა ცოდნას ფლობენ მოსწავლეები ასახსნელი თემის ირგვლივ და რა დამოკიდებულება აქვთ პრობლემური საკითხის მიმართ.
	ხვდება, ახსნის დროს რომელ საკითხზე გაამახვილოს უფრო მეტი ყურადღება, რა არ იციან სწორად მოსწავლეებმა და ა.შ.
	ქმნის უსაფრთხო გარემოს, რომელშიც ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია, თავისუფლად გამოხატავენ მოსაზრებებს და შთაბეჭდილებებს.

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა; ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან. მათ წარმოსახვის უნარის გამოყენებით შეუძლიათ პერსონაჟის ქცევისა და განცდის გადმოცემა, რაც მაქსიმალურად აადვილებს მასალის ათვისებას.

წარმატებული როლური თამაშის ...	მიზანია სხვა ადამიანის როლის თამაშით მოსწავლეებმა ერთი და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ.
	დახმარებით მოსწავლე საკითხის ღრმად და დეტალურად განიხილავს; ცოდნას იღრმავებს;
	დროს მოსწავლეები უსმენენ ერთმანეთს, პატივს სცემენ განსხვავებულ მოსაზრებებს.
	შეჯამებისას გაანალიზებული და შეფასებულია პერსონაჟების ქცევა; ბავშვები მსჯელობენ საკუთარ და მოქმედი გმირების განცდებზე.

ინტერაქტიული სწავლებისას ხშირად გამოიყენება გრაფიკული სქემები/დიაგრამები. მაგალითად, ვენის დიაგრამის საშულებით მოსწავლეს საკითხის ვიზუალურად აღქმა შეუძლია. იგი ადარებს მოვლენებს ერთმანეთს, ადგენს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას. მიზეზშედეგობრიობის დიაგრამაზე კი ნათლად არის დაფიქსირებული პრობლემის მიზეზები და შედეგები.



დააკვირდით!

....+ის ირგვლივ/....+ის გარშემო
თემის ირგვლივ თემის გარშემო

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ მოსწავლეებმა ადვილად აღიქვან და გაიაზრონ მასალა?
2. რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, სანამ შეარჩევს მეთოდს?
3. რით არის კარგი, თუ დისკუსიის დროს მერხები წრიულად იქნება დალაგებული?
4. როდის არის უკეთესი გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება? რატომ?
5. რა განსხვავებული უნარი სჭირდებათ მოსწავლეებს როლური თამაშების დროს? ყველა ბავშვს აქვს ეს უნარი?

გ) შეარჩიეთ ინტერაქტიული სწავლების ერთ–ერთი მეთოდი, ესაუბრეთ მეწყვილეს მის შესახებ და ცხრილში ჩაწერეთ, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი და რაში – ვერა.

1.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: სააზროვნო უნარები

სააზროვნო	აღქმა
როლური	სქემა
ვიზუალურად	დისკუსია
გრაფიკული	იერიში
საკლასო	**უნარები**
გონებრივი	თამაში

ბ) შესიტყვებების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს **სააზროვნო უნარების** განვითარებას.

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

1.3. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

დაფასებ–ულ–ი	**და–უ–ფასებ–ელ–ი**	**და–სა–ფასებ–ელ–ი**
დახარისხებული		
		შესაფასებელი
მოძიებული		
	დაუფიქსირებელი	
გაანალიზებული		

1.4. ჩასვით წინადადებებში საჭირო ზმნები სათანადო ფორმით. გაითვალისწინეთ, რომ ერთი ზმნა ზედმეტია:

აღიქვამს	ზღუდავს	ემორჩილება	ეძლევა	ეჩვევა	ფლობს	არღვევს

ნიმუში: გრაფიკული სქემების დახმარებით მოსწავლემ კარგად უნდა –––––აღიქვას–––– ახალი მასალა.

1. დისკუსიის დაწყებამდე შემუშავებულ წესებს ყველა მოსწავლე უნდა _____.
2. ადამიანები განსხვავებულ და მრავალმხრივ ინტელექტს _____.
3. ინტერაქტიული სწავლების მეთოდების დახმარებით მოსწავლე აუცილებლად _____ აზროვნებას და მსჯელობას.
4. დისკუსიის მსვლელობის დროს მასწავლებელმა არ უნდა _____ მოსწავლეები.
5. როლური თამაშის დროს მარიამს შესაძლებლობა _____ სრულფასოვნად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ.

1.5. მოისმინეთ დიალოგები და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ა) დიალოგი
1. ბ) უპასუხეთ კითხვებს:

- რა ფუნქცია აქვთ სწავლების ინეტარქტიულ მეთოდებს?

- გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენების დროს რა უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა? რატომ?
- რა შემთხვევაში უნდა შეაქოს მასწავლებელმა მოსწავლე? რატომ?

2. ა) დიალოგი
2. ბ) უპასუხეთ კითხვებს:

- რით არის ეფექტური დიაგრამების გამოყენება?
- როდის სჭირდება მასწავლებელს ვენის დიაგრამა?
- როდის სჭირდება მასწავლებელს მიზეზშედეგობრიობის დიაგრამა?

1.6. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს ყველა სკოლაში წარმატებით ნერგავენ პრაქტიკაში სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები განსაკუთრებით ხშირად იყენებენ გონებრივი იერიშის მეთოდს. ფიქრობენ, რომ იგი მოსწავლეებისთვის საინტერესოა, რადგან ბავშვები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში. როცა მასწავლებელი სვამს შეკითხვას, მოსწავლეები იწყებენ მრავალფეროვანი მოსაზრებებისა და ახალი, ორიგინალური იდეების ჩამოყალიბებას.

ხშირად მასწავლებლები გონებრივი იერიშის მეთოდს იყენებენ

ახალი თემის შესწავლისას. მასწავლებლები არ აფასებენ კრიტიკულად მოსწავლეების არცერთ იდეას. თუ იდეა ორიგინალურია, მას მასწავლებელი არჩევს და მის ავტორს ახალისებს.

ბ) ამოიწერეთ ზმნები და ნიმუშის მიხედვით შეუცვალეთ ფორმა:

ნერგავენ	დანერგავენ

გ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	სწორია	არასწორია	არ არის ტექსტში
საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ინერგება სწავლების ინეტაქტიული მეთოდები.		✓	
მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლებიც ხშირად იყენებენ გონებრივი იერიშის მეთოდს.			

მასწავლებლის მიერ შეკითხვის დასმა საკმარისია, რომ მოსწავლეებმა დაიწყონ მრავალფეროვანი მოსაზრებების ჩამოყალიბება.			
მასწავლებელი ახალისებს ყველაზე ორიგინალური იდეის ავტორს.			
მთავარია, გონებრივი იერიშის დროს კლასში იყოს უსაფრთხო გარემო.			

1.7. წინადადებებში შესაბამის ადგილას ჩასვით უარყოფითი ნაცვალსახელები:

არაფერი	ნურაფერი	ვერაფერი

ნიმუში: --- ვერაფერი --- იქნება დიკუსიის მეთოდზე ეფექტური, როცა მასწავლებელს უნდა წინარე ცოდნის გააქტიურება.

1. თუ მასწავლებელი სწავლების თანამედროვე მეთოდებს არ იყენებს, ბავშვი ბევრს _____ სწავლობს.
2. ჯერ ბავშვებისთვის _____ მითქვამს; ჯერ არ იციან, რომ სკოლაში დიდი ღონისძიება ეწყობა.
3. მასწავლებელმა ბევრი დავალება მოგვცა, მაგრამ სემესტრის ბოლომდე _____ მოწმდება.
4. დისკუსიის მსვლელობისას ბავშვებს _____ ეტყვით, მათზე გავლენის მოხდენა არ შეიძლება.
5. როცა ბავშვი მოტივირებულია, მიზნის მიღწევას _____ უშლის ხელს.

როგორც..., ისე....
ბავშვები წერენ დავალებას და კითხულობენ
ბავშვები როგორც წერენ დავალებას, ისე
კითხულობენ.

1.8. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

მასწავლებლის მიზანია ცოდნის გადაცემა. ასევე, მისი მიზანია, მოსწავლის სააზროვნო უნარების გააქტიურება.

მასწავლებლის მიზანია როგორც ცოდნის გადაცემა, ისე მოსწავლის სააზროვნო უნარების გააქტიურება.

1. წარმატებული დისკუსიისთვის მასწავლებელი ქმნის ემოციურად უსაფრთხო გარემოს. ასევე, ქმნის ფიზიკურად კომფორტულ გარემოს.
2. გონებრივი იერიშის შედეგად მასწავლებელი იგებს ბავშვების ცოდნის დონეს. ასევე, იგებს, რა დამოკიდებულება აქვთ მათ საკითხისადმი.
3. როლური თამაშის დროს ბავშვს შეუძლია პერსონაჟის ქცევის გადმოცემა. ასევე, მას შეუძლია პერსონაჟის განცდების გამოხატვაც.
4. მიზეზშედეგობრივი დიაგრამა გვიჩვენებს პრობლემის მიზეზს. ასევე გვიჩვენებს შედეგსაც.

1.9. როლური თამაში სამი ეტაპისაგან შედგება: მომზადება, გათამაშება და ანალიზი. დააკვირდით სურათებს და მეწყვილესთან ერთად იმსჯელეთ, რა უნდა გაკეთდეს თითოეულ ეტაპზე:

II ნაწილი ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირებული სწავლება

- რას ნიშნავს „ტრანსფერი“?
- როგორ გესმით გამოთქმა „ცოდნის ტრანსფერი“?
- როგორ ფიქრობთ, რა კავშირი არსებობს ცოდნის ტრანსფერსა და ინტეგრირებულ სწავლებას შორის?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა? ომი ტრანსფერი გადატანა დასაქმება ინტეგრაცია ტრანსპოზიცია	**როგორი?** ანალოგიური შეუძლებელი თანდაყოლილი აღიარებული დაგროვებული
ზმნები: ეცვლება ეყრდნობა ეფუძნება ენიჭება ხასიათდება	**როგორ?** ნაწილობრივ მთლიანად **ფრაზები:** ინტეგრირებული გაკვეთილი ინტეგრირებული სწავლება მონათესავე საგნები სასწავლო დისციპლინები

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
შეცვლა	ეცვლება	ეცვლებოდა	შეეცვალა	შეეცვლება	შეეცვალოს	შეცვლია
დაყრდნობა	ეყრდნობა	ეყრდნობოდა	დაეყრდნო	დაეყრდნობა	დაეყრდნოს	დაყრდნობია
დაფუძნება	ეფუძნება	ეფუძნებოდა	დაეფუძნა	დაეფუძნება	დაეფუძნოს	დაფუძნებია
მინიჭება	ენიჭება	ენიჭებოდა	მიენიჭა	მიენიჭება	მიენიჭოს	მინიჭებია
ხასიათი	ხასიათდება	ხასიათდებოდა	დახასიათდა	დახასიათდება	დახასიათდეს	დახასიათებულა

დაიმახსოვრეთ!

ტრანსფერი	**ტრანსპოზიცია**	**ინტეგრაცია**
ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება.	ანუ, გადატანა.	ცალკეული ნაწილების, ელემენტების გაერთიანება.

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

რას **ეყრდნობა აღიარებული** შეხედულება – „ყველამ უნდა მიიღოს სრული ზოგადი განათლება?“ ყველაფრის სწავლება ხომ **შეუძლებელია**! დიმიტრი უზნაძის აზრით, ადამიანის აზროვნება **ხასიათდება ტრანსპოზიციის**, ანუ **გადატანის** უნარით. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენება შესაძლებელია **ნაწილობრივ** ან **მთლიანად** განსხვავებულ სიტუაციაში.

მართლაც, მას შემდეგ, რაც ადამიანი ერთხელ გადაჭრის პრობლემას, მისთვის აღარაა რთული **ანალოგიური** ამოცანის შესრულება. ეს არის პროცესი, რომელსაც **ტრანსფერი ეწოდება**. მაგალითად, მათემატიკაში მიღებულ ცოდნას **ეფუძნება** ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვისა და განაწილების უნარი; საბუნებისმეტყველო საგნებში მიღებული ცოდნით **ენიჭება** ახალგაზრდას სამყაროს აღქმისა და მის დაცვაზე საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების უნარი.

ტრანსფერის უნარის გარეშე მოსწავლე **დაგროვებულ** ცოდნას ეფექტურად ვერ გამოიყენებს; მისთვის რთული იქნება **დასაქმება** და საზოგადოებაში **ინტეგრაცია**. ტრანსფერის უნარი არ არის **თანდაყოლილი**. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ამ უნარის შეძენასა და განვითარებაში. ამ მიზნით მას ეძლევა საშუალება, **ერთი საგანი მეორესთან თემატურად** დააკავშიროს გაკვეთილის თემის მიხედვით.

ინტეგრირებული სწავლების დროს მოსწავლე ახდენს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზს. ეჩვევა ერთ საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას მეორე საგნის წინარე ცოდნად. ეს ამარტივებს სწავლების პროცესს. მოსწავლე გრძნობს, რომ განსაკუთრებით ადვილად ითვისებს ახალ მასალას **მონათესავე საგნებში**; მას **ეცვლება** სწავლის მიმართ დამოკიდებულება – მოტივაციაც **უფრო** მაღალი აქვს, **ვიდრე** მანამდე ჰქონდა.

დადგენილია, რომ **ინტეგრირებული გაკვეთილებით** მოსწავლეთა უმრავლესობა აღწევს ესგ სტანდარტით გათვალისწინებულ მაღალ შედეგებს.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რისი უნარი აქვს ადამიანის აზროვნებას და რაში ეხმარება მას ეს?
2. რატომ არ არის დაგროვებული ცოდნა ეფექტური ტრანსფერის გარეშე?
3. როგორ გესმით გამოთქმა: „ტრანსფერის უნარი არ არის თანდაყოლილი“?
4. როგორ უნდა დაეხმაროს მასწავლებელი მოსწავლეს ამ უნარის განვითარებაში?
5. რა ამარტივებს სწავლის პროცესს ინტეგრირებული სწავლებისას?

2.2. ა) დააკვირდით „მონათესავე“ საგნების ცხრილს და ინტეგრირებული გაკვეთილის დიაგრამას:

საბუნებისმეტყველო საგნები	• ქიმია • ფიზიკა • ბიოლოგია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	• ისტორია • გეოგრაფია
ჰუმანიტარული მეცნიერებები	• ქართული ენა და ლიტერატურა • უცხო ენა • ხელოვნება

ბ) დიაგრამის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

დისციპლინა	გაკვეთილის თემა	დისციპლინა

2.3. ჩასვით საჭირო სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

მოძიებული	ანალოგიური	შეუძლებელი	თანდაყოლილი	აღიარებული	დაგროვებული

ნიმუში: თამთა ყოველთვის იყენებს ინტერნეტში **მოძიებულ** მასალას ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადებისთვის.

1. ადამიანის ზოგიერთი უნარი _____ ,ზოგს კი შემდეგ იძენს სწავლება–სწავლის პროცესში.
2. კარგია, თუ ადამიანს ბევრი ცოდნა აქვს _____, მაგრამ მთავარია, მისი

პრაქტიკაში გამოყენება შეეძლოს.
3. თუ მოსწავლის მოტივაცია მაღალია, მისთვის _____ არაფერია.
4. არავის ვიცნობ, ვისაც _____ გამოცდილება აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების.
5. ქალბატონი თამარი ინტეგრირებული სწავლების _____ სპეციალისტია.

2.4. ჩასვით წინადადებებში საჭირო ზმნები ნიმუშის მიხედვით:

ეცვლება	ეყრდნობა	ეფუძნება	ენიჭება	ეჩვევა	**ეწყობა**

ნიმუში: ჩვენს სკოლაში ინტერაქტიული სწავლების შესახებ **უნდა მოეწყოს** დისკუსია.

1. როცა კლასში არის ფიზიკურად კომფორტული სასწავლო გარემო, ბავშვს _____ სკოლის მიმართ დამოკიდებულება.
2. მასწავლებელი _____ ესგ–ს მოთხოვნებს.
3. ბავშვი _____ ერთ საგანში მიღებული ცოდნის მეორე საგანში გამოყენებას.
4. სწავლების თანამედროვე მიდგომები _____ კონსტრუქტივისტულ თეორიას.
5. ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა _____ ბავშვის განწყობასა და მოლოდინს.

2.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)
- _____ რომ მოსწავლეები ინტეგრირებული გაკვეთილებით უფრო კარგად სწავლობენ, ვიდრე ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში.
- რას ნიშნავს _____ გაკვეთილი?
- ასეთ გაკვეთილს ორი საგნის მასწავლებელი გეგმავს.
- რა მიზნით?
- მოსწავლე ---------- ერთ დისციპლინაში მიღებული ცოდნის მეორეში ---------- . ეს ამარტივებს სწავლების პროცესს და მოსწავლის მოტივაციაც უფრო მაღალია.
- რა გავითვალისწინო ---------- გაკვეთილის დაგეგმვისას?
- ჯერ საჭიროა თემისა და ---------- საგნის სწორად შერჩევა; შემდეგ დეტალურად დაგეგმე გაკვეთილი ინტეგრირებული საგნის მასწავლებელთან ერთად.

ბ)
- მე და თეამ მასწავლებლის სახლში რამდენიმე ლექცია მოვისმინეთ ინტეგრირებულ გაკვეთილზე.
- საინტერესო იყო?
- ძალიან! ახალი ის გავიგე, რომ თურმე ---------- უნარი ---------- არ არის. ამას ინტეგრირებული გაკვეთილებით სწავლობენ ბავშვები.
- რატომაა ეს ასეთი მნიშვნელოვანი?
- იმიტომ, რომ მხოლოდ ტრანსფერის უნარის ჩამოყალიბების შემდეგ აღწევს მოსწავლეთა --------

---------- ესგ–ს სტანდარტით გათვალისწინებულ მაღალ შედეგებს.

- ---------- ვიცი, რას ---------- მნიშვნელობა, როცა ინტეგრირებულ გაკვეთილს ვგეგმავთ, მაგრამ მეტი მინდა ვიცოდე.
- ერთ–ერთი ლექციის თემა იყო „დევიდ პერკინსი და სწავლების პრინციპები“. პერკინსის თეორია ყველაფერს ---------- ხსნის.
- რა კარგია. აუცილებლად წავიკითხავ.

2.6. სიტყვებს შეურჩიეთ სწორი სინონიმური მნიშვნელობის ფორმები:

ანალოგიური	ა) ზუსტად ისეთი ბ) ლამაზი გ) საჭირო
შეუძლებელი	ა) ძალიან დიდი ბ) ძალიან რთული გ) რასაც ვერავინ გააკეთებს
მოძიებული	ა) ის, რაც აღმოაჩინეს ბ) ის, რაც მოიპოვეს გ) ის, რაც გაიხსენეს
დაფიქსირებული	ა) გამოხატული ბ) გაკეთებული გ) დადგენილი
ხელსაყრელი	ა) დამხმარე ბ) სასარგებლო გ) განსაზღვრული
ხელმისაწვდომი	ა) ის, რაც განსაკუთრებულია ბ) ის, რაც სარწმუნოა გ) ის, რაც შესაძლებელია

2.1. დააკავშირეთ სიტყვები და მათი დახმარებით დაწერეთ მცირე მოცულობის ტექსტი:

ნიმუში: ტრანსფერის უნარი



2.8. დააკავშირეთ ერთი და იმავე მნიშვნელობის ზმნები და განმარტეთ, რატომ ფიქრობთ ასე; ზეპირად შეადგინეთ წინადადებები თითოეულზე:

ეფუძნება	ტარდება
ენიჭება	ეყრდნობა
ეწყობა	ეძლევა

2.9. მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბეთ ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა. ისაუბრეთ, რა ცოდნას გამოიყენებთ; რომელ თემებს დააკავშირებთ; როგორ მოხდება ტრანსფერი ამ შემთხვევაში:

III ნაწილი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება სასწავლო პროცესში

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ისტ–ის გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის საჭირო ისტ–ის ფართოდ დანერგვა სასწავლო პროცესში?
- თქვენ თუ იყენებთ ისტ–ს სწავლებისთვის? კონკრეტულად, როგორ?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა?	**როგორი?**
ინტერნეტრესურსი	კვლევითი
ნიჭი	ერთობლივი
ფორმულა	თვალსაჩინო
სპეციფიკა	ინოვაციური
სლაიდშოუ	კომპეტენტური
ინტერფეისი	სპეციფიკური
წარდგენა	დამკვიდრებული
ტექნოლოგია	მოსამზადებელი
ინოვაცია	
ილუსტრაცია	
დამკვიდრება	
პრეზენტირება	

ზმნები:	**ფრაზები:**
იძებნება	**ი**ნფორმაციულ–**ს**აკომუნიკაციო **ტ**ექნოლოგიები (ისტ)
ირჩევა	თანამედროვე ტექნოლოგიები
მიიჩნევა	**საინფორმაციო ტექნოლოგიები**
ფასდება	აუდიო და ვიდეოფაილები
მკვიდრდება	სასწავლო პროექტები
	ერთადერთი წყარო
	ციფრული კულტურა

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ძებნა	იძებნება	იძებნებოდა	მოიძებნა	მოიძებნება	მოიძებნოს	მოძებნილა
არჩევა	ირჩევა	ირჩეოდა	აირჩა	აირჩევა	აირჩეს	არჩეულა
მიჩნევა	მიიჩნევა	მიიჩნეოდა	❁მიჩნეულ იქნა	მიიჩნევა	მიიჩნეს	მიჩნეულა
შეფასება	ფასდება	ფასდებოდა	შეფასდა	შეფასდება	შეფასდეს	შეფასებულა
დამკვიდრება	მკვიდრდება	მკვიდრდებოდა	დამკვიდრდა	დამკვიდრდება	დამკვიდრდეს	დამკვიდრებულა

დაიმახსოვრეთ!

ისტ – **ი**ნფორმაციულ–**ს**აკომუნიკაციო **ტ**ექნოლოგიები

დააკვირდით!

პასიური ზმნები
იძებ**ნება** ის
ფას**დება** ის

ინფორმაცია სწრაფად იძებნება.
ცოდნა ყოველთვის ფასდება.

ინტერფეისი – სისტემა, რომლითაც კომპიუტერის მოწყობილობები ერთმანეთს უკავშირდება.

დააკვირდით!

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა
ირჩევს ის მას – ირჩევა ის
მიიჩნევს ის მას – მიიჩნევა ის
ეძებს ის მას – იძებნება ის
აფასებს ის მას – ფასდება ის
ამკვიდრებს ის მას – მკვიდრდება ის

აქტიური ზმნები	საწყისი – რა?	პასიური ზმნები
ეძებს	ძებნა	იძებნება
არჩევს	არჩევა	ირჩევა
მიიჩნევს	მიჩნევა	მიიჩნევა
აფასებს	შეფასება	ფასდება
ამკვიდრებს	დამკვიდრება	მკვიდრდება

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ზოგადი **გ**ანათლების **ე**როვნული **მ**იზნების (ზგემ–ის) მიხედვით, მოსწავლემ უნდა შეძლოს **თანამედროვე ტექნოლოგიების** გამოყენება. მასწავლებელი აღარ უნდა იყოს ცოდნისა და გამოცდილების მიღების **ერთადერთი წყარო.**

საქართველოში ვერსად ნახავთ სკოლას, რომელშიც აქტიურად არ ინერგება სასწავლო პროცესში **ისტ–ის** გამოყენება. **მიიჩნევა,** რომ ეს **ინოვაცია** ხელს უწყობს მოსწავლეებში XXI საუკუნის უნარ–ჩვევების გამომუშავებას. მართლაც, მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად **იძებნება** და **ირჩევა** ინტერნეტში არსებული მრავალფეროვანი ინფორმაციიდან საჭირო მასალა. შემდეგ ეს ინფორმაცია **ფასდება**, ანალიზდება, მუშავდება და გამოიყენება დასახული მიზნების მისაღწევად.

საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ცოდნის მიღება ბევრად უფრო ხელმისაწვდომი და სახალისოა, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება **სასწავლო პროექტები. მოსამზადებელი** პროექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის და ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას უკავშირდებოდეს.



დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ მოსწავლეები **ხან** ინდივიდუალურად, ხან ჯგუფურად მუშაობენ **კვლევით** ან სხვა სახის პროექტებზე. სასწავლო პროექტების **სპეციფიკა** ისაა, რომ მათი დახმარებით

მოსწავლეები თეორიას პრაქტიკასთან აკავშირებენ. პროექტის მომზადების პროცესს აქვს რამდენიმე საფეხური. ინფორმაციის მოსაძიებლად ფართოდ გამოიყენება **ინტერნეტრესურსები**. ეს ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს: გახდნენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების **კომპეტენტური** მომხმარებლები; განივითარონ ბუნებრივი **ნიჭი** და საჭირო უნარები; შეძლონ საკუთარი პროდუქტის შექმნა და **პრეზენტირება**, ანუ **სლაიდშოუს წარდგენა** Power-point -ში.

გარდა ამისა, **ვერსად** ნახავთ ისეთ თვალსაჩინოებებს, რომელთა შექმნაც შეიძლება **საინფორმაციო ტექნოლოგიების** გამოყენებით. ახალი ცნების, თემის, მოვლენის ახსნისთვის ხშირად არის საჭირო **სპეციფიკური** სქემები, დიაგრამები, **ილუსტრაციები**, **პლაკატები**, რუკები, **ფორმულები**, ცხრილები, **აუდიო-ვიდეოფაილები** და ა.შ. საჭირო **თვალსაჩინო** მასალა კი შეიძლება **არსად** იყოს. **მკვიდრდება** ტრადიცია, რომ ასეთ დროს ინოვაციური სასწავლო რესურსის შექმნაში მასწავლებლებთან ერთად ხშირად ჩართული არიან მოსწავლეები. **ერთობლივი** მუშაობა ხელს უწყობს ციფრული კულტურის **დამკვიდრებას** სკოლაში.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომაა საჭირო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა სკოლაში?
2. იმისათვის, რომ მოსწავლე გახდეს კომპეტენტური ინტერნეტმომხმარებელი, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა?
3. როგორ შეიძლება იყოს სასწავლო პროექტი?
4. თქვენი აზრით, სასწავლო პროექტის მომზადების რომელი საფეხურია (იხ.: სავარჯიშო 3.2.) ყველაზე რთული? რატომ?
5. რა დახმარება შეიძლება გაუწიოს მასწავლებელს თანამედროვე ტექნოლოგიებმა?

3.2. დააკვირდით დიაგრამას, რომელზეც ნაჩვენებია სასწავლო პროექტის მომზადების საფეხურები; მეწყვილესთან ერთად იმსჯელეთ და ცხრილში ჩაწერეთ, რას ურჩევდით მოსწავლეს:

საფეხური	მასწავლებლის რჩევები და რეკომენდაციები
ინფორმაციის მოძიება	
კვლევის ჩატარება	
მონაცემთა ორგანიზება	
მონაცემთა ანალიზი	
პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება	
შედეგების პრეზენტაცია	

3.3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნა საჭირო ფორმით:

ნიმუში: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლებში აქტიურად (დანერგვა) **ინერგება** ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

1. ინტერნეტი ნელ-ნელა (დამკვიდრება)---------- ყოველდღიურ ცხოვრებაში.
2. ინოვაციურ-საინფორმაციო ტექნოლოგიები ჯერ კრიტიკულად (შეფასე ბა)---------- და შემდეგ ინერგება პრაქტიკაში.
3. საქართველოში უკვე არაფრად (მიჩნევა)---------- ისეთი სკოლა, სადაც არ არის ინტერნეტი.

4. მოსწავლის მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობაში (დაფასე ბა)----------, როგორც მაღალი მოტივაცია.
5. კომუნიკაციისა და გამოცდილების გაზიარების შემდეგ კოლეგებს შორის თანამშრომლობის დიდი სურვილი (დამკვიდრება)----------.
6. დეიდა ნინოს პატარა ფისო მთელ უბანში (ძებნა)----------.

3.4. ა) წაიკითხეთ განცხადების ტექსტი:

პედაგოგთა საყურადღებოდ!

მასწავლებლის სახლში ტარდება კონფერენცია. მისი მიზანია სასწავლო პროცესში **ი**ნფორმაციულ–**ს**აკომუნიკაციო **ტ**ექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებსა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროს ორგანიზაციებს შორის.

მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ **ი**ნფორმაციულ–**ს**აკომუნიკაციო **ტ**ექნოლოგიების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკას, სტრატეგიებს და ინოვაციურ იდეებს. მოეწყობა ტექნოლოგიების გამოფენა იმ კომპანიების ორგანიზებით, რომლებიც ტექნოლოგიების სფეროში მუშაობენ ან საგანმანათლებლო სტრუქტურებისთვის ქმნიან პროდუქციას.

დაინტერესებული პირებისთვის ორგანიზებული იქნება პრაქტიკული აქტივობები მასწავლებლებისთვის კონკრეტული ტექნოლოგიის გასაცნობად. სკოლები მიიღებენ ინფორმაციას, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეების სასწავლო შედეგების გაუმჯობესება ტექნოლოგიების საშუალებით, ასევე როგორ უნდა დაინერგოს და ხელი შეეწყოს ციფრული კულტურის დამკვიდრებას სკოლაში.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. თქვენ მიიღებდით მონაწილეობას ამ კონფერენციაში? რატომ?
2. გაქვთ რაიმე ინოვაციური იდეა? რომელი?
3. რა სახის პრაქტიკულ აქტივობებში მიიღებდით მონაწილეობას?
4. როგორ გესმით გამოთქმა: „ციფრული კულტურა“?

3.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლევან, რა კარგია, რომ გნახე. რაღაც მინდა გკითხო.
- გისმენთ, დეიდა ნინო.
- ნინი უკვე დიდი გოგოა. მალე სკოლაში უნდა წავიდეს. ჩვენს ოჯახში _____, რომ ბავშვმა ---------- განათლება უნდა მიიღოს, მე კი ---------- ---------- უფრო მომწონს. თქვენს სკოლაში რა ხდება ამ მხრივ?
- მაშინ სხვაგან ---------- წაიყვანთ, ჩვენს სკოლაში მოდით. სხვა სკოლებში ახლა ---------- ისტ–ით სწავლება, ჩვენთან კი დიდი ხანია ---------- ----------.
- სწავლა ასე უფრო საინტერესო და სახალისოა?
- დიახ, რა თქმა უნდა! გაკვეთილზე ინტერნეტს ხშირად ვიყენებთ. _____ ვქმნით სასწავლო რესურსებს: დიაგრამებს, ცხრილებს, ----------

თემასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციაც უცებ ----------.

- რა კარგია!
- ძალიან! სწავლა უფრო ადვილია, ვიდრე აქამდე იყო. ----------სასწავლო რესურსები გვეხმარება მასალის ვიზუალურ აღქმასა და საკითხის გაგება-გააზრებაში. ყველაფერს ადვილად ვიმახსოვრებთ.
- ლევან, ე.ი. თქვენთვის მასწავლებელი აღარ არის ცოდნის მიღების ---------- ----------?
- დიახ, მაგრამ მასწავლებელი მაინც ძალიან ბევრ რამეს გვასწავლის და გამოცდილებასაც გვიზიარებს; მაგალითად, ისტ-ის ეფექტურად გამოყენების ----------, რაც ასე გვჭირდება ცხოვრებაში.

3.6. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე	დამკვიდრება
ინოვაციების	პრეზენტირება
თვალსაჩინო	პროექტი
სასწავლო	მომხმარებელი
კომპეტენტური	**ტექნოლოგიები**
სლაიდშოუს	შედეგი

ბ) მიღებული შესიტყვებებით შექმენით მოკლე ტექსტი და შეურჩიეთ სათაური:

3.7. ა) გაეცანით ინფორმაციას საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შესახებ:

ცრპ – ციფრული რესურსების პორტალი (http://www.ict.tpdc.ge) ონლაინ სასწავლო გარემოა. დაინტერესებულ მომხმარებელს აქ ვიდეოგაკვეთილების საშუალებით ასწავლიან სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებასა და სასწავლო პროცესში მათი ინტეგრირების მეთოდებს. მომხმარებელმა მაქსიმალურად სწრაფად რომ იპოვოს და გამოიყენოს კონკრეტული ინსტრუმენტი, მასალა სტრუქტურირებულია.

Edmodo — უფასო საგანმანათლებლო სოციალური ქსელი მასწავლებლებისთვის (**https://www.edmodo.com/**) მისი საშუალებით მასწავლებელი მარტივად ამყარებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან და მშობლებთან. Edmodo-ს მარტივი ინტერფეისი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავისუფლად ითანამშრომლონ ვირტუალურ საკლასო ოთახში და შეასრულონ მასწავლებლის დავალებები, ნახონ პრეზენტაციები, დაწერონ ტესტები, მიიღონ ჯილდოები.



Etwinning – სსიპ–მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა. პროგრამის მიზანია, გამოცდილების გაზიარების მიზნით დაეხმაროს მასწავლებელებს, ჩამოაყალიბონ მყარი ურთიერთობები კოლეგებთან არა მარტო რეგიონების, არამედ საერთაშორისო დონეზე; ხელი შეუწყოს წარმატებული სასკოლო პრაქტიკის გაზიარებას; ასევე, უზრუნველყოს სწავლების ინოვაციური მეთოდების გაცნობა და გამოყენება (http://etwinningplus.ge/).

ბ) დაფიქრდით და ცხრილში ჩაწერეთ, რა მიზნით შეუძლია მასწავლებელს მოცემული ინტერნეტრესურსების გამოყენება:

ნიმუში:

buki.ge; Learningapps.org; calameo.com; saba.com.ge; youtube.com; kodala.ge; Wikipedia; google.com	**სწავლების პროცესში სასწავლო რესურსების შექმნისთვის**
ელექტრონული ჟურნალი; edmodo.com; Learningapps.org;	
facebook.com; Email (gmail, Yahoo...); Skype	
drive. google.com; Email (gmail, Yahoo...); edmodo.com; eTwinnig; Skype	
drive. google.com; eTwinnig.net; Eschool; tpdc.ge; ict.tpdc.ge; http://mastsavlebeli.ge	
edmodo.com; facebook.com; Email (gmail, Yahoo...); Skype	

3.8. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა:

1. მერხი, დაფა, სახაზავი, კომპიუტერი
2. ინტერფეისი, ინტეგრირება, ინტერნეტრესურსი, ვიდეოფაილი
3. მონაწილე, ფასილიტატორი, მრჩეველი, დამხმარე
4. მრავალმხრივი, მხარდაჭერა, ცალმხრივი, ორმხრივი
5. განწყობა, მოლოდინი, მოტივაცია, ცნობისმოყვარეობა.

3.9. მოცემული სქემის მიხედვით შექმენით პრეზენტაციის ტექსტი; გამოიყენეთ გაკვეთილის ახალი სიტყვები და ფრაზები:

1.	**მისალმება**	ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით! დიდი მადლობა მობრძანებისთვის.
2.	**მიზანი**	დღევანდელი შეხვედრის მიზანია...
3.	**საჭიროება**	თანამედროვე ტექნოლოგიები უამრავ მნიშვნელოვან...
4.	**პრობლემა**	ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია, რადგან...
5.	**ძლიერი მხარე**	ჩვენი დახმარებით...
6.	**სამომავლო გეგმები**	იგეგმება მრავალი საინტერესო აქტივობა ...
7.	**დამშვიდობება**	კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მობრძანებისთვის. ახლა კი ...

V თავი ქცევის მართვა

I ნაწილი ბიჰევიორისტული თეორია

- როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია ბიჰევიორისტული თეორია?
- რა იცით ბერეს ფრედრიკ სკინერის თეორიის შესახებ?
- სასჯელი შეიძლება იყოს პოზიტიური? რატომ ფიქრობთ ასე?

ახალი სიტყვები	
რა? დასჯა ზიანი რეაქცია ამბიცია ტრავმა პერსპექტივა შეწყვეტა ბიჰევიორიზმი ლიდერობა ღონისძიება ქცევათმეცნიერება უპასუხისმგებლობა ემპათია/თანაგრძნობა	**როგორი?** მტკიცე დასჯილი შედეგიანი მოკლევადიანი გრძელვადიანი **როგორ?** ზოგადად
ზმნები: რთავს – ერთვება ასწავლის – ისწავლება ასუსტებს – სუსტდება ამჟღავნებს – მჟღავნდება ამტკიცებს – მტკიცდება	**ფრაზები:** სასურველი ქცევები მოკლევადიანი პერიოდი გრძელვადიანი პერსპექტივა ზიანი არ მივაყენოთ ნეგატიურისგან განსხვავებით

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ჩართვა	ერთვება	ერთვებოდა	ჩართულ იქნა	ჩაერთვება	ჩართულ იყოს	ჩართულა
სწავლება	ისწავლება	ისწავლებოდა	შესწავლილ იქნა	შეისწავლება	შესწავლილ იყოს	შესწავლილა
შესუსტება	სუსტდება	სუსტდებოდა	შესუსტდა	შესუსტდება	შესუსტდეს	შესუსტებულა
გამჟღავნება	მჟღავნდება	მჟღავნდებოდა	გამჟღავნდა	გამჟღავნდება	გამჟღავნდეს	გამჟღავნებულა
განმტკიცება	მტკიცდება	მტკიცდებოდა	განმტკიცდა	განმტკიცდება	განმტკიცდეს	განმტკიცებულა

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ჩართვა	რთავს	რთავდა	ჩართო	ჩართავს	ჩართოს	ჩაურთავს
სწავლება	ასწავლის	ასწავლიდა	ასწავლა	ასწავლის	ასწავლოს	უსწავლებია
შესუსტება	ასუსტებს	ასუსტებდა	შეასუსტა	შეასუსტებს	შეასუსტოს	შეუსუსტებია
გამჟღავნება	ამჟღავნებს	ამჟღავნებდა	გაამჟღავნა	გაამჟღავნებს	გაამჟღავნოს	გაუმჟღავნებია
განმტკიცება	ამტკიცებს	ამტკიცებდა	განამტკიცა	განამტკიცებს	განამტკიცოს	განუმტკიცებია

დააკვირდით!

ა)

- ბატონი ავთანდილ**ი** ჩვენს სკოლაში ქართულ**ს** **ასწავლის**.
- ჩვენს სკოლაში მაღალ დონეზე **ი**სწავლე**ბა** ქართულ**ი**.

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
რთავს	ჩართვა	ერთვება
ასწავლის	სწავლება	ისწავლება
ასუსტებს	შესუსტება	სუსტდება
ამჟღავნებს	გამჟღავნება	მჟღავნდება
ამტკიცებს	განმტკიცება	მტკიცდება

ბ)

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა

რთ**ავ**ს ის მას – ერთვ**ება** ის
ასწ**ავ**ლის ის მას – ისწავლ**ება** ის
ასუსტ**ებ**ს ის მას – სუსტდ**ება** ის
ამჟღავნ**ებ**ს ის მას – მჟღავნდ**ება** ის
ამტკიც**ებ**ს ის მას – მტკიცდ**ება** ის

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ბიჰევიორიზმი (behavior (ინგ.) – ქცევა), ანუ **ქცევათმეცნიერება** შეისწავლის ადამიანის ქცევის ცვლილებას სწავლის პროცესში. ბიჰევიორისტული თეორია სწავლების დირექტიული თეორიაა. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვი სწავლობს ნებისმიერ ქცევას, თუ ის მტკიცეა.

ამერიკელი ფსიქოლოგის, სკინერის აზრით, დასწავლისათვის უმნიშვნელოვანესია განმტკიცებისა და **დასჯის** გამოყენება. მიიჩნევა, რომ განმტკიცებაც და დასჯაც შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ პოზიტიური, ანუ დადებითი, არამედ – ნეგატიური, ანუ უარყოფითი.

დადგენილია, რომ პოზიტიური განმტკიცების დროს მოსწავლე ყოველთვის იმეორებს ქცევას, ანუ **დასწავლილა** ის ქცევა, რომელზეც მასწავლებელს **რეაქცია** ჰქონდა. მასწავლებელი მაშინვე **განამტკიცებს** მოსწავლის **სასურველ** ქცევას, როგორც კი მას ეს **გამოუმჟღავნებია**. ბავშვი აქტიურად ერთვება საგაკვეთილო პროცესში, მონაწილეობას იღებს სპორტულ ღონისძიებებში, თანამშრომლობს **თანაკლასელებთან** და ა. შ.

თუ მასწავლებელს განუმტკიცებია არასასურველი ქცევა, ეს ყოფილა ნეგატიური განმტკიცება და მოსწავლეებში გაუზრდია **უპასუხისმგებლობა**.

სკინერის აზრით, **ზოგადად** დასჯა არაეფექტურია, მაგრამ თუ ის აუცილებელია, მაშინ ის რაც შეიძლება რბილი უნდა იყოს, რომ **ზიანი არ მივაყენოთ** მოსწავლის თვითშეფასებას.

ნეგატიურისაგან განსხვავებით, პოზიტიური დასჯის მიზანია, **შეასუსტოს** არასასურველი ქცევა. ეს მეთოდი **შედეგიანია** როგორც **მოკლევადიან** პერიოდში (გაკვეთილზე არასასურველი ქცევის **შეწყვეტა**), ასევე – **გრძელვადიან პერსპექტივაში.** ფიზიკური დასჯ**ისგან განსხვავებით**, მას ხელი არასდროს შეუშლია მოზარდში ჯანსაღი **ამბიციის**, **ლიდერობისა** და **ემპათიის (თანაგრძნობის)** უნარის განვითარებისთვის. ნეგატიურად **დასჯილ** ბავშვს კი ფსიქოლოგიური **ტრავმა** მიუღია.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ უწოდებენ ბიჰევიორიზმს „ქცევათმეცნიერებას“?
2. რა შედეგი აქვს პოზიტიურ განმტკიცებას?
3. როდის უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა პოზიტიური განმტიცების მეთოდი?
4. რას ნიშნავს ნეგატიური, ანუ უარყოფითი განმტკიცება?
5. რა შემთხვევაში ექნება დასჯას პოზიტიური შედეგი?



ბ. ფ. სკინერი
1904– 1990

„ადამიანის ქცევის რეგულირება ხდება არა „შიგნიდან“, არამედ გარედან, გარემო ფაქტორების გავლენით“.

ბერეს ფრედერიკ სკინერი

დააკვირდით!

❁ დადებითი = პოზიტიური
უარყოფითი = ნეგატიური

❁ დადებითი შედეგი – პოზიტიური შედეგი
უარყოფითი შედეგი – ნეგატიური შედეგი

❁ ————–ის+გან განსხვავებით
უარყოფით**ისგან განსხვავებით**, დადებითი დასჯა შედეგიანია.
ნეგატიურ**ისგან განსხვავებით,** პოზიტიური დასჯა შედეგიანია.

1.2. ა) დააკავშირეთ ფორმები:
ნიმუში: უარყოფითისგან განსხვავებით

უარყოფითისგან	თეორია
ტრავმის	გამოხატვა
ქცევის	მიყენება
ბიჰევიორისტული	დასწავლა
რეაქციის	დაცვა
წესრიგის	**განსხვავებით**

ბ) შეადგინეთ წინადადებები ამ შესიტყვებების გამოყენებით:

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

1.3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები საჭირო ფორმით; გაითვალისწინეთ, რომ ერთი სიტყვა ზედმეტია:

რეაქცია	ღონისძიება	თანაგრძნობა	პერსპექტივა	უპასუხისმგებლობა	ზიანი

1. შალვა ყოველთვის აკვირდება მასწავლებლის ————————————————————.

2. მიიჩნევა, რომ ––––––––––––––––––––––––––––––––––– ერთობლივად ჩატარება დადებით გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე.
3. პოზიტიური სასჯელი შედეგიანია ––––––––––––––––––––––––––––––––––– პერსპექტივაშიც.
4. ქალბატონმა ნინომ ბევრი იფიქრა ახალი მოსწავლის –––––––––––––––––––––––––––––––––––.
5. თანაკლასელთა ––––––––––––––––––––––––––––––––––– დიდი დახმარება გაუწია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალ მოსწავლეს.

1.4. სიტყვებს შეურჩიეთ სინონიმური მნიშვნელობის ფორმები:

რეაქცია	ა. სასურველი ქცევა ბ. არასასურველი ქცევა გ. ქცევა, რომელიც მოტივირებულია სხვა ქცევით
პერსპექტივა	ა. სპეციფიკური მოქმედება ბ. ის, რაც შეიძლება მოხდეს მომავალში გ. ინოვაციური მიდგომა
ტრავმა	ა. ფაქტი ბ. არასასიამოვნო ფაქტი გ. ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი
ნიჭი	ა. უნარების ერთობლიობა ბ. აზროვნების უნარი გ. ფიქრის უნარი
კონსტრუირება	ა. პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა ბ. საზოგადოებრივი აქტივობა გ. არსებულის საფუძველზე ახლის აგება

1.5. მოისმინეთ დიალოგები:

1.

– სანდრო, როგორ მოვიქცე? ერთი მოსწავლის არასასურველი ქცევა ძალიან მიშლის ხელს. გაკვეთილზე წესრიგს ვეღარ ვინარჩუნებ. მისი დასჯა არ მინდა, მაგრამ არც ის ვიცი, რა გავაკეთო.
– ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, შენ ახლა ნეგატიურად განამტკიცებ მოსწავლეს და მასში ზრდი უპასუხისმგებლობას.
– ანუ, რას მირჩევ?
– მართალია, მოსწავლის დასჯა არ გინდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ახლა ეს აუცილებელია.
– დასჯით ხომ ფსიქოლოგიური ტრავმა უნდა მივაყენო?!
– არა, თუ პოზიტიურად დასჯი, ყველაფერი კარგად იქნება. რაც შეიძლება რბილი ფორმით, მაგრამ ყოველთვის მიეცი შენიშვნა, როცა ცუდად მოიქცევა. ეს ნელ-ნელა აუცილებლად შეასუსტებს არასასურველ ქცევას.

2.

– ნინო, საერთოდ როგორი მოსწავლეა ეს ბავშვი?
– ძალიან ნიჭიერია, ანალიტიკური აზროვნებით ხასიათდება, მაგრამ თითქოს სხვებისგან გარიყულია.
– მაშინ საჭიროა მისი ჯგუფურ მუშაობაში ჩართვა. ასევე, ყოველთვის საჭიროა შექება, როცა კარგად მოიქცევა.

- ასე შესაძლებელია სასურველი ქცევის დასწავლა?
- რა თქმა უნდა, პოზიტიური დასჯა, ანუ შენიშვნის მიცემა, პოზიტიური განმტკიცებაა; შექება მის ქცევას შეცვლის. მოსწავლე დაისწავლის იმ ქცევას, რომელიც მასწავლებლის დადებით რეაქციას იწვევს. თუ სასურველ შედეგს ვერ მიიღებ, მაშინ შეგიძლია ნეგატიური დასჯაც გამოიყენო.
- ეს რას ნიშნავს?
- ნეგატიურად მაშინაა დასჯილი ბავშვი, როცა სასიამოვნო სტიმულს მოაკლებ. მაგალითად, დასვენების დროს კლასში დატოვებ.
- გასაგებია, სანდრო. დიდი მადლობა!

ბ) დიალოგების მიხედვით იმსჯელეთ დასჯის პოზიტიური და ნეგატიური ფორმების შესახებ:

1.6. შეცვალეთ ზმნები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: პოზიტიური სასჯელი **ასუსტებს** არასასურველ ქცევებს.
პოზიტიურ სასჯელ**ს შეუსუსტებია** არასასურველი ქცევები.

1. საქართველოს სკოლებში უკვე (**მკვიდრდება**) ---------- ისტ-ით სწავლება.
2. პოზიტიური დასჯის დროს მასწავლებელი ზიანს არ (**აყენებს**) ----------მოსწავლის თვითშეფასებას.
3. ბიჰევიორიზმი (**შეისწავლის**) ---------- ადამიანის ქცევის ცვლილებას სწავლის პროცესში.
4. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი (**აჯამებს**) ---------- ახსნილ მასალას.
5. სოფო პრეზენტაციისთვის საინტერესო მასალას (**მოიპოვებს**)----------ინტერნეტში.

მოდი + II კავშირებითი

მოდი, გავაკეთოთ...
მოდი, გავამარტივოთ...
მოდი, დავახარისხოთ...
მოდი, გავააქტიუროთ...
მოდი, განვამტკიცოთ...

1.7. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ კონსტრუქცია:
მოდი + II კავშირებითი.

ნიმუში: ინტერნეტში მოპოვებული მასალა **ხარისხდება.**
მოდი, ინტერნეტში მოგროვებული მასალა **დავახარისხოთ**.

1. ჩვენს სკოლაში **მკვიდრდება** სწავლების თანამედროვე მეთოდები.
2. პოზიტიური დასჯით ნელ-ნელა **მცირდება** მოსწავლის არასასურველი ქცევა.
3. სწავლების შედეგები ყოველ სემესტრში **ანალიზდება**.
4. გარემო ფაქტორების გავლენით მოსწავლის ქცევა **იცვლება**.
5. **მიიჩნევა**, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლას ამარტივებს.

1.8. დაფიქრდით და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი ფორმით მოცემული სიტყვები:

შედეგიანი	მოკლევადიანი	დასჯილი	სპეციფიკური	ერთობლივი

1. მასწავლებლის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, ზრუნვა და პატივისცემა ყოველთვის ––––––––––––––––––––––––––––––––– იქნება.
2. ––––––––––––––––––––––––––––––––––––– ბავშვთან ძნელია ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა.
3. დისკუსია არის ––––––––––––––––––––––––––––––––––––– მეთოდი, რომელიც მოსწავლეს ანალიზისა და მსჯელობის უნარს უვითარებს.
4. ფიზიკური სასჯელი შეიძლება ეფექტური იყოს ––––––––––––––––––––––––––––––––––––– პერსპექტივაში, მაგრამ ის ბავშვის ფსიქიკას დიდ ზიანს აყენებს.
5. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რომ მათ –––––––––––––––––––––––––––––––მოიძიონ მასალა ახალი სასწავლო რესურსის შექმნისთვის.

1.9. წაიკითხეთ ტექსტი; საკუთარი გამოცდილების მიხედვით იმსჯელეთ ასოციაციური დასწავლის შესახებ:

ბიჰევიორისტების მიხედვით, არსებობს დასწავლის ფორმა, რომელიც სულაც არ საჭიროებს ინფორმაციის დამუშავებას, გაანალიზებას და აზრის გამოტანას. –ამას **ასოციაციურ დასწავლას** უწოდებენ. ასოციაციური დასწავლისას ერთი მოვლენა გაუცნობიერებლად, ასოციაციურად უკავშირდება მეორეს. მაგ.: მასწავლებლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება შესაძლებელია გავრცელდეს საგნის მიმართ დამოკიდებულებაზე. ეს შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რატომ და როგორ ხდება დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

II ნაწილი კლასის მართვა

- როგორ ფიქრობთ, მარტივია თუ რთული კლასის მართვა? რატომ?
- თქვენი აზრით, რას გულისხმობს ცნება „კლასის მართვა“ მოსწავლეთა ქცევის რეგულირების გარდა?
- რას ურჩევდით ახალბედა მასწავლებელს?



ახალი სიტყვები	
ვინ/რა? ჩარევა მომხრე სანქცია კორექცია დისციპლინა თვითდისციპლინა მოწინააღმდეგე პროფილაქტიკა გამომუშავება თავისებურება შედეგი/შედეგიანობა შენარჩუნება	**როგორი?** ახალბედა თვალშისაცემი მოსალოდნელი უნივერსალური ორიგინალური **როგორ?** ზედმეტად
ზმნები: რევს – ერევა არღვევს – ირღვევა ასახავს – ისახება აგვარებს – გვარდება ათანხმებს – თანხმდება	**ფრაზები:** კლასის მართვა მინიმუმამდე დაყვანა უნივერსალური რეცეპტი მეცადინეობის განმავლობაში

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ჩარევა	❁(ჩა)რევს	❁რევდა	ჩარია	ჩარევს	ჩარიოს	ჩაურევია
დარღვევა	არღვევს	არღვევდა	დაარღვია	დაარღვევს	დაარღვიოს	დაურღვევია
ასახვა	ასახავს	ასახავდა	ასახა	ასახავს	ასახოს	აუსახავს
მოგვარება	აგვარებს	აგვარებდა	მოაგვარა	მოაგვარებს	მოაგვაროს	მოუგვარებია
შეთანხმება	ათანხმებს	ათანხმებდა	შეათანხმა	შეათანხმებს	შეათანხმოს	შეუთანხმებია

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ჩარევა	ერევა	ერეოდა	ჩაერია	ჩაერევა	ჩაერიოს	ჩარეულა
დარღვევა	ირღვევა	ირღვეოდა	დაირღვა	დაირღვევა	დაირღვეს	დარღვეულა
ასახვა	ისახება	ისახებოდა	აისახა	აისახება	აისახოს	ასახულა
მოგვარება	გვარდება	გვარდებოდა	მოგვარდა	მოგვარდება	მოგვარდეს	მოგვარებულა
შეთანხმება	თანხმდება	თანხმდებოდა	შეთანხმდა	შეთანხმდება	შეთანხმდეს	შეთანხმებულა

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სწავლება–სწავლის პროცესის **შედეგიანობა** იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად მართავს მასწავლებელი კლასს და ინარჩუნებს დისციპლინას. კლასის მართვა გულისხმობს სწავლებისათვის ხელსაყრელი, უსაფრთხო გარემოს შექმნას; დისციპლინის **შენარჩუნება** მოსწავლეთა არასასურველი ქცევის **მინიმუმადე დაყვანას** ნიშნავს. კლასის მართვის გრძელვადიანი მიზანი ახალგაზრდებში **თვითდისციპლინის** უნარის **გამომუშავება**, ხოლო მოკლევადიანი – კლასში ჯანსაღი გარემოს შექმნაა.

მოსწავლეებს განსხვავებული პიროვნული **თავისებურებები**, ინტერესები და შესაძლებლობები აქვთ. ეს ყოველთვის **ასახულა** მათ ქცევასა და სწავლის ხარისხზე, ამიტომ არ არსებობს კლასის მართვის **უნივერსალური რეცეპტი.** მოსწავლეთა დისციპლინის პრობლემები ყოველთვის **მოგვარებულა**, როცა მასწავლებლებს სხვადასხვა სტრატეგია გამოუყენებიათ. დადგენილია, რომ ყველა წარმატებულ მასწავლებელს კლასის მართვის თავისი, **ორიგინალური** სტილი აქვს.

ზოგადად, არსებობს კლასის მართვის რამდენიმე განსხვავებული მოდელი – ჰუმანისტური, დემოკრატიული და ბიჰევიორისტული; თუმცა სამივე მოდელის **მომხრეები** უკვე შეთნხმდნენ ერთ აზრზე. ისინი **შეთანხმებულან**, რომ კლასის მართვისას, ისევე, როგორც მედიცინაში, **პროფილაქტიკა** უფრო ეფექტურია, ვიდრე **კორექცია**.

მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლეს; გრძნობდეს, როდისაა მისგან **მოსალოდნელი** არასასურველი ქცევა. მასწავლებელი იქამდე უნდა **ჩაერიოს** კლასში, სანამ დისციპლინა **დარღვეულა**. ასეთ დროს ეს **ჩარევა** არა მხოლოდ **ზედმეტად თვალშისაცემია,** არამედ კლასის საქმიანობის შეწყვეტასაც არ იწვევს.

არასასურველი ქცევის დროს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა კლასში ქცევის წესებისა და პროცედურების ერთობლივად დადგენა. შესაძლოა, მასწავლებელი და მოსწავლეები შეთანხმდნენ **სანქციებზეც**, ანუ იმ პროცედურებზე, თუ რა უნდა გააკეთონ, როცა მეცადინეობის **განმავლობაში** დაირღვევა მიღებული წესები.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რამდენადაა დამოკიდებული სწავლება–სწავლის პროცესის შედეგიანობა დისციპლინის დაცვაზე?
2. რატომ არ არსებობს კლასის მართვის უნივერსალური რეცეპტი?
3. როგორ გესმით გამოთქმა: „ქცევის კორექცია“?
4. როგორი უნდა იყოს მოსწავლის ქცევაში მასწავლებლის ჩარევა? რატომ?
5. რატომ არის საჭირო სანქციების შესახებ მოსწავლეებთან შეთანხმება?

კლასის მართვის სტრატეგიები

- გაკვეთილის დაგეგმვა
- ქცევის წესებისა და პროცედურების შემუშავება
- მოსწავლეთა ორგანიზება
- დროის ორგანიზება და ა.შ.

დაიმახსოვრეთ!

_____ +ის განმავლობაში
(ნათ. ბრ. + ...)

ბავშვებმა მთელი წლ**ის განმავლობაში** ბევრი იმუშავეს და მასწავლებლის ქება დაიმსახურეს.

_____ + ის გვერდით
(ნათ. ბრ. + ...)
ჩვენი შედგენილი ქცევის წესები დაფ**ის გვერდით**, კედელზე კიდია.

დააკვირდით!

- ბატონი ავთანდილ**ი** სკოლის წესებ**ს** არ არღვევს.
- ჩვენი სკოლის წესებ**ი** არ ირღვევა.

ა)

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
❁(ჩა)რევს	ჩარევა	ერევა
არღვევს	დარღვევა	ირღვევა
ასახავს	ასახვა	ისახება
აგვარებს	მოგვარება	გვარდება
ათანხმებს	შეთანხმება	თანხმდება

ბ)

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა

❁(ჩა)რევს ის მას – ირღვევა ის
არღვევს ის მას – ირღვევა ის
ასახავს ის მას – ისახება ის
აგვარებს ის მას – გვარდება ის
ათანხმებს ის მას – თანხმდება ის

2.2. დააკავშირეთ ზმნები სიტყვებთან; ნიმუშის მიხედვით შეუცვალეთ ფორმა და ჩასვით შესაბამის წინადადებებში:

ნიმუში: მუშავდება ინფორმაცია

მუშავდება	საკითხი
გვარდება	თემა
თანხმდება	დისციპლინა
ისახება	გარემოს ცვლილება
ირჩევა	პრობლემა
ირღვევა	**ინფორმაცია**

ნიმუში: ინფორმაცია ჯერ არ დამუშავებულა
ზოგიერთ რეგიონში სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ **ინფორმაცია ჯერ არ დამუშავებულა.**

1. ქალბატონმა ნინომ თქვა, რომ ღია გაკვეთილისთვის **თემა** ----------.
2. ჩვენს ახალ სკოლაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით **პრობლემა** ----------.
3. ჩვენი მოსწავლეების ქცევაზე გარემოს **ცვლილება** ---------- .
4. ჩვენი სკოლის დირექტორთან ახალი მოსწავლის მიღების შესახებ **საკითხი** ----------.
5. მას შემდეგ, რაც კლასის მართვის ბიჰევიორისტულ სტილს ვიყენებ, **დისციპლინა** ----------.

2.3. დააკავშირეთ სინონიმური წყვილები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: მასალა = რესურსი

მასალა	გასწორება
კორექცია	თანაგრძნობა
შედეგიანი	თავისებურება
ემპათია	განსაკუთრებული
სპეციფიკა	ეფექტური
ორიგინალური	**რესურსი**

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

2.4. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. ჩასვით გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვები საჭირო ფორმით. გაითვალისწინეთ: ორი სიტყვა ზედმეტია:

მომხრე პროფილაქტიკა მოწინააღმდეგე შედეგიანობა უნივერსალური შენარჩუნება თვითდისციპლინა დაყვანა

ბიჰევიორისტული თეორიის **___მომხრეების___** აზრით, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის არასასურველი ქცევის მინიმუმამდე _____. მართალია, კლასის მართვის _____ მეთოდი არ არსებობს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. სწავლა–სწავლების _____ განსაზღვრავს მასწავლებლის და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა. მასწავლებლის მიერ სწორი მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში _____ გამომუშავებას. დადგენილია, რომ _____ ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე _____.

2.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- სწავლების დემოკრატიული სტილის ---------- არ ვარ, მაგრამ ---------- ---------- პრობლემა მაქვს.
- როგორია შენი ---------- ?
- რამდენიმე მოსწავლე მყავს ----------, მაგრამ ----------შეცვლილა.
- ---------- რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ ძალიან ---------- ---------- ქცევის წესების ერთობლივად შემუშავება.
- ვიცი, მაგრამ საჭირო გამოცდილება არ მაქვს.
- შემიძლია, რამდენიმე ---------- მოგცე.
- რა უნდა გავითვალისწინო?
- წესების რაოდენობა ბევრი არ უნდა იყოს. ზოგადად, 6–5 წესის შემუშავება საკმარისია; წესები მაქსიმალურად ნათლად და პოზიტიური ფორმით ჩამოაყალიბეთ ----------; შემდეგ ფურცელზე ლამაზად დაწერეთ და მისთვის თვალსაჩინო ადგილი შეარჩიეთ.
- სულ ესაა?
- შეგიძლიათ ---------- შეთანხმებაც, ანუ რა მოხდება, თუ ---------- ---------- წესები.
- აუცილებლად გავითვალისწინებ ამ რეკომენდაციებს, დიდი მადლობა.

2.6. დაეხმარეთ მეხუთე კლასის მოსწავლეებს, დაწერონ საკლასო ოთახში ქცევის წესები:

ქცევის წესები:
1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

2.7. დაალაგეთ ლოგიკური თანმიმდევრობით და შეადგინეთ დიალოგი:

1. _____ ალბათ, იმიტომ, რომ ასე ვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა. მეტად არიან ორიენტირებული წესრიგის დაცვაზე, რადგან ერთად იფიქრეს წესების შემუშავებაზე.
2. _____ უბრალოდ, თვალსაჩინო ადგილზე კიდია, დაფის გვერდით, კედელზე და სულ ხედავენ.
3. _____ მიიჩნევა, რომ ქცევის წესების შემუშავება ძალიან ეხმარება მასწავლებელს. მართლა ასეა, გიორგი?
4. _____ შენი აზრით, რატომაა ასე?
5. _____ წესრიგი საერთოდ აღარ ირღვევა?
6. _____ წესი როცა ირღვევა, რას აკეთებ?
7. _____ რა თქმა უნდა, ირღვევა, მაგრამ ასეთი შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი.
8. _____ ყველა დარღვევა ითვალისწინებს გარკვეულ სანქციას. მაგალითად, თუ არ უსმენს თანაკლასელებს, ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ პრეზენტაციას ვერ გააკეთებს.
9. _____ დიახ, ნესტან, ასეა. კლასის მართვა და დისციპლინის შენარჩუნება ბევრად ადვილია, როცა მოსწავლეები შეიმუშავებენ ქცევის წესებს.
10. _____ გიორგი, მართლაც რა კარგი ყოფილა ქცევის წესების შემუშავება. შენს გამოცდილებას მეც გავიზიარებ.
11. _____ ასე კარგად იმახსოვრებენ ამ წესებს?

2. 8. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ფსიქოლოგი გვირჩევს:

მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში აქვთ ურთიერთობა, ამიტომ მასწავლებელი უნდა იყოს ნიმუში იმისა, რასაც მოითხოვს მოსწავლეებისგან. მასწავლებელს შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.
რა უნდა გააკეთოს ამისთვის მასწავლებელმა:

- კლასში უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო
- ყველა მოსწავლე ჩართოს სასწავლო პროცესში
- გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები
- წაახალისოს არა მარტო მოსწავლის შედეგი, არამედ სურვილი და ცდაც
- უნდა მოუსმინოს მოსწავლეს და უპასუხოს მას
- მოსწავლეებს შეუქმნას თანამშრომლობის სურვილი
- უნდა აკონტროლოს საკუთარი ემოციები.

ბ) ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) , არასწორი (–) და ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის ტექსტში (√) :

მასწავლებელი უნდა იყოს ერთგვარი ნიმუში იმისა, რასაც მოითხოვს მოსწავლეებისგან.	**+**
მასწავლებელმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს მოსწავლეთა არასასურველი ქცევა.	
მასწავლებელმა უნდა აკონტროლოს თავისი ემოციები.	
მასწავლებელმა უნდა მოუსმინოს მოსწავლეს, მაგრამ არაა აუცილებელი, ყოველთვის უპასუხოს მას.	
მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მხოლოდ მოსწავლის შედეგი.	
ყველა მასწავლებელს კლასის მართვის თავისი სტილი აქვს.	
მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებები.	

2.9. დააკვირდით ფოტოებს. იმსჯელეთ ამ საკლასო ოთახების დადებით და უარყოფით მხარეებზე კლასის მართვის მხრივ:

III ნაწილი სწავლა მოდელზე დაკვირვებით

- რა არის თქვენთვის ცნობილი ალბერტ ბანდურას თეორიის შესახებ?
- თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს სწავლა დაკვირვებით? რატომ?
- თქვენი გამოცდილებით, შეიძლება თუ არა ჰქონდეს ნეგატიური ეფექტი სოციალურ დასწავლას? რატომ ფიქრობთ ასე?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა? ზრდა მიბაძვა დანახვა ამაღლება სიამოვნება მოდელირება მცდელობა კომპეტენტურობა თვითრეგულაცია განმამტკიცებელი	**როგორი?** შექმნილი უმჯობესი თვითრეგულირებადი **როგორ?** სიტყვიერად დადებითად უარყოფითად
ზმნები: ბაძავს ავლენს – ვლინდება აყალიბებს – ყალიბდება	**ფრაზები:** გარეშე პირი ქცევაზე დაკვირვება ქცევის სტანდარტი თვითრეგულაციის უნარი თვითრეგულირებადი ქცევა სოციალური დასწავლის თეორია ნეობიჰევიორისტული მიდგომა

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
მიბაძვა	ბაძავს	ბაძავდა	მიბაძა	მიბაძავს	მიბაძოს	მიუბაძავს
გამოვლენა	ავლენს	ავლენდა	გამოავლინა	გამოავლენს	გამოავლინოს	გამოუვლენია
ჩამოყალიბება	აყალიბებს	აყალიბებდა	ჩამოაყალიბა	ჩამოაყალიბებს	ჩამოაყალიბოს	ჩამოუყალიბებია

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
გამოვლენა	ვლინდება	ვლინდებოდა	გამოვლინდა	გამოვლინდება	გამოვლინდეს	გამოვლენილა
ჩამოყალიბება	ყალიბდება	ყალიბდებოდა	ჩამოყალიბდა	ჩამოყალიბდება	ჩამოყალიბდეს	ჩამოყალიბებულა

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ალბერტ ბანდურას **შექმნილი სოციალური დასწავლის თეორია ნეობიჰევიორისტულ მიდგომა**დ არის მიჩნეული. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანს შეუძლია ისწავლოს სხვებზე დაკვირვებითაც. ქცევაში ცვლილებას, რომელიც მოდელის **მიბაძვით** ხდება, **მოდელირება** ჰქვია.

ა. ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა **თვითრეგულირებადია**. სხვა ადამიანების **ქცევაზე დაკვირვებისა** და საკუთარი გამოცდილების შედეგად, ადამიანის ცნობიერებაში **ყალიბდება** ე. წ. **ქცევის სტანდარტები.** პატარა ბავშვების ქცევას უფროსები აკონტროლებენ; **მოზრდილი** ბავშვები კი თვითონ აკონტროლებენ და მართავენ თავიანთ ქცევასა და აზროვნებას. ანუ, თანდათან იზრდება **თვითრეგულაციის** უნარი.

პირველ რიგში, მოსწავლემ ყურადღება უნდა მიაქციოს მოდელის ქცევას. მან უნდა დაიმახსოვროს ეს ქცევა. ამისათვის მასწავლებელმა მოსწავლეებს არა მხოლოდ უნდა აჩვენოს ქცევის მაგალითი, არამედ **სიტყვიერადაც** ახსნას, თუ რას აკეთებს. ამის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის გამეორება. **უმჯობესია**, ეს **დანახვისა** და დაკვირვებ**ისთანავე** გააკეთოს. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლის **მცდელობა**: აუხსნას, რა გააკეთა კარგად და რისი გაუმჯობესებაა საჭირო. ასევე, საჭიროა მოტივაცია, რათა ქცევა **გამოვლინდეს**. მოსწავლეები უფრო **მოტივირებულნი არიან მიბაძონ** მოდელს, თუ ფიქრობენ, რომ ამისთვის შექებას ან ჯილდოს დაიმსახურებენ.

მოტივაციის **ამაღლებისთვის** მასწავლებელს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება შეუძლია. ა. ბანდურა თვლის, რომ ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ ის **დადებითად** ფასდება არა **გარეშე პირის**, არამედ თვითონ იმ ადამიანის მიერ. ე. ი. თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება გარეგან **განმამტკიცებელზე** უფრო ძლიერია: მოსწავლეები უნდა ცდილობდნენ გახდნენ უკეთესები არა ჯილდოსთვის, არამედ იმისთვის, რომ დააფასონ თავიანთი **კომპეტენტურობის ზრდა** და ამით **სიამოვნება** მიიღონ.



ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას გულისხმობს სოციალური დასწავლის თეორია?
2. როგორ გესმით გამოთქმა: „ადამიანის ქცევა თვითრეგულირებადია“?
3. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანმა ისწავლოს მოდელზე დაკვირვებით?
4. რომელი სტრატეგიების გამოყენება შეუძლია მასწავლებელს ქცევის გამოვლენისთვის?
5. რომელია ქცევის გამოვლენის ყველაზე ეფექტური სტრატეგია? რატომ?

დაიმახსოვრეთ!

...– ის+თანავე
დაკვირვება – დაკვირვებისთანავე
დანახვა – დანახვისთანავე

დააკვირდით!

ა)

ბედნიერი არის ⇒ ბედნიერები არიან

უკეთესი გახდა ⇒ უკეთესები გახდნენ

ბ)

მოტივირებულები არიან = მოტივირებულნი არიან

3.2. სახელები ჩასვით სათანადო ბრუნვაში. გამოიყენეთ თანდებულები „გვერდით“ და „თანავე“:

ნიმუში:
ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილის (დაწყება) _____ განაწყო მოსწავლეები პოზიტიურად.
ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილის დაწყებ**ისთანავე** განაწყო მოსწავლეები პოზიტიურად.

1. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ (ის) _____ ყოველთვის იქნება მასწავლებელი.
2. სკოლებში ინტერაქტიული სწავლების (დანერგვა) _____ გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია.
3. ჩვენი (სკოლა) _____ დიდი ღონისძიება ეწყობა სსსმ მოსწავლეთა დახმარების მიზნით.
4. დამწყები (მასწავლებელი) _____ როცა გამოცდილი პედაგოგი დგას, სწავლა–სწავლების პროცესი წარმატებულია.
5. კახამ პრეზენტაციისათვის თემის (შერჩევა) _____ დაიწყო ინტერნეტში მასალის მოძიება.

წაიკითხეთ და იმსჯელეთ!

„ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე, ანუ მოდელზე დაკვირვების საშუალებით. მაგალითად, მოსწავლეს მასწავლებელზე დაკვირვებით შეუძლია ისწავლოს წერა, კითხვა, სიტყვების სწორად გამოთქმა, მაგალითების ამოხსნა და ა.შ.“.

სოციალური დასწავლის თეორია
ალბერტ ბანდურა

❁ ბანდურა აღწერს ოთხ პროცესს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სხვაზე დაკვირვების გზით რაიმეს დასწავლაზე.



3.3. ჩასვით ზმნები საჭირო ფორმით სათანადო ადგილას:

ნიმუში: მიუხედავად ენის არცოდნისა, ლანა ადვილად (ერთვება) **ჩართულა** კლასის საქმიანობაში.

1. სკოლისა და საზოგადოების ერთობლივი ზრუნვით (ყალიბდება) ––––––––––––––––––––––ბავშვი სრულფასოვან პიროვნებად.

2. ბავშვის ქცევა თვითშეფასებით უფრო კარგად (მტკიცდება) ----------.
3. მოდელზე დაკვირვება ეფექტურად (ისახება)_____ მოსწავლეების ქცევაზე.
4. პოზიტიური განმტკიცებით ყოველთვის ადვილად (ისწავლება) _____ ქცევა.
5. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლება-სწავლის პროცესში ყველაზე ეფექტურ მეთოდად (მიიჩნევა) _____.

3.4. დაწყვილდით; დაფიქრდით და საკუთარი გამოცდილების მიხედვით შეავსეთ ცხრილი მეწყვილესთან ერთად:

სწავლა მოდელზე დაკვირვებით როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, რომ მოდელის საშუალებით ისწავლონ?	
რა არის საჭირო	**რა შეუძლია მასწავლებელს?**
ყურადღება	მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეების ყურადღება მიიპყროს პრეზენტაციით...
დამახსოვრება	მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აჩვენოს...
გამეორება	მასწავლებელი მესამეჯერ იმეორებს...
მოტივაცია	მასწავლებელი აქებს მოსწავლეებს...

3.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- დავით, გავიგე, გუშინ კათედრის სხდომაზე ალბერტ ბანდურას თეორიის შესახებ ---------- .
- მართალია. ვისაუბრეთ. რა ---------- , გიორგი?
- როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, რომ ადვილად ისწავლონ ----------საშუალებ ით? რა უნდა გავითვალისწინო?
- პირველ რიგში, ის, რომ სწავლა მოდელისგან პირდაპირ და ----------არ ხდება. ---------- უნდა განვითარდეს პროცესი.
- რამდენიმე ეტაპია?
- დიახ, ოთხი: ჯერ მოსწავლე ---------- ----------ჩვენს

ქცევას. შემდეგ ———————————————————— , თუ რას აკეთებს მასწავლებელი და ——————— ———————————————— მის ქცევას.

- ხომ თქვი ოთხი ეტაპიაო? მეოთხე რომელია? სამი თქვი!
- ———————————————————— . მოსწავლეს უნდა მივცეთ საშულება, ესა თუ ის ქცევა ——————— ———————————————— .
- უნდა შევაქო? თუ რაიმე სახის ჯილდოა საჭირო?
- სწორია, ან შეაქე, ან ჯილდო მიეცი. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი არიან ——————— ——————————— მოდელს, თუ ფიქრობენ, რომ ამისთვის შექებას ან რამე ——————————— ——————————— დაიმსახურებენ.

3.6. ნიმუშის მიხედვით გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: არაკომფორტულ გარემოში მოსწავლე წესრიგს **არღვევს**.
არაკომფორტულ გარემოში მოსწავლე წესრიგს **დაარღვევს**.

1. ყველა პრობლემა ადვილად გვარდება, როცა მასწავლებელი კლასს ეფექტურად მართავს.
2. ბავშვი ყოველთვის ავლენს დასწავლილ ქცევას.
3. მოსწავლე ხალისით ბაძავს მოდელს, თუ მოსწონს მისი ქცევა.
4. ბავშვის სასურველი ქცევა მტკიცდება, თუ მასწავლებელი დადებით უკუკავშირს მისცემს.
5. სკოლაში მისვლისთანავე არ ყალიბდება ბავშვი პიროვნებად.

3.7. წაიკითხეთ ტექსტი; ჩასვით სათანადო ადგილას საჭირო სიტყვები. გაითვალისწინეთ, რომ ორი სიტყვა ზედმეტია:

გამოცდილება სტანდარტები თვითრეგულაციის მიდგომა მოტივირებული მოდელირებისა მიბაძვით მოდელის აისახება შინაგანი ორიენტირებულია ქმედება კომპეტენტურობა

სოციალური დასწავლის თეორიის პრინციპები:

ადამიანმა შეიძლება შეიძინოს ახალი ———————————————— , ახალი ქცევა სხვა ადამიანების, ე. წ. ———————————————— ქცევაზე დაკვირვებით და ———————————— .

ადამიანი მოქმედებს გარემოზე, ხოლო გარემო მოქმედებს ადამიანზე; რასაც ადამიანები სწავლობენ მაშინვე ან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ———————————————— მათ ქცევაზე; სწავლა ———————————————— პროცესია, რომელიც შეიძლება აისახოს ან არ აისახოს ქცევაზე.

ადამიანის ———————————————— გარკვეულ მიზნებითაა ———————————— — თითოეული ქმედება ———————————————— მიზნის მიღწევაზე.

მოზრდილ ბავშვებს უკვე აქვთ ———————————————— უნარი. ისინი თვითონ აკონტროლებენ თავიანთ ქცევას და აზროვნების პროცესებს, რათა დასახულ მიზნებს მიაღწიონ. სხვა ადამიანების ქცევის ———————————————— და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება ქცევის ———————————————— .

3.8. დააკავშირეთ ანტონიმური წყვილები და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:
ნიმუში: მონოლოგი ≠ დიალოგი

მონოლოგი	მოწინააღმდეგე
მოკლევადიანი	უპასუხისმგებლობა
მომხრე	მინიმალური
პასუხისმგებლობა	ჯგუფური
ინდივიდუალური	გრძელვადიანი
მაქსიმალური	**დიალოგი**

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

3.9. ყურადღებით დააკვირდით სქემას; დაწყვილდით და იმსჯელეთ სოციალური დასწავლის თეორიის თითოეული პრინციპის შესახებ:

სოციალური დასწავლის თეორიის პრინციპები

სწავლა დაკვირვებით

ადამიანი და გარემო

მიზანი და მოქმედება

ქცევის თვითრეგულაცია

VI თავი შეფასება

I ნაწილი მოსწავლის შეფასება

- არსებობს მოსაზრება, რომ ზოგ შემთხვევაში უკეთესია, მასწავლებელმა არ შეაფასოს მოსწავლე. თქვენ რას ფიქრობთ?
- ვის უფრო „სჭირდება“ შეფასება – მოსწავლეს თუ მასწავლებელს? რატომ?
- თქვენი აზრით, რამდენად სუბიექტურია მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის შეფასება?

ახალი სიტყვები	
რა? ესე ექსპერიმენტი ნამუშევარი ზრუნვა ჩათვლა გამოსვლა გამოვლენა გავარჯიშება მომზადება	**როგორი?** ზეპირი არჩევითი ფერწერული არგუმენტირებული აკადემიური სავალდებულო **როგორ?** ზეპირად წარმატებით
ზმნები: ეთვლება ძლევს ახასიათებს ავარჯიშებს	**ფრაზები:** საგზაო ნიშნები ჩათვლის სისტემა ხარისხის მართვა აკადემიური მიღწევა ათქულიანი სისტემა საკონტროლო წერა ზეპირი გამოსვლა ექსპერიმენტის ჩატარება ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
ჩათვლა	ეთვლება	ეთვლებოდა	ჩაეთვალა	ჩაეთვლება	ჩაეთვალოს	ჩათვლია
დაძლევა	ძლევს	ძლევდა	დაძლია	დაძლევს	დაძლიოს	დაუძლევია
დახასიათება	ახასიათებს	ახასიათებდა	დაახასიათა	დაახასიათებს	დაახასიათოს	დაუხასიათებია
ვარჯიში	ავარჯიშებს	ავარჯიშებდა	ავარჯიშა	ავარჯიშებს	ავარჯიშოს	უვარჯიშებია

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა–სწავლების **ხარისხის მართვა,** რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე **ზრუნვას**. მოსწავლის **აკადემიური** მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება **ათქულიანი სისტემით** ხუთი დონის მიხედვით. ეს დონეებია:

- მაღალი
- საშუალოზე მაღალი
- საშუალო
- საშუალოზე დაბალი
- დაბალი

I –V კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. მასწავლებელი **ავარჯიშებს** ბავშვებს და შემდეგ მხოლოდ უკუკავშირს აძლევს კომენტარის სახით: **დაახასიათებს** მოსწავლეს; აღნიშნავს არა მარტო მის წარმატებას, არამედ იმასაც, თუ რაში სჭირდება დახმარება და **გავარჯიშება** საკუთარი შესაძლებლობების უკეთ **გამოსავლენად**.

VI–XII კლასებში ათქულიანი სისტემით ფასდება სხვადასხვა აქტივობა:

- პრეზენტაცია
- დისკუსია
- ტესტი
- **საკონტროლო წერა**
- ახალი ინფორმაციის მოძიება
- **ესეს** დაწერა
- პროექტის **მომზადება**
- **ზეპირი გამოსვლა**
- **ექსპერიმენტის ჩატარება**
- ცდის ჩატარება
- **არგუმენტირებული** მსჯელობა
- **ფერწერული ნამუშევარი**
- სხვა ტიპის ნამუშევარი და ა.შ.

ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასება შესაძლებელია საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებებით. საშინაო და საკლასო დავალებები ფასდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასებით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.

მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ **სავალდებულო** და **არჩევით** საგნებში. ისეთ სპეციფიკურ საგნებში, როგორებიცაა: „სპორტი", „**საგზაო ნიშნები** და მოძრაობის

უსაფრთხოება" – მოსწავლე ფასდება **ჩათვლის** სისტემით: **ჩაეთვალა**/არ ჩაეთვალა.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლე. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც **წარმატებით დაძლევს** ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

დააკვირდით!

ათქულ**იანი** = ათი ქულა
ხუთდონ**იანი** = ხუთი დონე

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას ნიშნავს „ხარისხის მართვა"?
2. რას გულისხმობს მასწავლებლის უკუკავშირი I –V კლასებში?
3. რომელი აქტივობები ფასდება ქულებით VI–XII კლასებში?
4. რისთვისაა საჭირო ჩათვლის სისტემა?
5. რა თავისებურება ახასიათებს სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებას?

დააკვირდით!

ა)

იზეპირებს ის მას
- **ზეპირად** იცის (მან ის)
- **ზეპირი** გამოსვლა აქვს (მას)

ბ)

არა ერთხელ ..., არამედ ....
მასწავლებელმა მოსწავლე არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე შეაფასა.

1.2. ტექსტის მიხედვით დაალაგეთ წინადადებები თანმიმდევრობით:

- საქართველოს სკოლებში მოსწავლის აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.
- მაღალ კლასებში ქულებით ფასდება მოსწავლის მიერ შესრულებული ყველა აქტივობა.
- მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
- მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა საგანში, გარდა სპეციფიკური საგნებისა, რომლებშიც მოქმედებს ჩათვლის სისტემა.

- დაბალ კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. მასწავლებელი მხოლოდ უკუკავშირს აძლევს მათ კომენტარის სახით.
- მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა–სწავლების ხარისხის მართვა.

1.3. დააკვირდით შეფასების სქემას. მოგწონთ ეს შეფასების სქემა? განმარტეთ, როგორ უნდა განსაზღვროთ, თუ რომელი დონე შეესაბამება მოსწავლის ცოდნას?

ქულა	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

1.4. წრეებში ჩაწერეთ აქტივობები, რომლებსაც განმსაზღვრელი შეფასება სჭირდებათ:



1.5. მოისმინეთ დიალოგები და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ა)

– ნინო, სკოლაში რომ დაიწყე მუშაობა, რა იყო თავიდან ყველაზე ძნელი?
– მოსწავლის ———————————————————— .
– შეფასება? ეგ ხომ ძალიან ადვილია?
– სულაც არა! შეფასებას თავისი მიზანი აქვს და მისი მიღწევისთვის სამი წესი შევიმუშავე: პირველ რიგში, უნდა ვყოფილიყავი ———————————————————— ; არ უნდა დავყრდნობოდი პირად მოსაზრებას, სურვილსა და მოსწავლის მიმართ ჩემს ———————————————————— .
– მართალია. ობიექტურობა ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ?

- შეფასება უნდა ყოფილიყო ----------. ამისათვის მოსწავლეებისათვის წინასწარ უნდა ---------- ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ---------- მათ ნაშრომსა თუ ---------- დავალებას.
- კი, კი, ეს ძალიან კარგია! ჩვენც ყოველთვის ----------, რა კრიტერიუმებით შეფასდება ---------- ! მესამე წესი?
- ---------- . შეფასება ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის შეაფასებდა მოსწავლეს.

ბ)

- ამ წესების დაცვა აუცილებლად მოგცემდა ---------- .
- ნამდვილად ასეა! ჩემი მოსწავლეებისთვის შეფასება აღარ იყო ----------. შეიცვალა მათი ---------- სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ.
- რა კუთხით შეიცვალა?
- მათ კარგად გაიგეს, რომ ---------- სწავლა-სწავლების ნაწილია. სწორედ შეფასების დახმარებით ხდება იმის დადგენა, თუ რა მიღწევები აქვს მოსწავლეს.
- თუ მაღალი ---------- ფასდება ბავშვი, ---------- დიდი აქვს?
- მხოლოდ ქულებით ამას ვერ იტყვი. მოსწავლის მიღწევები კარგად ჩანს ---------- შეფასებაში. აქ მთავარი ---------- კონკრეტული მოსწავლის წარმატებაა საკუთარ მიღწევასთან შედარებით, ანუ რა დონეს ---------- ადრე, რა დონეს ფლობს ახლა.
- ---------- თუ ესგ-ს სტანდარტთან შედარებით?
- არა, საკუთართან. ესგ-ს მოთხოვნებს ---------- შეფასება ითვალისწინებს.
- გასაგებია.

1.6. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და ჩასვით შესაბამის წინადადებებში:

ნიმუში: ჩათვლის სისტემა

ზოგიერთ სპეციფიკურ საგანში მოსწავლის შეფასებისთვის არსებობს **ჩათვლის სიტემა.**

ჩათვლის	მსჯელობა
ზეპირი	მიღწევა
ექსპერიმენტის	მომზადება
ნამუშევრის	ჩატარება
აკადემიური	გამოსვლა
არგუმენტირებული	**სისტემა**

1. ქიმიის გაკვეთილზე საჭიროა ---------- ----------, შემდეგ კი შედეგები ცხრილში უნდა ჩავწეროთ.
2. თანაკლასელებთან ერთად მინდა ---------- ----------ქა რთულ ლიტერატურაში.
3. კოტეს ---------- ---------- ყველას ძალიან მოეწონა.
4. მოსწავლის ---------- ---------- აუცილებლად

ობიექტურად უნდა შეფასდეს.

5. ყველაზე მაღალი ქულა მასწავლებელმა ---------- ---------- ---------- დაწერა.

დაიმახსოვრეთ!

იქნებ + II კავშირებითი
აკეთებს – **იქნებ** გააკეთოს
ბაძავს – **იქნებ** მიბაძოს
ავლენს – **იქნებ** გამოავლინოს

1.7. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ჯერ მასალა **იძებნება**, შემდეგ კი პრეზენტაცია კეთდება.
ჯერ **იქნებ** მასალა **დაიძებნოს**, შემდეგ კი პრეზენტაცია გაკეთდეს.

1. ყველა პედაგოგი თანხმდება, რომ შემაჯამებელი შეფასება აუცილებელია.
2. ქალბატონი თამარი მოსწავლეებს ობიექტურად ახასიათებს, მერე ყველანი მიდიან ეზოში.
3. ეს აქტივობა ყველას ეთვლება, თუ კარგად მომზადებული იქნება.
4. ეკა თანაკლასელების დახმარებით დაწერს პროექტს, თუ მთელი თვე იმუშავებს.
5. ფიზიკის მასწავლებელი გაკვეთილზე ბავშვებს ავარჯიშებს, რომ ადვილად დაძლიონ საგანი.

1.8. განმარტეთ სიტყვები:

ტრანსფერი _____
მოდელირება_____
ექსპერიმენტი _____
გავარჯიშება _____
პროფილაქტიკა _____

1.9. დააკვირდით ცხრილს. იმსჯელეთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების მსგავსებისა და განსხვავების შესახებ:

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას.	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ესგ-ით განსაზღვრული მიზნების მიხედვით; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი.	სწავლის შედეგი.

შეფასების შედეგი	განვითარებისთვის ხელის შეწყობის მიზნით განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა–დარიგების მიცემა და სხვ.	შემდეგ ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება.
წარმატების კრიტერიუმი	კონკრეტული მოსწავლის მიღწევა საკუთარ მიღწევებთან შედარებით – რა დონეს ფლობდა ადრე და რა დონეს ფლობს ახლა.	რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს.
შეფასების საშუალება	თვით/ურთიერთშეფასება; კითხვარი;ზეპირი/წერილობითი კომენტარი.	ქულა.

II ნაწილი შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები

- რა განსხვავებაა შეფასების „მეთოდსა“ და „ინსტრუმენტს“ შორის?
- შეფასების რომელი მეთოდები მიგაჩნიათ ყველაზე ეფექტურად?
- შეფასების რომელი ინსტრუმენტების გამოყენება გეხმარებათ სასურველი შედეგის მიღწევაში?



ახალი სიტყვები	
რა? ხარისხი დასკვნა ნაკრები ხარვეზი ჰიპოთეზა მოსწრება ჩამონათვალი პორტფოლიო აღწერილობა სამართლიანობა	**როგორი?** შერეული სამართლიანი ხარისხობრივი ელექტრონული შესრულებული შესასრულებელი
ზმნები: ზომავს სახავს აცნობს აძნელებს აადვილებს	**ფრაზები:** მიღწევის დონე მიღწევის ხარისხი მიღწევის დონის აღწერილობა შეფასების მეთოდები შეფასების ინსტრუმენტი ღია კითხვა = დახურული კითხვა

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
გაზომვა	ზომავს	ზომავდა	გაზომა	გაზომავს	გაზომოს	გაუზომავს
დასახვა	სახავს	სახავდა	დასახა	დასახავს	დასახოს	დაუსახავს
გაცნობა	აცნობს	აცნობდა	გააცნო	გააცნობს	გააცნოს	გაუცვნია
გაძნელება	აძნელებს	აძნელებდა	გააძნელა	გააძნელებს	გააძნელოს	გაუძნელებია
გაადვილება	აადვილებს	აადვილებდა	გააადვილა	გააადვილებს	გააადვილოს	გაუადვილებია

დააკვირდით!

...–ის წინაშე

მასწავლებლ**ის წინაშე** სასწავლო პროცესის ორგანიზების პრობლემა დგას.
სწავლების პროცესში თითოეული ინდივიდი გამოწვევ**ის წინაშე** დგას.

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სწავლების გარდა, მასწავლებლის წინაშე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა დგას: მოსწავლეთა შეფასება. რა თქმა უნდა, შეფასება ობიექტური, ანუ **სამართლიანი** უნდა იყოს, მაგრამ მთავარია, მოსწავლესაც ჰქონდეს შეფასების **სამართლიანობის** განცდა.

როგორ აფასებს მასწავლებელი მოსწავლეს? რა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს იყენებს შეფასებისთვის?

მასწავლებელმა შეფასების ძირითადი პრინციპები რომ დაიცვას, წინასწარ უნდა განსაზღვროს გაკვეთილის სასწავლო მიზანი და მიზნის შესაბამისი აქტივობები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეასრულოს. ამის საფუძველზე პედაგოგი აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და აფასებს მოსწავლის **მოსწრებას** ამა თუ იმ აქტივობაში ან საგანში; მაგ.: საკითხის ცოდნა, ანალიზი, დავალების შესრულების **ხარისხი**, ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, არგუმენტირებული მსჯელობა, **დასკვნების** გაკეთება, **ჰიპოთეზების** გამოთქმა და ა.შ. ამავე კრიტერიუმების მიხედვით ხდება შეფასების სქემების შემუშავება, რაც შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

სქემაში მოცემულია არა მარტო შეფასების კრიტერიუმები, არამედ მათი გამოყენების წესები, მიღწევის **ხარისხობრივი** დონეები და მათი **აღწერილობა**. შეფასების სქემები **აადვილებს** მოსწავლეების შეფასებას და მასწავლებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას **შესრულებული** და **შესასრულებელი** დავალების შესახებ; სქემის გამოყენება შესაძლებელია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის;

ყველა წარმატებულ მასწავლებელს ჯერ სასწავლო მიზანი **დაუსახავს**, შემდეგ კი კრიტერიუმების დახმარებით **გაუზომავს** სწავლება–სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები და მათი ხარისხი. შედეგი განსაკუთრებით ეფექტური ყოფილა, როცა მასწავლებელს წინასწარ **გაუცვნია** მოსწავლეებისთვის შეფასების სქემები ან შეფასების სქემის შექმნის პროცესში **ჩაურთავს** მოსწავლეები. ეს არ **აძნელებს** სწავლების პროცესს, პირიქით – **აადვილებს**. ამან ბავშვებს საშუალება მისცა, რომ უფრო კარგად გაიგონ, თუ რას ითხოვენ მათგან.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომაა მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლეს შეფასების მიმართ ჰქონდეს სამართლიანობის განცდა?
2. პირველ რიგში, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა შეფასებისათვის სწორი მეთოდისა და ინსტრუმენტების შესარჩევად?
3. მასწავლებელმა მოსწავლის მიერ შესრულებული რომელი აქტივობები შეიძლება შეაფასოს?
4. როგორ ეხმარება შეფასების სქემა მასწავლებელს?
5. თქვენთვის მისაღებია შეფასების სქემის შექმნაში მოსწავლეების ჩართვა? რატომ?

შეფასების მეთოდები

დაკვირვება

მიზანი – რჩევის მიცემა

ტესტი

მიზანი – ცოდნის კოგნიტური უნარების შემოწმება

პორტფოლიო

მიზანი – მიღწევების ასახვა

დააკვირდით!

დავალება (უკვე) შესრულებულია
დავალება (ხვალ) შესასრულებელია
დავალება (ჯერ) შეუსრულებელია

2.2. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

დაკვირვება – მისი მიზანია მოსწავლეებს მისცეს რჩევები, რისი გაუმჯობესებაა საჭირო, რომ მიაღწიონ უკეთეს შედეგებს. მასწავლებელი მოსწავლეს სასწავლო პროცესში აკვირდება: როდესაც მოსწავლე დასმულ შეკითხვებს პასუხობს, დაფასთან მუშაობს, ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობს, ინდივიდუალურ ან საკლასო სამუშაოს ასრულებს, ასევე, თანაკლასელებთან ურთიერთობის დროს. მასწავლებელი წინასწარ შეიმუშავებს დაკვირვების კრიტერიუმებს და გაკვეთილის მსვლელობისას რვეულში აკეთებს ჩანაწერებს. თუ საჭიროა, დაკვირვების შედეგებს ინდივიდუალურად აცნობს მოსწავლეებს, ესაუბრება არსებულ ხარვეზებზე.

ტესტი – ამ მეთოდს მასწავლებელი მოსწავლის ცოდნის ან კოგნიტური უნარების შემოწმებისთვის იყენებს. ტესტი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ დახურული კითხვებისაგან, მაშინ ფასდება ცოდნა. თუ ტესტი შედგება ღია კითხვებისაგან, მაშინ ფასდება სააზროვნო უნარები. არსებობს შერეული ტიპის ტესტიც, რომელიც შედგება როგორც ღია, ასევე დახურული კითხვებისაგან. ტესტი ფასდება მასწავლებლის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემით.

პორტფოლიო – მოსწავლის ნამუშევრების ნაკრებია, რომელიც ასახავს მის განვითარებასა და მიღწევებს სემესტრის ან წლის განმავლობაში. პორტფოლიო ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასების განვითარებას. მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით წინასწარ განსაზღვრავს მიზანს, ადგენს აქტივობების შესრულების ვადებს და გეგმავს აქტივობებს:

- პროექტი
- ღონისძიება
- პრეზენტაცია
- კონკურსი
- ოლიმპიადა
- დისკუსია/დებატები და ა.შ.

დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად განსაზღვრავს შეფასების სქემებს და პორტფოლიოსთვის საჭირო მასალის ჩამონათვალს:

- პორტფოლიოს გეგმა
- შეფასების სქემები
- თვითშეფასება/რეფლექსია
- დიპლომი
- ჯილდო
- ფოტოსურათები
- ელექტრონული პრეზენტაციები და ა.შ.
- წლის ბოლოს მოსწავლე კლასის წინაშე აკეთებს პორტფოლიოს პრეზენტაციას.

ბ) წაკითხულის მიხედვით მონიშნეთ ცხრილში სწორი, არასწორი და ისეთი ინფორმაცია, რომელიც ტექსტში არ წერია:

ინფორმაცია	სწორია	არასწორია	არაა ტექსტში
დაკვირების მიზანია, ასახოს მოსწავლის მიღწევები სემესტრის განმავლობაში.		√	
მასწავლებელი დაკვირვების შედეგებს ყოველთვის აცნობს მოსწავლეებს.			
თუ ტესტი მხოლოდ დახურული კითხვებისგან შედგება, ფასდება ცოდნა.			
თუ ტესტი ღია კითხვებისგან შედგება, ფასდება ცოდნაც და კოგნიტური უნარებიც.			
ყველა მოსწავლეს არ აქვს საშუალება, გააკეთოს პორტფოლიოს პრეზენტაცია კლასისი წინაშე.			
პორტფოლიო ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასების განვითარებას.			

2.3. შეავსეთ შეფასების სქემის შექმნისთვის აუცილებელი საფეხურები:

2.4. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: მინიმუმამდე დაყვანა



ბ) ჩასვით მიღებული შესიტყვებები სათანადო წინადადებაში:

1. მასწავლებლის მოვალეობა მოსწავლეთა არასასურველი ქცევის **<u>მინიმუმამდე დაყვანაა</u>**.
2. მასწავლებელი ---------- ---------- იმისთვის იყენებს, რომ მაქსიმალურად ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა.
3. სწავლა-სწავლების ---------- ---------- გულისხმობს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებას.
4. საქართველოს სკოლებში მოსწავლის მიღწევები ---------- ---------- ფასდება.
5. ---------- ---------- შედეგების ანალიზი მოსწავლეს ცოდნის დონის ამაღლებაში ეხმარება.
6. პორტფოლიოს პრეზენტაციის დროს კარგად ჩანს თითოეული მოსწავლის
7. ---------- ---------- .

დააკვირდით!

ა)

– მეთქი; – თქო; + ო.

ხომ გითხარით, სხდომათა დარბაზში **გელოდებით–მეთქი!**
ნინო, ლევანს უთხარი, ყველანი სხდომათა დარბაზში **გელოდებით–თქო.**
ქალბატონმა თამარმა თქვა, ყველანი სხდომათა დარბაზში **გელოდებითო.**

ბ)



2.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ნინო, მე8-კლასში ----------მუშაობა შეიძლება შეფასდეს შემდეგი აქტივობებით: ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება და ---------- წერა. რომელს უფრო ხშირად იყენებ?
- ტესტს.
- რატომ?
- ასე უფრო ---------- ვამოწმებ მოსწავლის ცოდნასა და სააზროვნო უნარებს.
- რომელი ტიპის ტესტს იყენებ?
- ----------ტიპისას, რომელიც შედგება როგორც ----------, ასევე ---------- კითხვებისაგან.
- ტესტისთვის შეფასების ---------- იყენებ?

- აუცილებლად, წინასწარ შევიმუშავებ ხოლმე შეფასების სქემას და კრიტერიუმებს ––––––––––––––––––––––––––– მოსწავლეებს.
- რომელი ტიპის შეფასებას იყენებ ტესტირებისას?
- ტესტის შეფასებისთვის ვიყენებ როგორც ––––––––––––––––––––––––––––––, ასევე ––––––––––––––––––––––––––––––

მიღწევის მოტივაცია.

4. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს შეკითხვებზე პასუხობს ისიც, ვისაც არ აქვს ––––––––––––––––––––––––––– დავალება.
5. სანდრო და ლიკა მეგობრებთან იყვნენ სტუმრად და დავალება––––––––––––––––––––––––––––– დარჩათ.
6. შეფასების სქემაში მოცემულია არა მხოლოდ კრიტერიუმები, არამედ მიღწევის ––––––––––––––––––––––––––– დონეებიც.

2.8. ყურადღებით წაიკითხეთ შეფასების სქემის ერთ–ერთი ნიმუში. ამოიწერეთ უცხო სიტყვები და ლექსიკონის დახმარებით განმარტეთ ისინი:

კრიტერიუმები	1–2 ქულა	3–4 ქულა	5–6 ქულა	7–8 ქულა	9–10 ქულა
ლაპარაკი	**ვერ** სვამს სწორად მახვილს, ყველა ბგერას ვერ ამბობს.	**უჭირს მახვილის** სწორად დასმა. ბგერა არ არის სუფთა.	**ცდილობს** მახვილები დასვას სწორად და ბგერები იყოს სუფთა.	**ხშირად** სწორად სვამს მახვილს, ბგერები სუფთაა.	**ყოველთვის** სწორად სვამს მახვილს, ბგერები სუფთაა.
არგუმენტირებული მსჯელობა	**ვერ** მსჯელობს, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	**ვერ მსჯელობს** თავისუფლად და ვერ მოჰყავს არგუმენტები.	**ცდილობს** იმსჯელოს თავისუფლად და მოიყვანოს არგუმენტები.	**ხშირად** მსჯელობს თავისუფლად და მოჰყავს არგუმენტები.	**ყოველთვის** მსჯელობს თავისუფლად და მოჰყავს არგუმენტები.

2.9. დაიყავით წყვილებად. იმსჯელეთ, რამდენად სრულია მოცემული კრიტერიუმები და შეადგინეთ შეფასების სქემები. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ მონაცემების შეცვლა:

მეტყველების შეფასების სქემა

1. ლოგიკურად აზროვნებს.
2. მსჯელობს პრობლემაზე.
3. კითხვაზე სწორად პასუხობს.
4. მოსაზრებებზე აქვს არგუმენტები.
5. სრულფასოვნად საუბრობს.

დისკუსიის შეფასების სქემა

1. აქვს ცოდნა და საუბრობს საკითხის გარშემო.
2. აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას და მსჯელობს არგუმენტირებულად.
3. უსმენს და პატივს სცემს სხვის მოსაზრებას.
4. სვამს შეკითხვებს და პასუხობს სხვის მიერ დასმულ შეკითხვებს.
5. იცავს დისკუსიის წესებს.

III ნაწილი მასწავლებლის შეფასება

- ურთიერთშეფასება რამდენად უწყობს ხელს მასწავლებლის პროფესიულ ზრდას?
- თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია მასწავლებლის თვითშეფასება?
- როგორ ფიქრობთ, მასწავლებლის შეფასებაში უნდა იყვნენ თუ არა ჩართული მშობლები ან მოსწავლეები? რატომ?

ახალი სიტყვები	
ვინ/რა? მენტორი სტატუსი ქაღალდი საქაღალდე სერტიფიკატი კრედიტქულა ურთიერთდაკვირვება	**როგორი?** წამყვანი სამოქმედო ჩატარებული დატვირთული დამადასტურებელი
ზმნები: ანიჭებს ააქტიურებს ავალდებულებს წარადგენს ტვირთავს დასტურდება	**ფრაზები:** კარიერული წინსვლა პედაგოგიური საბჭო სამუშაო შეხვედრები „კრიტიკული მეგობრი” დამატებითი აქტივობები პროფესიული განვითარება პროფესიული განვითარება სავალდებულო აქტივობები სკოლის შეფასების ჯგუფი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ელექტრონული საქაღალდე eSchool – ი

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
მინიჭება	ანიჭებს	ანიჭებდა	მიანიჭა	მიანიჭებს	მიანიჭოს	მიუნიჭებია
დავალდებულება	ავალდებულებს	ავალდებულებდა	დაავალდებულა	დაავალდებულებს	დაავალდებულოს	დაუვალდებულებია
წარდგენა	წარადგენს	წარადგენდა	წარადგინა	წარადგენს	წარადგინოს	წარუდგენია
ატვირთვა	ტვირთავს	ტვირთავდა	ატვირთა	ატვირთავს	ატვირთოს	აუტვირთავს
დადასტურება	დასტურდება	დასტურდებოდა	დასტურდება	დადასტურდება	დადასტურდეს	დადასტურებულა

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი აკეთებს თვითშეფასებას და გეგმავს პროფესიულ საქმიანობას, რაც აისახება პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ **სამოქმედო** გეგმაში. მასწავლებლის საქმიანობა ფასდება შეფასების სქემებით. მასწავლებელს აფასებს სკოლის შეფასების ჯგუფი და **ანიჭებს** შესაბამის **კრედიტქულებს**. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელი აკეთებს პრეზენტაციას შესრულებული საქმიანობის შესახებ. შეფასების ჯგუფის წევრების წინაშე **წარადგენს** საკუთარ პორტფოლიოს. პორტფოლიოში ბევრი **ქაღალდი**, დოკუმენტია. **ჩატარებული** და შეფასებული აქტივობების **დამადასტურებელ** დოკუმენტებს **ატვირთავს** ელექტრონულ **საქაღალდეში** – eSchool. მასწავლებელი თუ დააგროვებს შესაბამის კრედიტქულებს და ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მიხედვით შესრულებული საქმიანობა დადებითად შეფასდება, მაშინ მას ენიჭება შესაბამისი **სტატუსი** (უფროსი, **წამყვანი, მენტორი**). ეს **დასტურდება სერტიფიკატით.**

მასწავლებელს **კრედიტქულების** დაგროვება შეუძლია მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით. ეს აქტივობები შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, ისე – დამატებითი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლას ჰყავს ფასილიტატორი, რომელსაც ირჩევს სკოლის **პედაგოგიური საბჭო.** ფასილიტატორის ძირითადი **მოვალეობაა** მასწავლებელთა დახმარება, რათა მათ დამოუკიდებლადაც შეძლონ საკუთარი საქმიანობის მართვა და გაუმჯობესება. ფასილიტატორს **დატვირთული** გრაფიკი აქვს: ხშირად მართავს **სამუშაო შეხვედრებს**, უზრუნველყოფს **ურთიერთდაკვირვებას** (მაგ.: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, კოლეგის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დასწრება გამოცდილების გაზიარების ან განმავითარებელი შეფასების მიზნით) და ა. შ. ამის საფუძველზე სკოლებში ინერგება **„კრიტიკული მეგობრის"** ინსტიტუტი; ეს ააქტიურებს თითოეულ მასწავლებელს და **ავალდებულებს** მათ, შეაფასონ ერთმანეთი, მისცენ რეკომენდაციები და გაუზიარონ გამოცდილება.

თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა საბოლოოდ სკოლის განვითარებას უწყობს ხელს.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ აკეთებს მასწავლებელი თვითშეფასებას სასწავლო წლის დასაწყისში?
2. ვინ და როგორ აფასებს მასწავლებელს?
3. რისთვისაა საჭირო ელექტრონული საქაღალდე – eSchool ?
4. როგორ შეუძლია მასწავლებელს კრედიტქულების დაგროვება?
5. ვინ არის ფასილიტატორი და რა შედის მის მოვალეობაში?

დაიმახსოვრეთ!

eSchool – სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დააკვირდით!



3.2. ა) დააკავშირეთ ანტონიმური წყვილები:

ნიმუში:



ბ) წყვილების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები და გამოიყენეთ თანდებულები – მაგივრად/ნაცვლად:

ნიმუში: მასწავლებლის მხრიდან სწორად შერჩეული მიდგომის შედეგად ბავშვმა **არასასურველის ნაცვლად სასურველი** ქცევის გამოვლენა დაიწყო.

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

3.3. დააკვირდით წარმოდგენილ სქემას. დაიყავით წყვილებად და იმსჯელეთ, რომელი აქტივობა უკეთესია კრედიტქულის მისაღებად? მოცემულ აქტივობათაგან რომელს არ მიანიჭებდით ქულას?



3.4. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. ჩასვით გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვები საჭირო ფორმით. გაითვალისწინეთ: ორი სიტყვა ზედმეტია:

სტანდარტი შესრულებული დადასტურებული განვითარება პროფესიული კარიერული კომპეტენცია რეგულაცია სერტიფიკატი წამყვანი დანერგვა

მასწავლებლის პროფესიული ---------- და შეფასების ახალი სისტემის ---------- შესაძლებელი გახადა მასწავლებლის ---------- ზრდა. განსაზღვრულია მასწავლებლის ---------- , თუ რა ცოდნა და ---------- უნარები უნდა გააჩნდეს მას. მასწავლებლის კომპეტენციები მოცემულია სასწავლო პროცესის ---------- ძირითად დოკუმენტში – მასწავლებლის პროფესიულ ---------- . მასწავლებლის ცოდნა და უნარები ---------- უნდა იყოს შესაბამისი ----------.

ჩატარებული – შედეგი

ნინოს მიერ **ჩატარებული** ყველა გაკვეთილი დადებითად შეფასდა.

3.5. მოისმინეთ დიალოგები და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ა. დიალოგი

1.ბ. უპასუხეთ კითხვებს:

- რა კეთდება სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით?

- რა ფუნქციას ასრულებს „კრიტიკული მეგობარი“?
- რის მიხედვით ამბობს ბატონი დავითი, რომ გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი?

2.ა. დიალოგი

2.ბ. უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი აქტივობები ეხმარება გიორგის პროფესიულ განვითარებაში?
- რა სახის გამოცდები ჩააბარა გიორგიმ?
- კარიერული ზრდის შემთხვევაში, რას გეგმავს გიორგი 1 წლის შემდეგ?

3.6. ჩასვით წინადადებებში საჭირო ზმნები სათანადო ფორმით. გაითვალისწინეთ, რომ ერთი ზმნა ზედმეტია:

აადვილებს	დასტურდება	ააქტიურებს	ტვირთავს	ანიჭებს	ავალდებულებს
			წარადგენს		

ნიმუში: ინტერაქტიულ სწავლებას და შესაბამის სასწავლო გარემოს –**გაუადვილებია**–– მოსწავლეებში სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება.

1. დისკუსიის დროს მასწავლებელს ———————————————— ის მოსწავლეებიც, რომლებიც პასიურები იყვნენ.
2. ლიკას უკვე ———————————————— ელექტრონულ საქაღალდეში თავისი პორტფოლიოს მასალა.
3. გიორგი უკვე უფროსი მასწავლებელია, რაც ———————————————— შესაბამისი სერტიფიკატით.
4. თუ მასწავლებლის მიერ ჩატარებულ ყველა აქტივობას დადებითად აფასებენ, მას უფრო მაღალ სტატუსს ———————————————— .
5. უკვე სასწავლო წლის ბოლოა და მარიამს ჯერ არ ———————————————— თავისი პორტფოლიო კოლეგებისთვის.

3.7. ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ახალი სიტყვები და ჩასვით შესაბამის წინადადებებში (გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე სიტყვა ზედმეტია):

	–იან
სახელოსნო	**სახელოსნო–იან–ი**
წესრიგი	
ეტაპი	
კრიტერიუმი	
ინდიკატორი	
კომპონენტი	
ფაზა	
კრედიტქულა	
სტატუსი	
სერტიფიკატი	

1. სწავლა რთული და რამდენიმე _____ პროცესია.
2. მხოლოდ _____ მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს „უფროსი მასწავლებლის“ სტატუსი.
3. 3. რამდენიმე _____ შერეული ტესტი ყველა მოსწავლემ კარგად დაწერა.
4. სკოლაში წელს დავიწყე მუშაობა, ამიტომ ჯერ მენტორის _____ მასწავლებელი ვერ ვიქნები.
5. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი სამ_____.

3.8. დაიყავით წყვილებად და შეავსეთ ცხრილი:

სავალდებულო აქტივობები	დამატებითი აქტივობები

3.9. დააკვირდით სქემას. დააკავშირეთ წარწერები სურათებთან. იმსჯელეთ, როგორ გესმით თითოეული დებულების შინაარსი:

მე მასწავლებელი ვარ

ვარ სამართლიანი	ინტერესით ვხვდები სიახლეებს
ვზრუნავ პროფესიულ განვითარებაზე	მიყვარს ბავშვები და ვზრუნავ მათზე
ვარ თვითკრიტიკული	ვარ შემოქმედებითი

_____ _____

შემაჯამებელი II

1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ–ერთი ძირითადი მოთხოვნაა, მასწავლებელმა იცოდეს „სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად.“ სასწავლო პროცესის მთავარი ნაწილია გაკვეთილი. ის რამდენიმე ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

თემა და მიზანი – მას შემდეგ, რაც მასწავლებელი შეარჩევს გაკვეთილის თემას, იგი აყალიბებს გაკვეთილის მიზანს. მიზანი დაკავშირებული უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან და მოსწავლეთა ინტერესებთან. სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებისას მასწავლებელი იყენებს შემდეგ ლექსიკურ ფორმებს:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები →	• გაიგებენ • ახსნიან • აღწერენ • შეადარებენ • შექმნიან • გააანალიზებენ • პრობლემას გადაჭრიან • შეაფასებენ და ა.შ.

სასწავლო აქტივობები და მეთოდები – ხშირად მასწავლებლებს უჭირთ აქტივობისა და მეთოდის ერთმანეთისაგან განსხვავება. აქტივობა პასუხობს კითხვაზე – რას ვაკეთებ? ხოლო მეთოდი კითხვაზე – როგორ ვაკეთებ?

სასწავლო რესურსების (სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, თვალსაჩინოება, ინოვაციური საშუალებები, ინტერნეტგვერდები და სხვ.) სწორად შერჩევა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.

თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო – პედაგოგმა გაკვეთილის ფაზებსა და სასწავლო აქტივობებზე დრო სწორად უნდა გაანაწილოს.

კლასის ორგანიზების ფორმები – აუცილებელია, რომ კლასის ორგანიზების ფორმები შეესაბამებოდეს სასწავლო აქტივობებსა და მეთოდებს.

თითოეული აქტივობისა და გაკვეთილის ბოლოს მიღწეული შედეგები – მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომელი აქტივობებით ან მეთოდებით გადის შედეგზე.

შეფასება – გაკვეთილის გეგმაში უნდა ჩანდეს, როგორ შეამოწმებს მასწავლებელი სასწავლო შედეგებს (შეფასების ტიპები და მეთოდები).

თვითშეფასება – როდესაც ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას გააკეთებს, მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს, რა საშუალებით, რისი დახმარებით გავიდა შედეგზე, რამ შეუშალა ხელი და რისი გაუმჯობესებაა სასურველი.

ასეთი შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი ეხმარება პედაგოგს, ჩამოყალიბდეს მაღალი დონის სპეციალისტად.

ბ) შეარჩიეთ სათაური, თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:

1. შეფასება – სასწავლო პროცესის უმთავრესი კომპონენტი

2. ბიჰევიორისტული სასწავლო პროცესის მახასიათებლები
3. კლასის მართვის სტრატეგიები და შედეგები
4. როგორ დავგეგმოთ გაკვეთილი ეფექტურად
5. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის ხელშემწყობი გარემო

გ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა არის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ–ერთი ძირითადი მოთხოვნა?
2. რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილის მიზნების განსაზღვრისას?
3. რა განსხვავებაა მეთოდსა და აქტივობას შორის?
4. რატომ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმაში ჩაწეროს შეფასების ტიპები და მეთოდები?
5. როდის აკეთებს მასწავლებელი თვითშეფასებას და რა მიზნით?

დ) ცხრილში მონიშნეთ სწორი, არასწორი და ისეთი ინფორმაცია, რომელიც ტექსტში არ არის:

№		+	–	√
1	კონსტრუქტივისტული გაკვეთილი მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული.			√
2	სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.			
3	გაკვეთილის გეგმაში არ უნდა ჩანდეს, როგორ შეამოწმებს მასწავლებელი სასწავლო შედეგებს.			
4	გაკვეთილის ყველა ეტაპი გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს გაკვეთილის გეგმაში შესაბამისი აქტივობებისა და მეთოდების სახით.			
5	სასწავლო პროცესისადმი შემოქმედებითი მიდგომა აყალიბებს პედაგოგს მაღალი დონის სპეციალისტად.			
6	დაგეგმილი სასწავლო აქტივობებისთვის დრო თუ არ იქნება საკმარისი, არა უშავს.			

ე) მოიფიქრეთ და მოკლედ დაწერეთ გაკვეთილის გეგმის შედგენასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ:

_____
_____
_____
_____
_____
_____

2. მოისმინეთ დიალოგები და დაასრულეთ წინადადებები:

ა)

- ლუკა, შენი მოსწავლეების ცოდნას როგორ აფასებ?
- ---------- ---------- დახმარებით.
- სქემით მხოლოდ ცოდნას ----------?
- რატომ მხოლოდ ცოდნას? შეფასების სქემა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ---------- ---------- მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები და ---------- ---------- ----------.
- მართლა? მასწავლე, როგორ შევიმუშავო შეფასების სქემა.
- სიამოვნებით: ---------- განსაზღვრე გაკვეთილის სასწავლო მიზანი. შემდეგ მიზნიდან ---------- ჩამოაყალიბე შეფასების კრიტერიუმები და ამის მიხედვით ---------- შეფასების სქემა.
- რა შემიძლია შევაფასო კრიტერიუმებით?
- ყველაფერი: საკითხის ცოდნა, ---------- უნარი, დავალების შესრულების ხარისხი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ---------- მსჯელობა, დასკვნების გაკეთება, ---------- გამოთქმა და ა.შ.
- დიდი მადლობა, ლუკა.
- არაფრის! წარმატებებს გისურვებ.

ბ)

- კახა, თქვენს სკოლაში მასწავლებლები ბავშვებს ---------- აფასებენ?
- დიახ, დეიდა ელენე, ყოველთვის.
- რატომ ფიქრობ ასე?
- იმიტომ, რომ ---------- ვიცი, რა კრიტერიუმებით შემაფასებს მასწავლებელი გაკვეთილზე. შეფასების სქემებს ---------- ----------.
- მართლა? და რომელი ---------- ფასდება?
- საშინაო, საკლასო და ---------- დავალებები.
- დღეს მიიღე შეფასება?
- დიახ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დღეს ახალი მოთხრობა ვისწავლეთ, პერსონაჟებზე ---------- და მასწავლებელმა ---------- მეთოდი გამოიყენა.
- მხოლოდ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი ----------?
- არა, მასწავლებელი ---------- როგორც ცოდნას, ისე – უნარებს.

3. შეავსეთ წინადადებები. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და ფრაზები საჭირო ფორმით:

ნიმუში:

გადატანა	ინტეგრირება	როლური თამაშები	ვიზუალურად	**მოსაზრება**	ზღუდავს სივრცე
განსხვავებული	თავისუფლად	მაქსიმალური ჩართულობა	**თანაკლასელები**	ვენის დიაგრამები	

- დისკუსიის დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოთქვან თავიანთი **მოსაზრება** და მოუსმინონ **თანაკლასელებს**.

- გონებრივი იერიშის დროს მოსწავლეები ---------- გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მათ არავინ ----------.

- ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეთა გააქტიურება და ---------- ---------- ---------- მიღწევა.

- მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან შეძლოს მიღებული ცოდნისა და გამოცდილება ---------- და გამოყენება (= ტრანსფერი) ნაწილობრივ ან მთლიანად ---------- სიტუაციაში.

- სასწავლო პროცესში აუცილებელია საგნების ---------- .

- ---------- ---------- გამოყენება ახალისებს სასწავლო პროცესს და უფრო საინტერესოს ხდის მას მოსწავლისთვის.

- კოგნიტური, ანუ ---------- ---------- მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ---------- ---------- აღქმაში.

4. წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; ისაუბრეთ სიტუაციებზე, გააააქტიურეთ თითოეული სიტყვა; შექმენით მოკლე ტექსტები და დაასათაურეთ:

ა) _____ ინტერნეტრესურსი, ვიზუალური აღქმა, წარდგენა, მკვიდრდება, ინოვაციური, სლაიდშოუ, მაქსიმალურად, წარმატებით, შერჩევა, მოძიება, ორგანიზება, ფლობს, შესასწავლი, სააზროვნო უნარები, სიღრმისეული, განამტკიცებს, აღმოაჩენს, დემონსტრირება.	ბ) _____ ტრანსფერი, ანალოგიური, თანდაყოლილი, ნაწილობრივ, გადატანა, ხასიათდება, ეჩვევა, დაგროვებული, ინტეგრირებული გაკვეთილი, მონათესავე საგნები, გამოწვევა, ნაბიჯ-ნაბიჯ, აწოდებს, დამახსოვრება.
გ)_____ ბიჰევიორიზმი, ქცევათმეცნიერება, ისწავლება, სპეციფიკა, სასურველი, არასასურველი, გრძელვადიანი პერსპექტივა, ზიანის მიყენება, ემპათია, შედეგიანი, ამჟღავნებს, რეაქცია, განამტკიცებს, ქმედება, გამოცდილი, რესურსი, მრავალფეროვანი, აადვილებს.	დ) _____ პორტფოლიო, სამართლიანობა, შეფასების სახეები, ხარისხი, შედეგი, ელექტრონული საქაღალდე, პროფესიული განვითარება, სერტიფიკატი, კრედიტქულა, მენტორი, სტატუსი, კრიტიკული მეგობარი, ჩატარებული, დამადასტურებელი, წარდგენს.

5. წაიკითხეთ წინადადებები. სათანადო ადგილას ჩასვით თანდებულები:

გვერდით	წინაშე	ქვეშ	გარშემო	ირგვლივ

ნიმუში: სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლე კლასის ____**წინაშე**____ წარადგენს პორტფოლიოს პრეზენტაციას.

1. მასწავლებელი რისკის ---------- ვერ დააყენებს მოსწავლის ინტერესებს.
2. დისკუსია ახალი თემის ---------- ყოველთვის საინტერესოა.
3. როცა მასწავლებელი ააქტიურებს წინარე ცოდნას, მოსწავლეები იხსენებენ ყველაფერს, რაც იციან საკითხის ---------- .
4. სწავლება-სწავლის პროცესში მასწავლებლის ---------- ბევრი სერიოზული გამოწვევა დგას.
5. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მშობლის გარდა, მის _____ ყოველთვის იქნება მასწავლებელი.

6. ა) შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

ააქტიურებს	გა-სა-აქტიურებელი
ანიჭებს	
აძნელებს	
დასტურდება	
აადვილებს	
ავარჯიშებს	

ბ) ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:
ნიმუში: მასწავლებელს არასოდეს უნდა დარჩეს წინარე ცოდნა **გასააქტიურებელი.**

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

7. დაალაგეთ ტექსტი ლოგიკური თანმიმდევრობით:

_____თუ ასეთი ონლაინინსტრუმენტების გამოყენება თქვენთვის რთულია, ის კოლეგები დაგეხმარებიან რჩევებით, რომლებიც უფრო აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში.

_____საგანმანათლებლო რესურსების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინტერნეტის დამკვიდრებასა და ტექნოლოგიების ათვისებასთან ერთად შექმნეს უამრავი სასარგებლო რესურსი. მათი გამოყენება ყველა დაინტერესებულ მასწავლებელს შეუძლია. ინტერნეტინსტრუმენტებია, მაგალითად: buki.ge; Learningapps.org; calameo.com; saba.com.ge; youtube.com; kodala.ge; Wikipedia; google.com და ა.შ.

_____ზოგიერთი ასეთი ინსტრუმენტი სულ უფრო ფართოდ ინერგება და არის მასწავლებლის სახლის ისტ ტრენინგების პროგრამაშიც.

_____ტექნოლოგიები და ინტერნეტი სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება. ქმნიან ახალ

შესაძლებლობებს, რომ მოიპოვოთ რესურსები სწავლებისათვის, უზრუნველყოთ გაკვეთილები ინტერაქტიული პროგრამებით, გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება სხვებს, სწავლა და სწავლება იყოს სახალისო.

_____საგანმანათლებლო მიზნებით ასეთი ინსტრუმენტების გამოყენებისათვის უნდა დარეგისტრირდეთ შესაბამის ვებგვერდებზე ისე, როგორც ახალი ელფოსტის (mail.ru; gmail.com; yahoo.com და ა.შ.) ან ფეისბუქის (facebook.com) გვერდის შექმნისას.

8. ა) მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები და ახსენით სიტყვის მნიშვნელობა:
ნიმუში: გასაგები – თვალსაჩინო – გაუგებარი

სინონიმი =	**სიტყვა**	**ანტონიმი ≠**
გასაგები	თვალსაჩინო	გაუგებარი
	შესრულებული	
	გრძელვადიანი	
	სიტყვიერად	
	ერთობლივი	
	ობიექტური	

ბ) მეწყვილესთან ერთად შეადგინეთ წინადადებები ისე, რომ თითოეულში გამოიყენოთ სიტყვა + სინონიმი ან სიტყვა + ანტონიმი:
ნიმუში: ამ სქემაზე ყველაფერი **თვალსაჩინო** და **გასაგებია**.

1. _____
_____
2. _____
_____
3. _____
_____
4. _____
_____
5. _____
_____

9. ჩასვით ჩარჩოში მოცემული ზმნები შესაბამისი ფორმით საჭირო ადგილას. გაითვალისწინეთ, რომ ერთი ზმნა ზედმეტია:
ნიმუში: დამწყები მასწავლებელი მენტორის დახმარებით ----**ჩამოყალიბებულა**---- მაღალი დონის სპეციალისტად.

ყალიბდება დასტურდება	ააადვილებს	ავარჯიშებს	ფასდება	მიიჩნევა

1. მოსწავლეებს ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია ----------, გაუანალიზებიათ და ეფექტურად გამოუყენებიათ დასახული მიზნების მისაღწევად.
2. მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი ----------პორტფოლიოს წარდგენის დროს.

3. ლიკა, მოდი, ჯერ ———————————————— მოსწავლეები და შემდეგ უკუკავშირი მივცეთ.
4. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ იქნებ ———————————————— ცოდნის შეძენა და ტრანსფერის უნარის განვითარება.

10. მეწყვილესთან ერთად შეავსეთ გაკვეთილის გეგმა. იმსჯელეთ, რატომ შეარჩიეთ მიზნის მისაღწევად ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც სქემაში ჩაწერეთ:

დისციპლინა:
სწავლების საფეხური:
მოსწავლეთა რაოდენობა:
თემა:
მიზანი:

№	აქტივობა	მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო	თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:
შეფასების ტიპები და მეთოდები:
თვითშეფასება:

———————————————

ტესტი II

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

რა არის მასწავლებლის პორტფოლიო? ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მასწავლებელთა პროფესიული მომზადება და განვითარება. სწორედ პორტფოლიოს წარმოება, ანალიზი და შეფასება ეხმარება მასწავლებელს პროფესიული კომპეტენციის განვითარებაში. პორტფოლიო არის მასწავლებლის უწყვეტი განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პორტფოლიო არის იმ თვალსაჩინო მასალის ნაკრები, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ იზრდება პედაგოგის საქმიანობის ხარისხი (პედაგოგიური მიდგომა, სწავლების სტილი და პროფესიული კომპეტენცია, ანუ ცოდნა და უნარები). პორტფოლიო ინდივიდუალური დოკუმენტია, რომელშიც დაფიქსირებულია როგორც მუშაობის პროცესი, ასევე – შედეგი. იგი ნათლად აჩვენებს მასწავლებლის წინსვლასა და მიღწევებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. გამოყოფენ პორტფოლიოზე მუშაობის რამდენიმე ძირითად საფეხურს:

- პორტფოლიოს თემისა და მიზნის განსაზღვრა
- მასალის დაგროვება
- დაგროვებული მასალის ანალიზი და შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით
- პორტფოლიოს წარდგენა/პრეზენტაცია

რისთვის გვჭირდება მასწავლებლის პორტფოლიო? პორტფოლიო პედაგოგიური რეფლექსიის ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი აანალიზებს საკუთარ მიღწევებს პროფესიული ზრდის გზაზე; პორტფოლიო მასწავლებლის „სავიზიტო ბარათია" პორტფოლიოს დახმარებით, დაინტერესებული მკითხველი სრულფასოვან ინფორმაციას მიიღებს მასწავლებლის საქმიანობის ხარისხისა და პროფესიული განვითარების შესახებ. როგორც წესი, პორტფოლიოს ამოწმებენ მასწავლებლის დასაქმების, წახალისების ან სტატუსის მინიჭების დროს. პორტფოლიო მასწავლებლის საქმიანობის ობიექტური შეფასების ინსტრუმენტიცაა.

ა) შეარჩიეთ სათაური; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ: **(2.0 ქულა)**

1. როგორ შევქმნათ პორტფოლიო
2. მასწავლებლის პორტფოლიო
3. რა არის საჭირო შეფასებისა და თვითშეფასებისთვის
4. მასწავლებლის სტანდარტის ახალი მოთხოვნები

ბ) ცხრილში აღნიშნეთ სწორი, არასწორი და ისეთი ინფორმაცია, რომელიც ტექსტში არ არის: **(2.0 ქულა)**

		+	–	√
1.	პორტფოლიო მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტების ნაკრებია.	+		
2.	პორტფოლიო არ არის მასწავლებლის მიღწევების ობიექტურად შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი.			
3.	პორტფოლიოს ამოწმებენ მასწავლებლის დასაქმების ან წახალისების დროს.			
4.	პორტფოლიოს ფუნქცია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებაა.			
5.	მასწავლებლის პორტფოლიოში დაფიქსირებულია როგორც მუშაობის პროცესი, ასევე – შედეგი.			

გ) უპასუხეთ კითხვებს: **(6.0 ქულა)**

1. რა არის პორტფოლიო?

_____

_____

2. პორტფოლიოზე მუშაობის რომელ ძირითად საფეხურებს გამოყოფენ?

_____

_____

3. როგორ გესმით გამოთქმა: „პორტფოლიო პედაგოგიური რეფლექსიის ინსტრუმენტია“?

_____

_____

4. რაში ეხმარება დაინტერესებულ მკითხველს პედაგოგის პორტფოლიო?

_____

_____

5. რა მიზნით ამოწმებენ პედაგოგის პორტფოლიოს?

_____

_____

6. რაში ეხმარება პორტფოლიოს წარმოება და ანალიზი პედაგოგს?

_____

_____

2. შეავსეთ ტექსტი: **(10.0 ქულა)**

კარიერული კრედიტქულა ენიჭება ინერგება ურთიერთდაკვირვება თვითშეფასება გამოცდილება ინდივიდუალური რეკომენდაცია დადებითი

მასწავლებელი ყოველ წელს აკეთებს ———————————————— და გეგმავს პროფესიულ საქმიანობას. მასწავლებლის საქმიანობას აფასებს სკოლის შეფასების ჯგუფი და ანიჭებს მას შესაბამის ———————————————— . თუ მასწავლებლის მიერ ———————————————— სამოქმედო გეგმით შესრულებული საქმიანობები ———————————————— შეფასდება და მასწავლებელი დააგროვებს საკმარისი რაოდენობის კრედიტქულებს, მას ———————————————— შესაბამისი სტატუსი (უფროსი, წამყვანი, მენტორი). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლას ჰყავს ფასილიტატორი. ფასილიტატორი ხშირად ატარებს სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს ————————————————. ურთიერთდაკვირვებისას მასწავლებლები აფასებენ ერთმანეთს, აძლევენ ————————————————, უზიარებენ ————————————————. სკოლებში ———————————————— „კრიტიკული მეგობრის” ინსტიტუტი. თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ———————————————— წინსვლა ხელს უწყობს სკოლის განვითარებას.

3.შეარჩიეთ სინონიმები და შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვები. გაითვალისწინეთ, რომ ერთი სიტყვა ზედმეტია: (2.0 ქულა)

საფეხური	აღმოჩენა სტრუქტურირება	კომპონენტი პრეზენტირება	შემეცნება

ნიმუში: სასურველია, ყველა მოსწავლემ უნდა დაამთავროს ზოგადი განათლების სამივე დონე ____ **საფეხური**____ .

1. კოგნიცია ---------- ცოდნის შეძენისა და დაგროვების რთული პროცესია.
2. გაკვეთილის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო ელემენტს ---------- ----------.
3. ბავშვს უნდა ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება იდეების დახარისხება ---------- ---------- და დაკავშირება.
4. ახალი იდეების პოვნა ---------- ახალისებს მოსწავლეს და დადებითად განაწყობს სწავლის პროცესის მიმართ.

4. ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ფორმები: (4.0 ქულა)

ჩატარება	ჩატარებული	ჩასატარებელი	ჩაუტარებელი
მოგვარება			
გამჟღავნება			
დამკვიდრება			
დაფასება			
დახასიათება			
დაფუძნება			
მინიჭება			
შეფასება			

5. ჩასვით წინადადებაში ზმნა სათანადო ფორმით: (5.0 ქულა)

ნიმუში: სამინისტროში მასწავლებლის ახალი სტანდარტი (დამტკიცება) **დამტკიცებულა**.

1. ლიკას სკოლაში უკვე ---------- (დამკვიდრება) „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.
2. დირექტორს კრებაზე ---------- (დადასტურება), რომ სექტემბერში ნამდვილად იგეგმება დიდი სასკოლო ღონისძიება.
3. ჩვენი სკოლა ---------- (დახასიათება), როგორც რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა.
4. ქალბატონი ლილის გაკვეთილზე წესრიგი არასდროს ----------(დარღვევა).
5. ლიკას ჯერ არ ---------- (წარდგენა) თავისი პორტფოლიო შეფასების ჯგუფის წევრების წინაშე.

6. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს: **(5.0 ქულა)**

დევიდ პერკინსმა სწავლების რამდენიმე კომპონენტი **გამოყო**. ერთ-ერთი მათგანია – „**სწავლება ტრანსფერისთვის** (1), ანუ გადატანისთვის“. მრავალი კვლევა, **ადასტურებს** (2), რომ მოსწავლეებს უჭირთ ერთ კონტექსტში მიწოდებული პრინციპებისა და ნასწავლი ფაქტების სხვა სიტუაციაში გამოყენება. მაგ.: იმას, რაც აითვისეს მათემატიკაში, **ვერ იყენებენ** (3) საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა დისციპლინაში გამოყენება, მათ **უნდა ისწავლონ კავშირების აგება** (4) — „დაკავშირება”. ეს კი **გაგების** (5) აუცილებელი წინაპირობაა.

ნიმუში: რა გააკეთა დევიდ პერკინსმა?

(1) _____

_____

(2) _____

_____

(3) _____

_____

(4) _____

_____

(5) _____

_____

7. გახაზეთ სწორი ფორმა: **(4.0 ქულა)**

ნიმუში: ფიზიკის მასწავლებელმა ახალი მოსწავლისათვის <u>ინდივიდუალური</u> / **ინდივიდუალურად** გეგმა შეადგინა.

1. თუ რამე დარჩა **გაუგებარი / გაუგებრად**, გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აუცილებლად ხსნის კიდევ ერთხელ.
2. კატო და მისი მეგობრები თვლიან, რომ სწავლების პროცესი **რთული / რთულად** მიდის, თუ არ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.
3. კვლევები ადასტურებს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება **განსაკუთრებული / განსაკუთრებულად** ეფექტურია.
4. თუ გიგი საღამოს **თავისუფალი / თავისუფლად** იქნება, ლალის პრეზენტაციის მომზადებაში დაეხმარება.

8. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფრაზების გამოყენებით: **(5.0 ქულა)**

1. როლური თამაშები

_____

_____

2. მონათესავე საგნები

_____

_____

3. ციფრული კულტურა

4. ზიანი არ მივაყენოთ

5. დამატებითი აქტივობები

9. გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები და გადაწერეთ სწორად: (5.0 ქულა)

1. მასწავლებელი ყოველთვის უნდა იცოდეს, რომელი აქტივობით გადის შედეგზე.

2. მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა შეფასების სქემა, რასაც ძალიან გაუადვილებია ბავშვების შეფასება.

3. მოსწავლე, რომელიც წარმატებით დაძლევს სასწავლო გეგმა, მაღალი ქულით შეფასდება.

4. ქცევის გამეორება უმჯობესია დაკვირვების თანავე.

5. მასწავლებელი არა მხოლოდ ერთგვარი ნიმუშია მოსწავლეებისთვის, იმიტომ მას დიდი წვლილი მიუძღვის მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

10. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას: (5.0 ქულა)

ნიმუში: ტრანსფერი გადატანა **<u>ინტეგრაცია</u>**

1.	ეყრდნობა	ფასდება	ეფუძნება
2.	დამკვიდრება	პრეზენტირება	წარდგენა
3.	მომზადება	გავარჯიშება	მცდელობა
4.	ნაკრები	პორტფოლიო	საქაღალდე
5.	შედეგიანი	ორიგინალური	ეფექტური

11. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები: (10.0 ქულა)

- ელენე, რა არის მოსწავლის პორტფოლიო?
- პორტფოლიო ———————————————————— შეფასების ერთ-ერთი მეთოდია.
- რისთვის სჭირდება მასწავლებელს მოსწავლის პორტფოლიო?

- ასე უკეთესად ხედავს მოსწავლის ---------- : მის განვითარებასა და ---------- დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
- გასაგებია. ელენე,მოსწავლისთვისაც ---------- პორტფოლიო?
- რა თქმა უნდა! პორტფოლიოზე მუშაობა მოსწავლეს ---------- თვითშეფასების უნარს. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე წინასწარ ---------- მიზანს და გეგმავს აქტივობებს.
- რომელი აქტივობები შეიძლება ---------- მოსწავლემ?
- ---------- მუშაობა, ---------- პრეზენტაციების მომზადება, ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, დისკუსიებში მონაწილეობის მიღება და ა.შ.
- მასწავლებლის ---------- ვინ ნახავს მოსწავლის პორტფოლიოს?
- ყველა! წლის ბოლოს მოსწავლე კლასის ---------- წარადგენს პორტფოლიოს პრეზენტაციას.

12. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები: (5.0 ქულა)

ნიმუში: შეფასების სქემა აადვილებს **მიღწევის ხარისხის** დადგენას.

მიღწევის	წინსვლა
კარიერული	სისტემა
პროფესიული	მართვა
ჩათვლის	მიდგომა
ხარისხის	განვითარება
ნეობიჰევიორისტული	**ხარისხი**

1._____

2. _____

3._____

4. _____

5. _____

13. გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში: **(5.0 ქულა)**

ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი სასწავლო რესურსები მოსწავლეს **ეხმარება** სასწავლო მასალის ვიზუალურ აღქმაში და ხელს **უწყობს** ცოდნის ათვისების პროცესს. სასწავლო რესურსის შექმნაში ხშირად **ერთვებიან** ხოლმე მოსწავლეებიც. ინტერნეტში ყოველთვის ადვილად **იძებნება** თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ილუსტრაციები, ვიდეომასალა, რის მიხედვითაც მოსწავლეები დამოუკიდებლად **ამზადებენ** პრეზენტაციას.

14. უპასუხეთ განათლების ექსპერტის მიერ დასმულ კითხვებს: **(10.0 ქულა)**

განათლების ექსპერტი: რას ნიშნავს კლასის მართვა?

_____

_____

ექსპერტი: კლასის მართვის რომელ სტრატეგიებს დაასახელებდით?
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: როგორ შეიძლება მოსწავლეებში დისციპლინისა და თვითდისციპლინის გამომუშავება?
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: რით ეხმარება მასწავლებელს ქცევის წესების წინასწარ დადგენა?
მასწავლებელი: _____

_____

განათლების ექსპერტი: მიღებული წესების დარღვევის დროს რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სანქციების, ანუ პროცედურების დადგენისას?
მასწავლებელი: _____

_____

15. ა) დააკვირდით სურათებს და დაასათაურეთ: **(1.0 ქულა)**

ბ) დაწერეთ თემა (მოცულობა 100–120 სიტყვა): **(14.0 ქულა)**

მოსასმენი დიალოგები

I თავი – ეროვნული სასწავლო გეგმა

პირველი თავის პირველი გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

1.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- მოგესალმებით, ბატონო ოთარ. თქვენთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს.
- დიახ, გისმენთ.
- თქვენი აზრით, რა არის სკოლის მიზანი?
- სკოლამ უნდა აღზარდოს ბავშვი და პიროვნებად ჩამოაყალიბოს. ამასთან, უნდა მისცეს მაღალი ხარისხის ზოგადი განათლება.
- როგორ აღწევთ მიზანს?
- მიზანს რომ მივაღწიოთ, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები ერთად ვგეგმავთ სასწავლო პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით.
- მიზნის მიღწევას შესაბამისი გარემო სჭირდება? ეს რამდენად მნიშვნელოვანია?
- სწავლა–სწავლების პროცესი ეფექტური და სრულფასოვანი რომ იყოს, ძალიან მნიშვნელოვანია კარგად ორგანიზებული, ფიზიკურად კომფორტული და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ჩვენთან ყველა საკლასო ოთახი კეთილმოწყობილია. გვაქვს ბიბლიოთეკა, სახელოსნო, ახალი სპორტული დარბაზი და დიდი კლუბი, რომელშიც შეხვედრებს ვატარებთ.
- რომელ შეხვედრებს გულისხმობთ?
- ადმინისტრაციის დახმარებით მასწავლებლები ატარებენ კონფერენციებს, კონკურსებსა და სხვა დამატებით აქტივობებს.

ბ)

- ვინმე გეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში?
- როგორ არა! ბავშვის აღზრდისა და პიროვნებად ფორმირების პროცესში მონაწილეობენ არა მარტო სკოლის თანამშრომლები და მშობლები, არამედ საზოგადოებაც. ის დიდ ყურადღებას გვაქცევს. ჩვენ ერთმანეთს ვაძლიერებთ.
- განსხვავებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წევრებისთვის სწავლა და თანატოლებთან ურთიერთობა რთული ხომ არ არის?
- არა, რას ამბობთ! სკოლა უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესი ყველა მოსწავლისთვის საინტერესო, სახალისო და მრავალფეროვანი იყოს.
- ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია?
- ნამდვილად ასეა. თითოეულს საჭირო უნარ–ჩვევების შეძენის ერთნაირი შესაძლებლობა აქვს, მიუხედავად მათი რასის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც?
- რა თქმა უნდა!
- დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებას!

პირველი თავის მეორე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

2.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა.

- ოთარ, ცოტა ხნის წინ სკოლაში ვიმსჯელეთ ზგემ–ს, ანუ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ. ხომ იცნობ ამ დოკუმენტს?
- რა თქმა უნდა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები სამინისტრომ შეიმუშავა.
- რა მიზნით შექმნეს ეს დოკუმენტი?
- ზგემ–ი სკოლის დახმარების მიზნით! სამინისტროში განსაზღვრეს, თუ როგორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მოქალაქე. ახლა სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს ზუსტად ეცოდინებათ, როგორ უნდა იმუშავონ, რათა სწორად აღზარდონ ბავშვი.
- ანუ სამინისტრო თვლის, რომ სკოლაში ცოდნის შეძენა საკმარისი არ არის?
- სამწუხაროდ, არა. სკოლამ მოზარდს არა მხოლოდ ცოდნა უნდა მისცეს, არამედ უნდა განუვითაროს საჭირო უნარებიც. რაც მთავარია, სკოლამ ბავშვი პიროვნებად უნდა ჩამოაყალიბოს. ამიტომ ეხმარება სამინისტრო სკოლას და ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ბ.

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან რომელს თვლი პრიორიტეტულად?
- ჩემი აზრით, დოკუმენტში აღწერილი ყველა მახასიათებელი მნიშვნელოვანია. მაგალითად, ძალიან ვაფასებ ახალგაზრდის უნარს, იყოს შემოქმედი, თვითონ შექმნას ღირებულებები და მხოლოდ არსებულის ხარჯზე არ იცხოვროს. მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შექმნისთვის.
- სწავლისა და განვითარების პროცესი არასოდეს სრულდება!
- მართალია. ვინც ასე არ ფიქრობს, შეცდომას უშვებს. ადამიანმა მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად უნდა შეიძინოს ახალი ცოდნა; ესაა უწყვეტი განათლება. მხოლოდ ასეთი ადამიანი შეძლებს თვითრეალიზებას.
- დიახ, თუმცა მე განსაკუთრებულად მიმაჩნია დოკუმენტში აღწერილი პირველი მახასიათებელი: გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა და დაიცვას ქვეყნის ინტერესები, ტრადიციები და ღირებულებები.
- ო, ეს მართლაც ყველაზე საჭირო და აუცილებელია!

პირველი თავის მესამე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

3.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა.

- ნათია, ხომ იცი, რომ დღეს კათედრის სხდომას ვატარებთ?
- რა საკითხი უნდა განვიხილოთ?
- ესგ–ს ძირითად ორიენტირებზე უნდა ვიმსჯელოთ. ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, საგნის სწავლების დროს როგორ გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა. ეს მისი მთავარი მისიაა.
- რას გულისხმობ?
- მინდა ყურადღება მივაქციოთ მოსწავლის სწავლის სტილს. წაიკითხე ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია და სწავლის სტილი“ ?
- ჯერ არა. რას წარმოადგენს ეს ავტორი და მისი წიგნი?
- ძალიან საინტერესო და სასარგებლო წიგნია. ჰოვარდ გარდნერის აზრით, ადამიანებს

განსხვავებული და მრავალმხრივი ინტელექტი აქვთ. განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობები სწავლის განსხვავებულ სტილს მოითხოვს. ამრიგად, თუ ბავშვს მნიშვნელოვანი წარმატება არა აქვს სწავლაში, ის შეიძლება არ სწავლობდეს იმ მეთოდით, რომელსაც მისი სტილი „ითხოვს“.

ბ.

- ეს რას ნიშნავს?
- მაგალითად, სმენითი სტილის ადამიანები სწავლისას ხმამაღლა კითხულობენ. მათთვის ასე უფრო ადვილია სწავლა, ეს ამარტივებს სწავლის პროცესს. მათ უყვართ ჯგუფში მუშაობა, საუბარი, დიალოგები.
- გასაგებია.
- ვიზუალური (მხედველობითი) სტილის ადამიანები უკეთესად სწავლობენ იმას, რასაც ხედავენ. უყვართ სურათებითა და ცხრილებით სწავლა.
- მართალია. გაკვეთილზე ზოგი მხოლოდ ისმენს და აკვირდება, ზოგი კი ძალიან აქტიურია.
- ასეა. კინესთეტიკური, ანუ მოტორული სტილის ადამიანები სწავლობენ მოძრაობით. აქვთ სხეულის მართვისა და კონტროლის უნარი. ამ ტიპის ადამიანები ყველაზე კარგად სწავლობენ, როდესაც რაიმეს აკეთებენ.
- შენ თუ იყენებ გარდნერის თეორიას გაკვეთილებზე?
- რა თქმა უნდა! მე ყოველთვის გათვალისწინებული მაქვს ყველა ჩემი მოსწავლის სწავლის სტილი.
- რა კარგია, რომ შენს პროფესიულ გამოცდილებას ყველას უზიარებ. თანამედროვე მიდგომების არცოდნა მასწავლებელს ხელს უშლის და მიზნის მიღწევას ართულებს.

II თავი ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

მეორე თავის პირველი გაკვეთილის მე-5 სავარჯიშო

1.6. მოისმინეთ ტექსტები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

მე ვარ ნინო ვაშაძე. მათემატიკა ძალიან მიყვარს. ჩემი აზრით, მათემატიკის სწავლა ძნელი არ არის. ჩვენი მასწავლებელი შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული. გვიხსნის, როგორ გამოვიყენოთ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში, ანუ როგორ ამოვხსნათ კონკრეტული მაგალითი ან ამოცანა. თუ დავალება რთულია, გაკვეთილზე ჯუფურად უნდა ვიმუშაოთ და ერთმანეთს დავეხმაროთ. ამ დროს მასწავლებელი გვაკვირდება. თუ საჭიროა, გვეხმარება ვიპოვოთ პრობლემის გადაჭრის გზა: თან მიმართულებას გვაძლევს, თან კითხვებს გვისვამს.

ბ)

მე კოტე გაგუა ვარ, მათემატიკის მასწავლებელი. ჩემი საგნის სწავლა ადვილი არ არის. მიწოდებულ მასალას სჭირდება გაგება-გააზრება, დახარისხება და ანალიზი. არ მინდა დაიზეპირონ, ამიტომ ყოველთვის ვაკავშირებ ძველ და ახალ ცოდნას. ახსნის გარეშე ბავშვებისათვის დავალება ჯერ არ მიმიცია. პრაქტიკულ დავალებებს გაკვეთილზე ეტაპობრივად ვასრულებთ. მოსწავლეებს ხშირად უმსჯელიათ, თუ რატომ ავირჩიეთ ამოცანის ამოხსნისთვის ესა თუ ის გზა; ასე დამახსოვრება ადვილია. ბავშვმა დაფასთანაც ხშირად უნდა იმუშაოს. რომ შეძლოს ცოდნის დემონსტრირება.

გ)

მე ლელა მესხი ვარ, ნინო ვაშაძის მშობელი. ჩვენს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის ყველა საფეხური ესგ-ს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ჩემს შვილს საშინაო დავალების შესრულებაში ჯერ

არ დავხმარებივარ. სკოლაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ნინო გონებაში ახარისხებს, კარგად იმახსოვრებს და პრაქტიკაში ეფექტურად იყენებს. ახლა სასკოლო ოლიმპიადაში იღებს მონაწილეობას. პირველი და მეორე ეტაპი წარმატებული იყო. ოჯახში ყველას გვაქვს გამარჯვების იმედი.

მეორე თავის მეორე გაკვეთილის მე5– სავარჯიშო

1.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლიზა, თქვენი ნახვა მინდოდა.
- გისმენთ, ქალბატომო თამარ.
- ლიზა, ალბათ იცით, რომ საგნობრივი სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული, რა ცოდნაც უნდა გადასცეს მოსწავლეს მასწავლებელმა.
- დიახ, ვიცი, მაგრამ რამდენიმე საკითხის შეცვლა მინდა.
- ჯერ ხომ არაფერი შეგიცვლიათ?
- ჯერ არა.
- ძალიან კარგი. არ შეცვალოთ! საგნობრივი სტანდარტის დაცვა პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. საგნის სასწავლო გეგმა მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვაში. განსაზღვრულია საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები. წინასწარ იცი, იცი თითოეულ კლასში რა ცოდნა უნდა გადასცე მოსწავლეებს და რა უნარ–ჩვევები უნდა განუვითარდეთ მათ.
- სტანდარტებში მოცემულ შედეგებს ყველა ბავშვი აღწევს?
- ჩემი აზრით, ყველა შედეგის მიღწევა შეიძლება, თუმცა ამას ყველა ვერ აკეთებს.
- რატომ?
- ყველა მოსწავლეს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვს. დასწავლის ხარისხიც განსხვავებულია და მიღებული შედეგიც.

ბ)
- ნატა, რა საგანს ასწავლი?
- მათემატიკას.
- რა კრიტერიუმებით აფასებ მოსწავლეებს?
- ინდიკატორს ვიყენებ. იქ ყველაფერი განსაზღვრულია.
- სამივე საფეხურისთვის?
- რა თქმა უნდა. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის სპეციალურად არის განსაზღვრული კრიტერიუმები. ყველაფერი გათვალისწინებულია: ბავშვის ასაკი და ინტელექტუალური შესაძლებლობები.
- მომწონს ესგ–ს მიხედვით, რომ სწავლა შედეგზეა ორიენტირებული და მე უფრო მეტად მომწონს საბოლოო შედეგზე ორიენტირებული სწავლება. შენ?
- საგნობრივი სასწავლო გეგმის მიხედვით, შედეგები განსაზღვრული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ნებისმიერი საფეხურისთვის. ამრიგად, ერთნაირად მნიშვნელოვანია თითოეული გაკვეთილის, კვირის, სემესტრის და სასწავლო წლის შედეგი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს ბავშვი მაღალი ხარისხის სრულ ზოგად განათლებას.

მეორე თავის მესამე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

2.5. მოისმინეთ ტექსტები:

ა.

საგნის გეგმა (ანუ წლის/წლიური გეგმა). მასში განსაზღვრულია სწავლების საფეხური, საგნის მიზანი და ამოცანები; საკითხები, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა ახსნას მასწავლებელმა, ე.ი. პროგრამის შინაარსი; შედეგები, რომლებიც წლის ბოლოს უნდა იყოს მიღწეული, ე.ი. სასწავლო შედეგი; სასწავლო რესურსები, ე.ი. სასწავლო მასალა: ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, ვიდეო და აუდიო მასალა და ა.შ. სწავლების მეთოდები, რომლებითაც უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა ამ საკითხების შესწავლა და მოსწავლის შეფასება.

ბ.

თემის გეგმა (ანუ, თემატური გეგმა). იგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: თემებს, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განიხილონ; თითოეული თემის მიზნებს და შედეგებს, რომლებიც უნდა იყოს მიღწეული; სწავლების მეთოდებს, სასწავლო მასალას, საჭირო აქტივობებს; შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს; მასწავლებლის თვითშეფასებას, ანუ თვითანალიზს; კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) არსებობის შემთხვევაში თემის გეგმა უნდა მოიცავდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასაც (ისგ).

გ.

გაკვეთილის გეგმა. იგი აღწერს ერთ კონკრეტულ გაკვეთილს თავიდან ბოლომდე და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: გაკვეთილის თემის სათაური და მიზანი; სასწავლო აქტივობები და მეთოდები; სასწავლო რესურსები (ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელოები, ვიდეო ან აუდიო მასალა, თვალსაჩინოებები ა.შ.); თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო; კლასის ორგანიზების ფორმები; შეფასების კონკრეტული მეთოდები და შეფასების ფორმები; გაკვეთილის ბოლოს მიღწეული შედეგი; მასწავლებლის თვითშეფასება, ანუ თვითანალიზი.

III თავი კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

მესამე თავის პირველი გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

1.7. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ქალბატონო ნინო, რას ფიქრობთ ჯონ დიუის მოსაზრებებზე?
- დიუი აღნიშნავს, რომ ბავშვები ადვილად სწავლობენ კეთებით. ვეთანხმები მას და ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა.
- ანუ როცა გამოცდილებას იღებენ?
- დიახ, რა თქმა უნდა. როცა ინდივიდი თვითონ ქმნის რამეს, ახალ ინფორმაციას ადვილად იგებს და იაზრებს.
- ამ პროცესში როგორია თქვენი, როგორც მასწავლებლის როლი?
- მე ფასილიტატორი ვარ, ანუ მრჩეველი. კითხვები უნდა დავუსვა და დავეხმარო მოსწავლეს, რომ ახალი ცოდნა დააკავშიროს გამოცდილებასთან. ჩემი აზრით, სწავლა აქტიური პროცესია. მოსწავლემ ინდივიდუალურად უნდა შეძლოს პრობლემის განსაზღვრა, მისი სირთულის შეფასება და გადაჭრის გზების ძიება.
- ასე ნამდვილად ადვილი იქნება ახალი ცოდნის მოპოვება.

ბ)

- ოთარ, თქვენ გამოცდილი პედაგოგი ხართ. მაინტერესებს, როდის სწავლობენ მოსწავლეები ადვილად?
- მე ბრუნერის თეორიას ვეთანხმები. ბავშვი ადვილად მაშინ სწავლობს, როცა არსებული ცოდნის საფუძველზე აღმოაჩენს ახალ ცოდნას.
- მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ახალი ცოდნა?
- დიახ, დიახ. სწავლების პროცესი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მოსწავლემ თვითონ იპოვოს სიახლე.
- „ცოდნის კონსტრუირება“ რას ნიშნავს?
- ცოდნის კონსტრუირება ნიშნავს არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას.
- მასწავლებლის ამოცანა რა არის?
- მან უნდა წაახალისოს მოსწავლე, რომ ჰქონდეს კითხვებზე პასუხის მოძიების სურვილი; ბავშვს უნდა მისცეს ახალი ცოდნის აღმოჩენის შესაძლებლობა; ხელი შეუწყოს ჯგუფში დისკუსიის განვითარებას; მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს აღმოჩენილ სიახლეებზე.

მესამე თავის მეორე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

1.8. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა) I დღე

- თიკო, ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება გამოცდილი პედაგოგის გაკვეთილზე დასწრება. ქალბატონ ლილის დღეს 12 საათზე მეშვიდეკლასელებთან აქვს შეხვედრა. შეძლებთ მოსვლას?
- რა თქმა უნდა, შევძლებ. სიამოვნებით დავაკვირდები, რაზე ამახვილებს ქალბატონი ლილი ყურადღებას, როგორი მიდგომა აქვს.
- მიდგომა კონსტრუქტივისტული უნდა იყოს, ანუ როცა მოსწავლის ჩართულობა ყველა ეტაპზე აუცილებელია.
- დიახ, მოსწავლე სასწავლო პროცესის ყველა ეტაპის აქტიური მონაწილეა.
- ხომ იცი, გაკვეთილის სხვადასხვა ფაზაში მასწავლებელს სხვადასხვა მიზანი აქვს. სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს აგებული, რომ ბავშვმა მიწოდებული ინფორმაციით ცოდნის კონსტრუირება ადვილად შეძლოს.
- გავითვალისწინებ.

ბ) II დღე

- თიკო, მოუსმინეთ გუშინ ქალბატონ ლილის?
- დიახ და ზუსტად გავიგე, რას გულისხმობს კონსტრუქტივიზმის თეორია: მასწავლებელი უბრალოდ ეხმარება მოსწავლეს, გააქტიუროს ნასწავლი მასალა, დააკავშიროს ახალ ინფორმაციასთან, გამოყოს მთავარი საკითხები, იმსჯელოს და თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი.
- რა ხდებოდა გაკვეთილზე?
- გამოწვევის ეტაპზე ქალბატონმა ლილიმ შეკითხვები დასვა. ბავშვებმა გაიხსენეს წინარე ცოდნა და დაიწყეს ფიქრი გაკვეთილის თემის შესახებ.
- მეორე ფაზაში რას მიაქციე ყურადღება?
- სიღრმისეული წვდომის ფაზაში მასწავლებელმა ჯერ ახსნა გაკვეთილი, მერე ბავშვებმა დამოუკიდებლად იმსჯელეს ახალი მასალის შესახებ. ქალბატონი ლილი ნელ–ნელა ამცირებდა დახმარებას.

- რეფლექსიის ფაზა მოგეწონათ?
- ეს ყველაზე საინტერესო ეტაპი იყო. ბავშვებმა შეძლეს მთავარი საკითხების გამოყოფა და მსჯელობის შეჯამება, მიღწეული შედეგები კი თვითშეფასების ბარათებით დაადგინეს.
- ესე იგი კმაყოფილი ხართ.
- ძალიან! დიდი მადლობა, ასეთი კარგი რჩევისთვის.

მესამე თავის მესამე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

3.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- გამარჯობა, მე ლიკა ვარ, ახალი მასწავლებელი. გამოცდილი პედაგოგის დახმარება მინდა.
- სიამოვნებით დაგეხმარებით.
- თქვენ რომელ საგანს ასწავლით?
- ქართულ ენას და ლიტერატურას.
- რა არის თქვენი გაკვეთილის მიზანი?
- გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებმა გააანალიზონ მხატვრული ნაწარმოები, გამოყონ პრობლემა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და იმსჯელონ პრობლემის გადაჭრის გზებზე. ამისათვის მათ საკმარისი ცოდნა აქვთ.

ბ)

- რომელ მეთოდს გამოიყენებთ მიზნის მისაღწევად?
- ვფიქრობ, დისკუსიის მეთოდს გამოვიყენებ, მაგრამ მთავარია, სათანადო გარემო შევქმნა ამისთვის.
- ეს რატომაა აუცილებელი?
- ბავშვი პოზიტიურად უნდა განვაწყო, რომ აქტიურად იყოს ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში. ყველამ კომფორტულად რომ იგრძნოს თავი, საკლასო ოთახში მაგიდებს წრიულად დავალაგებ. ასე ერთმანეთს კარგად მოუსმენენ, ადვილად შეძლებენ თვალით კონტაქტს და კომუნიკაცია ეფექტური იქნება.
- კიდევ უნდა იყოს რამე გათვალისწინებული?
- დიახ, გაკვეთილი ეფექტურად უნდა იყოს ორგანიზებული. დრო ისე უნდა გავანაწილო, რომ ყველა აქტივობისთვის საკმარისი იყოს: არც მეტი და არც ნაკლები. ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს დაგეგმილი.

გ)

- დისკუსიის დროს ორგანიზებულ გარემოს როგორ ინარჩუნებთ?
- ორგანიზებული და ემოციურად უსაფრთხო გარემო რომ შევინარჩუნო, დისკუსიის დაწყებამდე საჭიროა ქცევის წესების შედგენა. ამით შეზღუდული იქნება მოსწავლეთა არასასურველი ქმედება.
- მაინც რომ დაარღვიონ წესები?
- დარღვევის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას მოვახდენ ვერბალურად ან არავერბალურად. მაგალითად, ჟესტებით.
- კარგი ქცევისთვის შეაქებთ?
- რა თქმა უნდა! გაკვეთილის მსვლელობისას წავახალისებ მოსწავლეების პოზიტიურ ქცევებს, შევაქებ საინტერესო მოსაზრებებს, შევაფასებ ცოდნას.
- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

შემაჯამებელი ।

2. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

- ქალბატონო თინა, დღეს ბევრს საუბრობენ სწავლების ახალ მიდგომებზე. თქვენ თუ იზიარებთ კონსტურქტივისტულ თეორიას?
- რა თქმა უნდა, ეს თეორია ჩემთვის მისაღებია და პრაქტიკაშიც ვიყენებ.
- ქალბატონო ნინო, როგორც ვიცი, ჟან პიაჟეს ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვს ბავშვების მოტივაციის შესახებ.
- დიახ, ასეა. ჟან პიაჟეს აზრით, ბავშვები თვითმოტივირებული პიროვნებები არიან. ისინი თვითონ მართავენ თავიანთი კოგნიტური განვითარების პროცესს და ნაბიჯ–ნაბიჯ გადადიან განვითარების ახალ, უფრო მაღალ სტადიაზე.
- ყველა ბავშვი ერთნაირად გადადის განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე?
- არა, ასე არაა. ყველა ბავშვი განსხვავებულია. ისინი სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციების გამოყენებით გადადიან განვითარების ახალ სტადიაზე. ეს ეტაპობრივი პროცესია. ზოგი ბავშვი მეტად მოტივირებულია, უფრო ძლიერი ინტელექტი აქვს და მარტივად იღებს შედეგს; ზოგი მოსწავლე ნაკლებადაა მოტივირებული და როცა სირთულეები ხვდება, მასწავლებლის დახმარების გარეშე მიზანს ვერ აღწევს.
- სოციალური ურთიერთობები ახდენს გავლენას მოსწავლის განვითარებაზე?
- რა თქმა უნდა, მასწავლებელთან და კლასელებთან ურთიერთობა მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას ხელს უწყობს. არა მარტო ჟან პიაჟე, ზოგადად კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც სხვებთან თანამშრომლობს, ფიქრობს, მსჯელობს, იღებს გადაწყვეტილებებს.
- რა როლი აქვს მასწავლებელს?
- მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლის განვითარებაზე. ეხმარება, რომ არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად აღმოაჩინოს ახალი ცოდნა. მასწავლებელმა გონივრულად უნდა მართოს სწავლება–სწავლის პროცესი.
- დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

ტესტი ।

1. მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

ამერიკელი ფსიქოლოგი ჯერომ ბრუნერი არის ერთ–ერთი, ვინც ჩამოაყალიბა კოგნიტური ფსიქოლოგია. მანდააკავშირაკოგნიტურისწავლისთეორიაგანათლებისფსიქოლოგიასთან. ბრუნერის მიდგომა სწავლებისადმი კონსტრუქტივისტულია.

ბრუნერის თეორიის მიხედვით, სწავლა არის აქტიური პროცესი, სადაც მოსწავლეები არსებული ცოდნის მიხედვით ქმნიან ახალ იდეებს. მოსწავლე არჩევს, ახარისხებს და იაზრებს ინფორმაციას, მსჯელობს, იღებს გადაწყვეტილებებს. ეს ინდივიდს აძლევს ინფორმაციის სიღრმისეული წვდომის შესაძლებლობას.

სწავლება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მასწავლებელი შესაძლებლობას აძლევდეს მოსწავლეებს, თავად აღმოაჩინონ ძირითადი პრინციპები. ორივე მხარე (მასწავლებელი და მოსწავლე) აქტიურად უნდა იყოს ჩართული დიალოგში.

მასწავლებლის ამოცანაა, ისე მიაწოდოს ინფორმაცია, რომ მოსწავლისათვის ადვილი და სახალისო იყოს მისი გაგება. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნაბიჯ–ნაბიჯ, ეტაპობრივად შეიძინოს და განამტკიცოს ცოდნა.

ბრუნერის აზრით, მის თეორიას ოთხი მთავარი საყრდენი აქვს:

- სწავლებისადმი პოზიტიური განწყობის შექმნა
- სწავლება ისე უნდა იყოს აგებული, რომ მასალა მოსწავლისათვის ადვილად გასაგები იყოს
- საჭიროა მასალის თანმიმდევრობით სწავლების პრინციპის დაცვა
- საჭიროა წახალისება–დასჯის მეთოდების სწორი გამოყენება.

ბრუნერის მიხედვით, სწავლების სამი ძირითადი პრინციპია:

- სწავლება უნდა მოიცავდეს სასწავლო მასალასა, რომლის ათვისებისათვისაც მოსწავლე მზადაა
- სწავლების სტრუქტურა ადვილად გასაგები უნდა იყოს მოსწავლისათვის
- სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეს, რომ მან დამოუკიდებლად გააგრძელოს ინფორმაციის მოპოვება.

IV თავი საბაზროვნო უნარების განვითარება

მეოთხე თავის პირველი გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

1.5. მოისმინეთ დიალოგები და უპასუხეთ კითხვებს:

1.

- მოგესალმებით, კოლეგებო, ვაგრძელებთ კათედრის წევრების შეხვედრას. დღეს ვიმსჯელებთ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებზე, რომელიც მოსწავლეებში ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას. რომელ მეთოდს იყენებთ ამ მიზნით?
- ყველაზე ხშირად გონებრივ იერიშს ვიყენებთ.
- მართალია, ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას. რა არის ამ დროს მასწავლებლის მიზანი?
- მასწავლებლის მიზანია, კლასში შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია, თავისუფლად გამოხატავენ მოსაზრებებს.
- დიახ, ასეა. სასურველია მასწავლებელმა ყოველთვის შეაქოს უჩვეულო და ორიგინალური იდეა.

2.

- მე ფიზიკას ვასწავლი და გაკვეთილზე ყველაზე ხშირად გრაფიკულ სქემებს/დიაგრამებს ვიყენებ.
- ეს მეთოდიც ეფექტურია. დიაგრამების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს, ვიზუალურად აღიქვან, კარგად გაიაზრონ და დაიმახსოვრონ შესწავლილი თემა. განივითარონ ანალიტიკური აზროვნება.
- ნამდვილად ასეა.
- ალბათ, იყენებთ როგორც ვენის, ისე მიზეზშედეგობრიობის დიაგრამასაც.
- რა განსხვავებაა მათ შორის?
- ვენის დიაგრამის დახმარებით მოსწავლე ადარებს მოვლენებს ერთმანეთს და ადგენს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებებს. მიზეზშედეგობრიობის დიაგრამით კი მოსწავლეები მსჯელობენ პრობლემის/მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე, ადგენენ მიზეზსა და მიღებულ შედეგებს შორის კავშირებს.
- გასაგებია.

მეოთხე თავის მეორე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

1.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- აღიარებულია, რომ მოსწავლეები ინტეგრირებული გაკვეთილებით უფრო კარგად სწავლობენ,

ვიდრე ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში.

- რას ნიშნავს ინტეგრირებული გაკვეთილი?
- ასეთ გაკვეთილს ორი საგნის მასწავლებელი გეგმავს.
- რა მიზნით?
- მოსწავლე ეჩვევა ერთ დისციპლინაში მიღებული ცოდნის მეორეში გადატანას. ეს ამარტივებს სწავლების პროცესს და მოსწავლის მოტივაციაც უფრო მაღალია.
- რა გავითვალისწინო ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისას?
- ჯერ საჭიროა თემისა და მონათესავე საგნის სწორად შერჩევა; შემდეგ დეტალურად დაგეგმე გაკვეთილი ინტეგრირებული საგნის მასწავლებელთან ერთად.

ბ)

- მე და თეამ მასწავლებლის სახლში რამდენიმე ლექცია მოვისმინეთ ინტეგრირებულ გაკვეთილზე.
- საინტერესო იყო?
- ძალიან! ახალი ის გავიგე, თურმე ტრანსფერის უნარი თანდაყოლილი არ არის. ამას ინტეგრირებული გაკვეთილებით სწავლობენ ბავშვები.
- რატომაა ეს ასეთი მნიშვნელოვანი?
- იმიტომ, რომ მხოლოდ ტრანსფერის უნარის ჩამოყალიბების შემდეგ აღწევს მოსწავლეთა უმრავლესობა ესგ–ს სტანდარტით გათვალისწინებულ მაღალ შედეგებს.
- ნაწილობრივ ვიცი, რას ენიჭება მნიშვნელობა, როცა ინტეგრირებულ გაკვეთილს ვგეგმავთ, მაგრამ მეტი მინდა ვიცოდე.
- ერთ–ერთი ლექციის თემა იყო „დევიდ პერკინსი და სწავლების პრინციპები“. პერკინსის თეორია ყველაფერს დეტალურად ხსნის.
- რა კარგია. აუცილებლად წავიკითხავ.

მეოთხე თავის მესამე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

2.5. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლევან, რა კარგია, რომ გნახე. რაღაც მინდა გკითხო.
- გისმენთ, დეიდა ნინო.
- ნინი უკვე დიდი გოგოა. მალე სკოლაში უნდა წავიდეს. ჩვენს ოჯახში მიიჩნევა, რომ ბავშვმა ტრადიციული განათლება უნდა მიიღოს, მე კი ინოვაციები უფრო მომწონს. თქვენს სკოლაში რა ხდება ამ მხრივ?
- მაშინ სხვაგან ნურსად წაიყვანთ, ჩვენს სკოლაში მოდით. სხვა სკოლებში ახლა მკვიდრდება ისტ–ით სწავლება, ჩვენთან კი დიდი ხანია დამკვიდრებულია.
- სწავლა ასე უფრო საინტერესო და სახალისოა?
- დიახ, რა თქმა უნდა! გაკვეთილზე ინტერნეტს ხშირად ვიყენებთ. ერთობლივად ვქმნით სასწავლო რესურსებს: დიაგრამებს, ცხრილებს, ილუსტრაციებს; თემასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციაც უცებ იძებნება.
- რა კარგია!
- ძალიან! სწავლა უფრო ადვილია, ვიდრე აქამდე იყო. ინოვაციური სასწავლო რესურსები გვეხმარება მასალის ვიზუალურ აღქმასა და საკითხის გაგება–გააზრებაში. ყველაფერს ადვილად ვიმახსოვრებთ.
- ლევან, ე.ი. თქვენთვის მასწავლებელი აღარ არის ცოდნის მიღების ერთადერთი წყარო?
- დიახ, მაგრამ მასწავლებელი მაინც ძალიან ბევრ რამეს გვასწავლის და გამოცდილებასაც გვიზიარებს; მაგალითად, ისტ–ის ეფექტურად გამოყენების სპეციფიკას, რაც ასე გვჭირდება ცხოვრებაში.

V თავი ქცევის მართვა

მეხუთე თავის პირველი გაკვეთილის მე-5 სავარჯიშო

1.1. მოისმინეთ დიალოგები:

1.

- სანდრო, როგორ მოვიქცე? ერთი მოსწავლის არასასურველი ქცევა ძალიან მიშლის ხელს. გაკვეთილზე წესრიგს ვეღარ ვინარჩუნებ. მისი დასჯა არ მინდა, მაგრამ არც ის ვიცი, რა გავაკეთო.
- ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, შენ ახლა ნეგატიურად განამტკიცებ მოსწავლეს და მასში ზრდი უპასუხისმგებლობას.
- ანუ, რას მირჩევ?
- მართალია, მოსწავლის დასჯა არ გინდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ახლა ეს აუცილებელია.
- დასჯით ხომ ფსიქოლოგიური ტრავმა უნდა მივაყენო?!
- არა, თუ პოზიტიურად დასჯი, ყველაფერი კარგად იქნება. რაც შეიძლება რბილი ფორმით, მაგრამ ყოველთვის მიეცი შენიშვნა, როცა ცუდად მოიქცევა. ეს ნელ-ნელა აუცილებლად შეასუსტებს არასასურველ ქცევას.

2.

- ნინო, საერთოდ როგორი მოსწავლეა ეს ბავშვი?
- ძალიან ნიჭიერია, ანალიტიკური აზროვნებით ხასიათდება, მაგრამ თითქოს სხვებისგან გარიყულია.
- მაშინ საჭიროა მისი ჯგუფურ მუშაობაში ჩართვა. ასევე, ყოველთვის საჭიროა შექება, როცა კარგად მოიქცევა.
- ასე შესაძლებელია სასურველი ქცევის დასწავლა?
- რა თქმა უნდა, პოზიტიურ დასჯა, ანუ შენიშვნის მიცემა, პოზიტიური განმტკიცებაა; შექება მის ქცევას შეცვლის. მოსწავლე დაისწავლის იმ ქცევას, რომელიც მასწავლებლის დადებით რეაქციას იწვევს. თუ სასურველ შედეგს ვერ მიიღებ, მაშინ შეგიძლია ნეგატიური დასჯაც გამოყენო.
- ეს რას ნიშნავს?
- ნეგატიურად მაშინაა დასჯილი ბავშვი, როცა სასიამოვნო სტიმულს მოაკლებ. მაგალითად, დასვენების დროს კლასში დატოვებ.
- გასაგებია, სანდრო. დიდი მადლობა!

მეხუთე თავის მეორე გაკვეთილის მე-5 სავარჯიშო

1.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- სწავლების დემოკრატიული სტილის მოწინააღმდეგე არ ვარ, მაგრამ დიციპლინის პრობლემა მაქვს.
- როგორია შენი რეაქცია?
- რამდენიმე მოსწავლე მყავს დასჯილი, მაგრამ არაფერი შეცვლილა.
- უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ ძალიან შედეგიანია ქცევის წესების ერთობლივად შემუშავება.
- ვიცი, მაგრამ საჭირო გამოცდილება არ მაქვს.
- შემიძლია, რამდენიმე რეკომენდაცია მოგცე.
- რა უნდა გავითვალისწინო?
- წესების რაოდენობა ბევრი არ უნდა იყოს. ზოგადად, 6-5 წესის შემუშავება საკმარისია; წესები მაქსიმალურად ნათლად და პოზიტიური ფორმით ჩამოაყალიბეთ ერთობლივად; შემდეგ ფურცელზე

ლამაზად დაწერეთ და მისთვის თვალსაჩინო ადგილი შეარჩიეთ.
- სულ ესაა?
- შეგიძლიათ სანქციებზე შეთანხმებაც, ანუ რა მოხდება, თუ დაირღვევა წესები.
- აუცილებლად გავითვალისწინებ ამ რეკომენდაციებს, დიდი მადლობა.

მეხუთე თავის მესამე გაკვეთილის მე-5 სავარჯიშო

3.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:
- დავით, გავიგე, გუშინ კათედრის სხდომაზე ალბერტ ბანდურას თეორიის შესახებ გისაუბრიათ.
- მართალია. ვისაუბრეთ. რა გაინტერესებდა, გიორგი?
- როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, რომ ადვილად ისწავლონ მოდელის საშუალებით? რა უნდა გავითვალისწინო?
- პირველ რიგში, ის, რომ სწავლა მოდელისგან პირდაპირ და უცებ არ ხდება. თანმიმდევრულად უნდა განვითარდეს პროცესი.
- რამდენიმე ეტაპია?
- დიახ, ოთხი: ჯერ მოსწავლე ყურადღებას აქცევს ჩვენს ქცევას. შემდეგ იმახსოვრებს, თუ რას აკეთებს მასწავლებელი და იმეორებს მის ქცევას.
- ხომ თქვი ოთხი ეტაპიაო? მეოთხე რომელია? სამი თქვი!
- მოტივაცია. მოსწავლეს უნდა მივცეთ საშულება, ესა თუ ის ქცევა გამოავლინოს.
- უნდა შევაქო? თუ რაიმე სახის ჯილდოა საჭირო?
- სწორია, ან შეაქე, ან ჯილდო მიეცი. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი არიან მიბაძონ მოდელს, თუ ფიქრობენ, რომ ამისთვის შექებას ან რამე ჯილდოს დაიმსახურებენ.

VI თავი შეფასება

მეექვსე თავის პირველი გაკვეთილის მე-5 სავარჯიშო

1.5. მოისმინეთ დიალოგები და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ა)
- ნინო, სკოლაში რომ დაიწყე მუშაობა, რა იყო თავიდან ყველაზე ძნელი?
- მოსწავლის შეფასება.
- შეფასება? ეგ ხომ ძალიან ადვილია?
- სულაც არა! შეფასებას თავისი მიზანი აქვს და მისი მიღწევისთვის სამი წესი შევიმუშავე: პირველ რიგში, უნდა ვყოფილიყავი ობიექტური; არ უნდა დავყრდნობოდი პირად მოსაზრებას, სურვილსა და მოსწავლის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას.
- მართალია. ობიექტურობა ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ?
- შეფასება უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე. ამისათვის მოსწავლეებისათვის წინასწარ უნდა მიმეწოდებინა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შევაფასებდი მათ ნაშრომსა თუ ზეპირ დავალებას.
- კი, კი, ეს ძალიან კარგია! ჩვენც ყოველთვის გვაინტერესებს, რა კრიტერიუმებით შეფასდება ნაშრომი! მესამე წესი?
- სანდოობა. შეფასება ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის შეაფასებდა მოსწავლეს.
- ბ)
- ამ წესების დაცვა აუცილებლად მოგცემდა შედეგს.
- ნამდვილად ასეა! ჩემი მოსწავლეებისთვის შეფასება აღარ იყო სასჯელი. შეიცვალა მათი მიდგომა

სწავლა–სწავლების პროცესის მიმართ.
- რა კუთხით შეიცვალა?
- მათ კარგად გაიგეს, რომ შეფასება სწავლა–სწავლების ნაწილია. სწორედ შეფასების დახმარებით ხდება იმის დადგენა, თუ რა მიღწევები აქვს მოსწავლეს.
- თუ მაღალი ქულებით ფასდება ბავშვი, მიღწევებიც დიდი აქვს?
- მხოლოდ ქულებით ამას ვერ იტყვი. მოსწავლის მიღწევები კარგად ჩანს განმავითარებელ შეფასებაში. აქ მთავარი კრიტერიუმი კონკრეტული მოსწავლის წარმატებაა საკუთარ მიღწევასთან შედარებით, ანუ რა დონეს ფლობდა ადრე, რა დონეს ფლობს ახლა.
- საკუთარ თუ ესგ–ს სტანდარტთან შედარებით?
- არა, საკუთართან. ესგ–ს მოთხოვნებს განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს.
- გასაგებია.

მეექვსე თავის მეორე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

2.5. მოისმინეთ დიალოგები და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ა)
- ნინო, მე8– კლასში შემაჯამებელი მუშაობა შეიძლება შეფასდეს შემდეგი აქტივობებით: ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება და საკონტროლო წერა. რომელს უფრო ხშირად იყენებ?
- ტესტს.
- რატომ?
- ასე უფრო ადვილად ვამოწმებ მოსწავლის ცოდნასა და სააზროვნო უნარებს.
- რომელი ტიპის ტესტს იყენებ?
- შერეული ტიპისას, რომელიც შედგება როგორც ღია, ასევე დახურული კითხვებისაგან.
- ტესტისთვის შეფასების სქემას იყენებ?
- აუცილებლად, წინასწარ შევიმუშავებ ხოლმე შეფასების სქემას და კრიტერიუმებს ვაცნობ მოსწავლეებს.
- რომელი ტიპის შეფასებას იყენებ ტესტირებისას?
- ტესტის შეფასებისთვის ვიყენებ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას.

ბ)
- თამუნა, როგორია მე7– კლასის მოსწავლეთა შედეგები?
- ძალიან კარგი! წინასწარ შევიმუშავე დაკვირვებისთვის კრიტერიუმები და უკვე ერთი თვეა სწავლება–სწავლის პროცესზე ვახდენ დაკვირვებას.
- შეგიძლია მასწავლო, ამას როგორ აკეთებ?
- რა თქმა უნდა! დაკვირვებისთვის ვირჩევ სამ–ოთხ მოსწავლეს. გაკვეთილის მსვლელობისას ვაკეთებ ჩანაწერებს. შედეგებს კი მოსწავლეებს ინდივიდუალურად ვაცნობ.
- რაში გეხმარება დაკვირვების მეთოდი?
- დაკვირვება საინტერესო პროცესია. მარტო მოსწავლეებს არ ვაფასებ, მეც მეხმარება თვითშეფასებაში. ვიღებ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ვასწავლი მოსწავლეებს. რა ცოდნა მივეცი მათ. როგორ იყენებენ მოსწავლეები არსებულ ცოდნას პრაქტიკაში. ეფექტიანია თუ არა აქტივობები, რომლებსაც საკლასო დავალებების შესრულებისას ვიყენებთ და ა.შ.
- დიდი მადლობა. ამ მეთოდს მეც აუცილებლად გამოვიყენებ.

მეექვსე თავის მესამე გაკვეთილის მე–5 სავარჯიშო

2.5. მოისმინეთ დიალოგები და უპასუხეთ კითხვებს:

1. ა. დიალოგი
- დავით, რამდენი მასწავლებელი გყავთ სკოლაში?
- სკოლაში სულ სამოცი მასწავლებელია. აქედან ოცი პრაქტიკოსია, ოცდათორმეტი – უფროსი, სამი – წამყვანი მასწავლებელია. ხუთი კი დამწყები მასწავლებელია
- სკოლაში პროფესიული განვითარების მიზნით რა ღონისძიებებს ან აქტივობებს ატარებენ მასწავლებლები?
- კარგად მუშაობს საგნობრივი კათედრები. სკოლაში ინერგება „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. კოლეგები აქტიურად ეხმარებიან დამწყებ მასწავლებლებსაც.
- როგორ აისახება მასწავლებლების თანამშრომლობა სასწავლო პროცესზე?
- მასწავლებლები ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე. სკოლას ჰყავს კომპეტენტური მასწავლებლები. მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში გაუმჯობესდა სწავლება–სწავლის ხარისხი.

2. ა. დიალოგი
- გიორგი, რომელი აქტივობები გეხმარებათ პროფესიულ განვითარებაში?
- გაკვეთილის პროცესზე დაკვირვება; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა; კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარება; სასწავლო რესურსის შექმნა; კონფერენციებში, ტრენინგებში მონაწილეობა, საწრეო და საკლუბო მუშაობები და ა.შ.
- საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდები ჩააბარეთ?
- დიახ, წარმატებით.
- სკოლაში ვინ გეხმარებათ პროფესიულ განვითარებაში?
- სკოლის ფასილიტატორი და შეფასების ჯგუფის წევრები
- გიორგი, როგორ ფიქრობთ, მიაღწევ წარმატებას ერთი წლის შემდეგ?
- აუცილებლად შევძლებ კარიერულ წინსვლას და ერთი წლის შემდეგ წამყვანი მასწავლებელი ვიქნები.
- გისურვებ წარმატებებს.
- გმადლობთ.

შემაჯამებელი II

2. მოისმინეთ დიალოგები და დაასრულეთ წინადადებები:

ა)
- ლუკა, შენი მოსწავლეების ცოდნას როგორ აფასებ?
- შეფასების სქემების დახმარებით.
- სქემით მხოლოდ ცოდნას აფასებ?
- რატომ მხოლოდ ცოდნას? შეფასების სქემა მასწავლებელს საშუალებას აძლევს გაზომოს მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები და მიღწევის ხარისხი.
- მართლა? მასწავლე, როგორ შევიმუშავო შეფასების სქემა.
- სიამოვნებით: პირველად განსაზღვრე გაკვეთილის სასწავლო მიზანი. შემდეგ მიზნიდან გამომდინარე ჩამოაყალიბე შეფასების კრიტერიუმები და ამის მიხედვით შეიმუშავე შეფასების

სქემა.
- რა შემიძლია შევაფასო კრიტერიუმებით?
- ყველაფერი: საკითხის ცოდნა, ანალიზის უნარი, დავალების შესრულების ხარისხი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გაკეთება, ჰიპოთეზების გამოთქმა და ა.შ.
- დიდი მადლობა, ლუკა.
- არაფრის! წარმატებებს გისურვებ.

ბ)
- კახა, თქვენს სკოლაში მასწავლებლები ბავშვებს ობიექტურად აფასებენ?
- დიახ, დეიდა ელენე, ყოველთვის.
- რატომ ფიქრობ ასე?
- იმიტომ, რომ წინასწარ ვიცი, რა კრიტერიუმებით შემაფასებს მასწავლებელი გაკვეთილზე. შეფასების სქემებს ერთად ვადგენთ.
- მართლა? და რომელი კომპონენტები ფასდება?
- საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებები.
- დღეს მიიღე შეფასება?
- დიახ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დღეს ახალი მოთხრობა ვისწავლეთ, პერსონაჟებზე ვმსჯელობდით და მასწავლებელმა დისკუსიის მეთოდი გამოიყენა.
- მხოლოდ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი შეფასდა?
- არა, მასწავლებელი აფასებს როგორც ცოდნას, ისე – უნარებს.

ტესტი II

11. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები: (10.0 ქულა)
- ელენე, რა არის მოსწავლის პორტფოლიო?
- პორტფოლიო განმავითარებელი შეფასების ერთ–ერთი მეთოდია.
- რისთვის სჭირდება მასწავლებელს მოსწავლის პორტფოლიო?
- ასე უკეთესად ხედავს მოსწავლის პროგრესს: მის განვითარებასა და მიღწევებს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
- გასაგებია. ელენე,მოსწავლისთვისაც მნიშვნელოვანია პორტფოლიო?
- რა თქმა უნდა! პორტფოლიოზე მუშაობა მოსწავლეს უვითარებს თვითშეფასების უნარს. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე წინასწარ განსაზღვრავს მიზანს და გეგმავს აქტივობებს.
- რომელი აქტივობები შეიძლება დაგეგმოს მოსწავლემ?
- პროექტზე მუშაობა, ელექტრონული პრეზენტაციების მომზადება, ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, დისკუსიებში მონაწილეობის მიღება და ა.შ.
- მასწავლებლის გარდა ვინ ნახავს მოსწავლის პორტფოლიოს?
- ყველა! წლის ბოლოს მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს პორტფოლიოს პრეზენტაციას.

დანართი

ლექსიკა

I თავი ეროვნული სასწავლო გეგმა

ლექსიკა

პიროვნება	თვითრეალიზება
მისია	ზოგადი
რასა	სულიერი
ნაწილი	მშობლიური
სრულყოფა	კანონმორჩილი
სახელოსნო	ტოლერანტი
ფორმირება	ინტელექტუალური
დანიშნულება	მოზარდი
ჩამოყალიბება	რეგულაცია
ეთნიკური	წესრიგი
რელიგიური	ჩართულობა
დასახული	მოძრაობა
სრულფასოვანი	მიდგომა
კეთილმოწყობილი	ცოდა = არცოდნა
მრავალფეროვანი	თანაბარი
შემოქმედი	დაფასებული
ინტელექტი	მოტივირებული
არჩევანი	მოწესრიგებული
შენარჩუნება	გათვალისწინებული
მახასიათებელი	ხმამაღლა = ხმადაბლა

ფრაზები

• რელიგიური კუთვნილება
• თანაბარი პირობები
• სასწავლო ნაწილი
• მოქალაქის აღზრდა
• პიროვნების ჩამოყალიბება
• ესგ – ეროვნული სასწავლო გეგმა
• სდ – საგანმანათლებლო დაწესებულება
• სგმს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
• სსსმ – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
• ქვეყნის ინტერესები/ ტრადიციები / ღირებულებები
• ბუნებრივი გარემო

• ზიანის მიყენება
• თანამედროვე ტექნოლოგიები
• პირადი ცხოვრება
• ოჯახური ცხოვრება
• უწყვეტი განათლება
• შრომითი საქმიანობა
• ზოგადი საკომუნიკაციო უნარ–ჩვევები
• განსხვავებული კულტურის მქონე
• ზგემ – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
• რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი
• მოსწავლეზე/შედეგზე ორიენტირებული
• უნიკალური პიროვნება
• დახმარება სჭირდება
• ინდივიდუალური მიდგომა
• სასწავლო მასალა
• თანაბარი ჩართულობა
• ამრიგად
• ზგს – ზოგადი განათლების სისტემა

II თავი ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

ლექსიკა

ეტაპი	დაწყებითი
საფეხური	საბაზო
მეხსიერება	საგნობრივი
გონება	პრინციპული
დამახსოვრება	განვითარებული
დემონსტრირება	განსაზღვრული
სააზროვნო	ტიპი
ეტაპობრივი	ნაბიჯი
მიწოდებული	რესურსი
დახარისხებული	გამოცდა
საგანი	კომპონენტი
გეგმა	თვითანალიზი
ასაკი	თვალსაჩინოება
კრიტერიუმი	სტრუქტურირება
ინდიკატორი	დამხმარე
ცვლილება	ნაბიჯ–ნაბიჯ
განვითარება	მიღწეული
განსაზღვრა	განკუთვნილი

სრული	ფსიქოლოგიური
არასრული	სტრუქტურირებული

ფრაზები

• ზოგჯერ მონაწილეობს
• ჯერ კიდევ არ გაუაზრებია
• ანუ გამოარჩევს მნიშვნელოვან ელემენტებს
• ესე იგი (ე.ი.) მას ჯერ არ გაუაზრებია
• ცვლილების შეტანა
• სახვითი ხელოვნება
• შრომითი სწავლება
• საგნის გეგმა = წლიური გეგმა
• თემის გეგმა = თემატური გეგმა
• კლასგარეშე საკითხავი
• თავიდან ბოლომდე

III თავი კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

ლექსიკა

მრჩეველი / ფასილიტატორი	რეფლექსია
ინდივიდი	გამოცდილი
როლი	აგებული
სიახლე	თვითმოტივირებული
აღმოჩენა	სიღრმისეული
ძიება	სიღრმისეულად
ინტერაქცია	განწყობა
მითითება	მოლოდინი
მოპოვება	ქმედება
ინტეგრირება	რეაგირება
კონსტრუირება	მსვლელობა
აღმოჩენილი	დარღვევა
სოციალური	შედგენა
ინდივიდუალურად	ორმხრივი
გონივრულად	ცალმხრივი
მონაწილე	გარიყული
ფაზა	წრიული
კონსტრუქტივიზმი	ინტერაქტიული
გამოყოფა	ხელსაყრელი
მიდგომა	ხელმისაწვდომი
გამოწვევა	შინაარსობრივად

წვდომა	ესთეტიკურად

ფრაზები

• განათლების თეორიები
• სწავლა კეთებით
• აღმოჩენებით სწავლა
• კონსტრუქტივისტული თეორია
• კოგნიტური კონსტრუქტივიზმი
• სოციალური კონსტრუქტივიზმი
• სოციალური ურთიერთობები
• კონსტრუქტივისტული გაკვეთილი
• სიღრმისეული წვდომა
• სააზროვნო ოპერაციები
• განვითარების სტადიები
• ინტერაქტიული სწავლება
• კლასის მოწყობა
• ჯანსაღი ინტერაქცია
• პროცედურების დაცვა

IV თავი სააზროვნო უნარების განვითარება

ლექსიკა

მერხი	ანალოგიურად
განცდა	ანალოგიური
შერჩევა	შეუძლებელი
წარმოსახვა	თანდაყოლილი
წინაპირობა	აღიარებული
მოძიება	დაგროვებული
ორგანიზება	ინტერნეტრესურსი
დაფიქსირება	ტექნოლოგია
შთაბეჭდილება	ილუსტრაცია
მაქსიმალურად	ფორმულა
ნათლად	სლაიდშოუ
ასახსნელი	პრეზენტირება
შესასწავლი	წარდგენა
ანალიტიკური	ნიჭი
მოძიებული	დამკვიდრება
შეფასებული	სპეციფიკა
გაანალიზებული	ინოვაცია
დაფიქსირებული	ინტერფეისი

ომი	კვლევითი
ტრანსფერი	კომპეტენტური
გადატანა	მოსამზადებელი
დასაქმება	სპეციფიკური
ინტეგრაცია	თვალსაჩინო
ტრანსპოზიცია	ერთობლივი
ნაწილობრივ	ინოვაციური
მთლიანად	დამკვიდრებული

ფრაზები

• სააზროვნო უნარები
• საკლასო დისკუსია
• როლური თამაში
• ვენის დიაგრამა
• ვიზუალურად აღქმა
• გონებრივი იერიში
• გრაფიკული სქემები/დიაგრამები
• მიზეზშედეგობრიობის დიაგრამა
• ინტეგრირებული გაკვეთილი
• ინტეგრირებული სწავლება
• მონათესავე საგნები
• სასწავლო დისციპლინები
• ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ)
• თანამედროვე ტექნოლოგიები
• საინფორმაციო ტექნოლოგიები
• აუდიო და ვიდეოფაილები
• სასწავლო პროექტები
• ერთადერთი წყარო
• ციფრული კულტურა

V თავი ქცევის მართვა

ლექსიკა

დასჯა	გამომუშავება
ზიანი	თავისებურება
რეაქცია	შედეგი/შედეგიანობა
ამბიცია	შენარჩუნება
ტრავმა	ახალბედა
პერსპექტივა	თვალშისაცემი
შეწყვეტა	მოსალოდნელი

ბიჰევიორიზმი	უნივერსალური
ლიდერობა	ორიგინალური
ღონისძიება	ზედმეტად
ქცევათმეცნიერება	ზრდა
უპასუხისმგებლობა	მიბაძვა
ემპათია/თანაგრძნობა	დანახვა
მტკიცე	ამაღლება
დასჯილი	სიამოვნება
შედეგიანი	მოდელირება
მოკლევადიანი≠გრძელვადიანი	მცდელობა
ზოგადად	კომპეტენტურობა
ჩარევა	თვითრეგულაცია
მომხრე	განმამტკიცებელი
სანქცია	შექმნილი
კორექცია	უმჯობესი
დისციპლინა	თვითრეგულირებადი
თვითდისციპლინა	სიტყვიერად
მოწინააღმდეგე	დადებითად
პროფილაქტიკა	უარყოფითად

ფრაზები

• სასურველი ქცევები
• მოკლევადიანი პერიოდი
• გრძელვადიანი პერსპექტივა
• ზიანი არ მივაყენოთ
• ნეგატიურისგან განსხვავებით
• კლასის მართვა
• მინიმუმამდე დაყვანა
• უნივერსალური რეცეპტი
• მეცადინეობის განმავლობაში
• გარეშე პირი
• ქცევაზე დაკვირვება
• ქცევის სტანდარტი
• თვითრეგულაციის უნარი
• თვითრეგულირებადი ქცევა
• სოციალური დასწავლის თეორია
• ნეობიჰევიორისტული მიდგომა

VI თავი – შეფასება

ლექსიკა

ესე	წარმატებით
ექსპერიმენტი	პორტფოლიო
ნამუშევარი	აღწერილობა
ზრუნვა	სამართლიანობა
ჩათვლა	შერეული
გამოსვლა	სამართლიანი
გამოვლენა	ხარისხობრივი
გავარჯიშება	ელექტრონული
მომზადება	შესრულებული
ზეპირი	შესასრულებელი
არჩევითი	მენტორი
ფერწერული	სტატუსი
არგუმენტირებული	ქაღალდი
აკადემიური	საქაღალდე
სავალდებულო	სერტიფიკატი
ზეპირად	კრედიტქულა
ხარისხი	დაკვირვება
დასკვნა	ურთიერთდაკვირვება
ნაკრები	წამყვანი
ხარვეზი	სამოქმედო
ჰიპოთეზა	ჩატარებული
მოსწრება	დატვირთული
ჩამონათვალი	დამადასტურებელი

ფრაზები

• საგზაო ნიშნები
• ჩათვლის სისტემა
• ხარისხის მართვა
• აკადემიური მიღწევა
• ათქულიანი სისტემა
• საკონტროლო წერა
• ზეპირი გამოსვლა
• ექსპერიმენტის ჩატარება
• ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა
• მიღწევის დონე
• მიღწევის ხარისხი
• მიღწევის დონის აღწერილობა

• შეფასების მეთოდები
• შეფასების ინსტრუმენტი
• ღია კითხვა = დახურული კითხვა
• კარიერული წინსვლა
• პედაგოგიური საბჭო
• სამუშაო შეხვედრები
• „კრიტიკული მეგობარი”
• დამატებითი აქტივობები
• პროფესიული განვითარება
• სავალდებულო აქტივობები
• სკოლის შეფასების ჯგუფი
• ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა
• ელექტრონული საქაღალდე eSchool – ი

ზმნები

I თავი ეროვნული სასწავლო გეგმა

	საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
1.	უზრუნველყოფა	უზრუნველყოფს ის მას	უზრუნველყოფდა ის მას	უზრუნველყო მან ის	უზრუნველყოფს ის მას	უზრუნველყოს მან ის	უზრუნველუყვია მას ის
2.	ტარება	ატარებს ის მას	ატარებდა ის მას	ჩაატარა მან ის	ჩაატარებს ის მას	ჩაატაროს მან ის	ჩაუტარებია მას ის
3.	გავრცელება	ავრცელებს ის მას	ავრცელებდა ის მას	გაავრცელა მან ის	გაავრცელებს ის მას	გაავრცელოს მან ის	გაუვრცელებია მას ის
4.	გაძლიერება	აძლიერებს ის მას	აძლიერებდა ის მას	გააძლიერა მან ის	გააძლიერებს ის მას	გააძლიეროს მან ის	გაუძლიერებია მას ის
5.	შენარჩუნება	ინარჩუნებს ის მას	ინარჩუნებდა ის მას	შეინარჩუნა მან ის	შეინარჩუნებს ის მას	შეინარჩუნოს მან ის	შეუნარჩუნებია მას ის
6.	მიყენება	აყენებს ის მას მას	აყენებდა ის მას მას	მიაყენა მან მას ის	მიაყენებს ის მას მას	მიაყენოს მან მას ის	მიუყენებია მას ის
7.	მიღება	იღებს ის მას	იღებდა ის მას	მიიღო მან ის	მიიღებს ის მას	მიიღოს მან ის	მიუღია მას ის
8.	ჩათვლა	თვლის ის მას	თვლიდა ის მას	ჩათვალა მან ის	ჩათვლის ის მას	ჩათვალოს მან ის	ჩაუთვლია მას ის
9.	წარმოდგენა	წარმოადგენს ის მას	წარმოადგენდა ის მას	წარმოადგინა მან ის	წარმოადგენს ის მას	წარმოადგინოს მან ის	წარმოუდგენია მას ის
10.	დადასტურება	ადასტურებს ის მას	ადასტურებდა ის მას	დაადასტურა მან ის	დაადასტურებს ის მას	დაადასტუროს მან ის	დაუდასტურებია მას ის
11.	შედარება	ადარებს ის მას მას	ადარებდა ის მას მას	შეადარა მან მას ის	შეადარებს ის მას მას	შეადაროს მან მას ის	შეუდარებია მას ის
12.	შეშლა	უშლის ის მას მას	უშლიდა ის მას მას	შეუშალა მან მას ის	შეუშლის ის მას მას	შეუშალოს მან მას ის	შეუშლია მას ის
13.	განხილვა	იხილავს ის მას	განიხილავდა ის მას	განიხილა მან ის	განიხილავს ის მას	განიხილოს მან ის	განუხილავს მას ის

14.	გართულება	ართულებს ის მას	ართულებდა ის მას	გაართულა მან ის	გაართულებს ის მას	გაართულოს მან ის	გაურთულებია მას ის
15.	გამარტივება	ამარტივებს ის მას	ამარტივებდა ის მას	გაამარტივა მან ის	გაამარტივებს ის მას	გაამარტივოს მან ის	გაუმარტივებია მას ის

II თავი ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

	საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
1.	გამორჩევა	არჩევს ის მას	არჩევდა ის მას	გამოარჩია მან ის	გამოარჩევს ის მას	გამოარჩიოს მან ის	გამოურჩევია მას ის
2.	დაახარისხება	ახარისხებს ის მას	ახარისხებდა ის მას	დაახარისხა მან ის	დაახარისხებს ის მას	დაახარისხოს მან ის	დაუხარისხებია მას ის
3.	დაკმაყოფილება	აკმაყოფილებს ის მას	აკმაყოფილებდა ის მას	დააკმაყოფილა მან ის	დააკმაყოფილებს ის მას	დააკმაყოფილოს მან ის	დაუკმაყოფილებია მას ის
4.	დამახსოვრება	იმახსოვრებს ის მას	იმახსოვრებდა ის მას	დაიმახსოვრა მან ის	დაიმახსოვრებს ის მას	დაიმახსოვროს მან ის	დაუმახსოვრებია მას ის
5.	დაზეპირება	იზეპირებს ის მას	იზეპირებდა ის მას	დაიზეპირა მან ის	დაიზეპირებს ის მას	დაიზეპიროს მან ის	დაუზეპირებია მას ის
6.	შეაფასება	აფასებს ის მას	აფასებდა ის მას	შეაფასა მან ის	შეაფასებს ის მას	შეაფასოს მან ის	შეუფასებია მას ის
7.	შეცვლა	ცვლის ის მას	ცვლიდა ის მას	შეცვალა მან ის	შეცვლის ის მას	შეცვალოს მან ის	შეუცვლია მას ის
8.	გადაცემა	გადასცემს ის მას მას	გადასცემდა ის მას მას	გადასცა მან მას ის	გადასცემს ის მას მას	გადასცეს მან მას ის	გადაუცია მას ის
9.	წაყვანა	მიჰყავს ის მას	მიჰყავდა ის მას	წაიყვანა მან ის	წაიყვანს ის მას	წაიყვანოს მან ის	წაუყვანია მას ის
10.	მიწოდება	აწოდებს ის მას მას	აწოდებდა ის მას მას	მიაწოდა მან მას ის	მიაწოდებს ის მას მას	მიაწოდოს მან მას ის	მიუწოდებია მას ის
11.	მოცვა	მოიცავს ის მას	მოიცავდა ის მას	მოიცვა მან ის	მოიცავს ის მას	მოიცვას მან ის	მოუცავს მას ის
12.	დანახვა	ხედავს ის მას	ხედავდა ის მას	დაინახა მან ის	დაინახავს ის მას	დაინახოს მან ის	დაუნახავს მას ის
13.	რჩევა	ურჩევს ის მას მას	ურჩევდა ის მას მას	ურჩია მან მას ის	ურჩევს ის მას მას	ურჩიოს მან მას ის	ურჩევია მას ის

III თავი კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

	საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
1.	აღმოჩენა	აღმოაჩენს ის მას	აღმოაჩენდა ის მას	აღმოაჩინა მან ის	აღმოაჩენს ის მას	აღმოაჩინოს მან ის	აღმოუჩენია მას ის
2.	მოპოვება	მოიპოვებს ის მას	მოიპოვებდა ის მას	მოიპოვა მან ის	მოიპოვებს ის მას	მოიპოვოს მან ის	მოუპოვებია მას ის
3.	აღნიშვნა	აღნიშნავს ის მას	აღნიშნავდა ის მას	აღნიშნა მან ის	აღნიშნავს ის მას	აღნიშნოს მან ის	აღუნიშნავს მას ის
4.	ასახვა	ასახავს ის მას	ასახავდა ის მას	ასახა მან ის	ასახავს ის მას	ასახოს მან ის	აუსახავს მას ის
5.	დასმა	უსვამს ის მას მას	უსვამდა ის მას მას	დაუსვა მან მას ის	დაუსვამს ის მას მას	დაუსვას მან მას ის	დაუსვამს მას ის

6.	გაამახვილება	ამახვილებს ის მას	ამახვილებდა ის მას	გაამახვილა მან ის	გაამახვილებს ის მას	გაამახვილოს მან ის	გაუმახვილებია მას ის
7.	შემცირება	ამცირებს ის მას	ამცირებდა ის მას	შეამცირა მან ის	შეამცირებს ის მას	შეამციროს მან ის	შეუმცირებია მას ის
8.	გააქტიურება	ააქტიურებს ის მას	ააქტიურებდა ის მას	გააააქტიურა მან ის	გააააქტიურებს ის მას	გააააქტიუროს მან ის	გაუაქტიურებია მას ის
9.	შეჯამება	აჯამებს ის მას	აჯამებდა ის მას	შეაჯამა მან ის	შეაჯამებს ის მას	შეაჯამოს მან ის	შეუჯამებია მას ის
10.	გაყოფა	ყოფს ის მას	ყოფდა ის მას	გაყო მან ის	გაყოფს ის მას	გაყოს მან ის	გაუყვია მას ის
11.	გამოყოფა	გამოყოფს ის მას	გამოყოფდა ის მას	გამოყო მან ის	გამოყოფს ის მას	გამოყოს მან ის	გამოუყვია მას ის
12.	გახსენება	იხსენებს ის მას	იხსენებდა ის მას	გაიხსენა მან ის	გაიხსენებს ის მას	გაიხსენოს მან ის	გაუხსენებია მას ის
13.	აღქმა	აღიქვამს ის მას	აღიქვამდა ის მას	აღიქვა მან ის	აღიქვამს ის მას	აღიქვას მან ის	აღუქვამს მას ის
14.	განმტკიცება	განამტკიცებს ის მას	განამტკიცებდა ის მას	განამტკიცა მან ის	განამტკიცებს ის მას	განამტკიცოს მან ის	განუმტკიცებია მას ის
15.	განწყობა	განაწყობს ის მას	განაწყობდა ის მას	განაწყო მან ის	განაწყობს ის მას	განაწყოს მან ის	განუწყვია მას ის
16.	განაწილება	ანაწილებს ის მას	ანაწილებდა ის მას	გაანაწილა მან ის	გაანაწილებს ის მას	გაანაწილოს მან ის	გაუნაწილებია მას ის
17.	დარღვევა	არღვევს ის მას	არღვევდა ის მას	დაარღვია მან ის	დაარღვევს ის მას	დაარღვიოს მან ის	დაურღვევია მას ის

IV თავი საარზოვნო უნარების განვითარება

	საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
1.	ფლობა	ფლობს ის მას	ფლობდა/ ეუფლებოდა ის მას	დაეუფლა ის მას	დაეუფლება ის მას	ფლობდეს/ დაეუფლოს ის მას	დაუფლებია ის მას
2.	შეზღუდვა	ზღუდავს ის მას	ზღუდავდა ის მას	შეზღუდა მან ის	შეზღუდავს ის მას	შეზღუდოს მან ის	შეუზღუდავს მას ის
3.	დამორჩილება	ემორჩილება ის მას	ემორჩილებოდა ის მას	დაემორჩილა ის მას	დაემორჩილება ის მას	დაემორჩილოს ის მას	დამორჩილებია ის მას
4.	მიცემა	ეძლევა/ მიეცემა ის მას	მიეცემოდა ის მას	მიეცა ის მას	მიეცემა ის მას	მიეცეს ის მას	მისცემია ის მას
5.	მიჩვევა	ეჩვევა ის მას	ეჩვევოდა ის მას	მიეჩვია ის მას	მიეჩვევა ის მას	მიეჩვიოს ის მას	მისჩვევია ის მას
6.	ცვლა	ეცვლება ის მას	ეცვლებოდა ის მას	შეეცვალა ის მას	შეეცვლება ის მას	შეეცვალოს ის მას	შეცვლია ის მას
7.	დაყრდნობა	ეყრდნობა ის მას	ეყრდნობოდა ის მას	დაეყრდნო ის მას	დაეყრდნობა ის მას	დაეყრდნოს ის მას	დაყრდნობია ის მას
8.	დაფუძნება	ეფუძნება ის მას	ეფუძნებოდა ის მას	დაეფუძნა ის მას	დაეფუძნება ის მას	დაეფუძნოს ის მას	დაფუძნებია ის მას
9.	მინიჭება	ენიჭება ის მას	ენიჭებოდა ის მას	მიენიჭა ის მას	მიენიჭება ის მას	მიენიჭოს ის მას	მინიჭებია ის მას
10.	ხასიათი	ხასიათდება ის	ხასიათდებოდა ის	დახასიათდა ის	დახასიათდება ის	დახასიათდეს ის	დახასიათებულა ის
12.	ძებნა	იძებნება ის	იძებნებოდა ის	მოიძებნა ის	მოიძებნება ის	მოიძებნოს ის	მოძებნილა ის

11.	არჩევა	ირჩევა ის	ირჩეოდა ის	აირჩა ის	აირჩევა ის	აირჩეს ის	არჩეულა ის
13.	მიჩნევა	მიიჩნევა ის	მიიჩნეოდა ის	❁მიჩნეულ იქნა ის	მიიჩნევა ის	მიიჩნეს ის	მიჩნეულა ის
14.	შეფასება	ფასდება ის	ფასდებოდა ის	შეფასდა ის	შეფასდება ის	შეფასდეს ის	შეფასებულა ის
15.	დამკვიდრება	მკვიდრდება ის	მკვიდრდებოდა ის	დამკვიდრდა ის	დამკვიდრდება ის	დამკვიდრდეს ის	დამკვიდრებულა ის

V თავი ქცევის მართვა

	საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
1.	ჩართვა ერთვება ის	რთავს ის მას	რთავდა ის მას	ჩართო მან ის	ჩართავს ის მას	ჩართოს მან ის	ჩაურთავს მას ის
		ერთვებოდა ის	ჩართულ იქნა ის	ჩაერთვება ის	ჩართულ იყოს ის	ჩართულა ის	
2.	სწავლება ისწავლება ის	ასწავლის ის მას მას	ასწავლიდა ის მას მას	ასწავლა მან მას ის	ასწავლის ის მას მას	ასწავლოს მან მას ის	უსწავლებია მას ის
		ისწავლებოდა ის	შესწავლილ იქნა ის	შეისწავლება ის	შესწავლილ იყოს ის	შესწავლილა ის	
3.	შესუსტება სუსტდება ის	ასუსტებს ის მას	ასუსტებდა ის მას	შეასუსტა მან ის	შეასუსტებს ის მას	შეასუსტოს მან ის	შეუსუსტებია მას ის
		სუსტდებოდა ის	შესუსტდა ის	შესუსტდება ის	შესუსტდეს ის	შესუსტებულა ის	
4.	გამჟღავნება მჟღავნდება ის	ამჟღავნებს ის მას	ამჟღავნებდა ის მას	გაამჟღავნა მან ის	გაამჟღავნებს ის მას	გაამჟღავნოს მან ის	გაუმჟღავნებია მას ის
		მჟღავნდებოდა ის	გამჟღავნდა ის	გამჟღავნდება ის	გამჟღავნდეს ის	გამჟღავნებულა ის	
5.	განმტკიცება მტკიცდება ის	ამტკიცებს ის მას	ამტკიცებდა ის მას	განამტკიცა მან ის	განამტკიცებს ის მას	განამტკიცოს მან ის	განუმტკიცებია მას ის
		მტკიცდებოდა ის	განმტკიცდა ის	განმტკიცდება ის	განმტკიცდეს ის	განმტკიცებულა ის	
6.	ჩარევა ერევა ის	❁(ჩა)რევს ის მას	❁რევდა ის მას	ჩარია მან ის	ჩარევს ის მას	ჩარიოს მან ის	ჩაურევია მას ის
		ერეოდა ის	ჩაერია ის	ჩაერევა ის	ჩაერიოს ის	ჩარეულა ის	
7.	დარღვევა ირღვევა ის	არღვევს ის მას	არღვევდა ის მას	დაარღვია მან ის	დაარღვევს ის მას	დაარღვიოს მან ის	დაურღვევია მას ის
		ირღვეოდა ის	დაირღვა ის	დაირღვევა ის	დაირღვეს ის	დარღვეულა ის	
8.	ასახვა ისახება ის	ასახავს ის მას	ასახავდა ის მას	ასახა მან ის	ასახავს ის მას	ასახოს მან ის	აუსახავს მას ის
		ისახებოდა ის	აისახა ის	აისახება ის	აისახოს ის	ასახულა ის	
9.	მოგვარება გვარდება ის	აგვარებს ის მას	აგვარებდა ის მას	მოაგვარა მან ის	მოაგვარებს ის მას	მოაგვაროს მან ის	მოუგვარებია მას ის
		გვარდებოდა ის	მოგვარდა ის	მოგვარდება ის	მოგვარდეს ის	მოგვარებულა ის	
10.	შეთანხმება თანხმდება ის	ათანხმებს ის მას	ათანხმებდა ის მას	შეათანხმა მან ის	შეათანხმებს ის მას	შეათანხმოს მან ის	შეუანხმებია მას ის
		თანხმდებოდა ის	შეთანხმდა ის	შეთანხმდება ის	შეთანხმდეს ის	შეთანხმებულა ის	

11.	მიბაძვა	ბაძავს ის მას	ბაძავდა ის მას	მიბაძა მან მას	მიბაძავს ის მას	მიბაძოს მან მას	მიუბაძავს მას
12.	გამოვლენა ვლინდება ის	ავლენს ის მას	ავლენდა ის მას	გამოავლინა მან ის	გამოავლენს ის მას	გამოავლინოს მან ის	გამოუვლენია მას ის
		ვლინდებოდა ის	გამოვლინდა ის	გამოვლინდება ის	გამოვლინდეს ის	გამოვლენილა ის	
13.	ჩამოყალიბება ყალიბდება ის	აყალიბებს ის მას	აყალიბებდა ის მას	ჩამოაყალიბა მან ის	ჩამოაყალიბებს ის მას	ჩამოაყალიბოს მან ის	ჩამოუყალიბებია მას ის
		ყალიბდებოდა ის	ჩამოყალიბდა ის	ჩამოყალიბდება ის	ჩამოყალიბდეს ის	ჩამოყალიბებულა ის	

VI თავი შეფასება

	საწყისი	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	რა?	**რას შვრება?**	**რას შვრებოდა?**	**რა ქნა?**	**რას იზამს?**	**რა უნდა ქნას?**	**რა უქნია?**
1.	ჩათვლა	ეთვლება ის მას	ეთვლებოდა ის მას	ჩაეთვალა ის მას	ჩაეთვლება ის მას	ჩაეთვალოს ის მას	ჩათვლია ის მას
2.	დაძლევა	ძლევს ის მას	ძლევდა ის მას	დაძლია მან ის	დაძლევს ის მას	დაძლიოს მან ის	დაუძლევია მას ის
3.	დახასიათება	ახასიათებს ის მას	ახასიათებდა ის მას	დაახასიათა მან ის	დაახასიათებს ის მას	დაახასიათოს მან ის	დაუხასიათებია მას ის
4.	ვარჯიში	ავარჯიშებს ის მას	ავარჯიშებდა ის მას	ავარჯიშა მან ის	ავარჯიშებს ის მას	ავარჯიშოს მან ის	უვარჯიშებია მას ის
5.	გაზომვა	ზომავს ის მას	ზომავდა ის მას	გაზომა მან ის	გაზომავს ის მას	გაზომოს მან ის	გაუზომავს მას ის
6.	დასახვა	სახავს ის მას	სახავდა ის მას	დასახა მან ის	დასახავს ის მას	დასახოს მან ის	დაუსახავს მას ის
7.	გაცნობა	აცნობს ის მას მას	აცნობდა ის მას მას	გააცნო მან მას ის	გააძნელებს ის მას მას	გააძნელოს მან ის	გაუძნელებია მას ის
8.	გაძნელება	აძნელებს ის მას	აძნელებდა ის მას	გააძნელა მან ის	გააძნელებს ის მას	გააძნელოს მან ის	გაუძნელებია მას ის
9.	გაადვილება	აადვილებს ის მას	აადვილებდა ის მას	გააადვილა მან ის	გააადვილებს ის მას	გააადვილოს მან ის	გაუადვილებია მას ის
10.	მინიჭება	ანიჭებს ის მას მას	ანიჭებდა ის მას მას	მიანიჭა მან მას ის	მიანიჭებს ის მას მას	მიანიჭოს მან მას ის	მიუნიჭებია მას ის
11.	დავალდებულება	ავალდებულებს ის მას	ავალდებულებდა ის მას	დაავალდებულა მან ის	დაავალდებუ- ლებს ის მას	დაავალდებუ- ლოს მან ის	დაუვალდებულებია მას ის
12.	წარდგენა	წარადგენს ის მას	წარადგენდა ის მას	წარადგინა მას ის	წარადგენს ის მას	წარადგინოს მან ის	წარუდგენია მას ის
13.	ატვირთვა	ტვირთავს ის მას	ტვირთავდა ის მას	ატვირთა მან ის	ატვირთავს ის მას	ატვირთოს მან ის	აუტვირთავს მას ის
14.	დადასტურება	დასტურდება ის	დასტურდებოდა ის	დადასტურდა ის	დადასტურდება ის	დადასტურდეს ის	დადასტურებულა ის

გრამატიკა

I თავი ეროვნული სასწავლო გეგმა

გრამატიკა
მომავალი დრო
კავშირი: **თუ**
თანდებული: **გარდა**
ჩართული: **ამრიგად**

II თავი ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

გრამატიკა
მომავალი დრო: **I თურმეობითი**
კავშირი: **ანუ, თან..., თან...**
კონსტრუქცია: **–ის + სახელზმნა**
II კავშირებითი: **მოქმედებითი გვარი**
ჩართული: **მართლაც**

III თავი კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

გრამატიკა
მომავალი დრო: **I თურმეობითი/თურმე**
კავშირი: როგორიც, ისეთი**..., როგორიც**
კონსტრუქცია: II კავშირებითი: **მინდა/შეიძლება გავაკეთო**
უარყოფითი მიმღეობა: **უ–ელ, გაუკეთებელი**
ჩართული: **დაბოლოს**

IV თავი სააზროვნო უნარების განვითარება

გრამატიკა
მომავალი დრო: **ვნებითი გვარი**
კავშირი: **როგორც...., ისე...**
უარყოფითი ზმნიზედა: **არსად/ნურსად/ვერსად**
მომავალი დროის მიმღეობა: **სა–ელ, გასაკეთებელი**
თანდებული: **გარშემო, ირგვლივ**

V თავი ქცევის მართვა

გრამატიკა:
1. I თურმეობითი: ვნებითი გვარი; **აღწერითი ვნებითი.**
2. კავშირები: **არა მხოლოდ ეს, არამედ...**
3. დროის გამოხატვა: **დღის განმავლობაში/ხუთისთვის/ხუთამდე/ხუთზე**
4. კონსტრუქცია: **II კავშირებითი: მოდი გავაკეთოთ**
5. თანდებული: **გვერდით, თანავე**

VI თავი შეფასება

გრამატიკა:

1. მომავალი დრო: **I თურმეობითი/თურმე**
2. კავშირები: **არა ერთხელ, არამედ...**
3. ნაწილაკი: **–მეთქი; –თქო; +ო; ვიცი–მეთქი/იცი–თქო/იციო**
4. კონსტრუქცია: **II კავშირებითი: იქნებ გავაკეთოთ**
5. თანდებული: **წინაშე**